

# ლიტერატურული გაზეთი

№2(138) 30 იანვარი - 12 თებერვალი 2015

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით


ფასი 50 თეთრი

## ჩანაწერები

ზაზა ბიბილაშვილი

პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა...

III



## პოეზია

კატო ჯავახიშვილი

მკითხველს


VIII-IX

## პოეზია

დიანა ანფიმიადი

ავტორი

V



## კრიტიკა

ლელა კოდალაშვილი

...ბრძოლა წესების ბარეში

XII-XIII

ბარნი მინა საქარტოველონი

ელიოტის და ოთარ ჩხეიძის ხსოვნას

საქართველოშიც ბერნი ხარ და მუხჯი ხარ და შავი ხარ და... უცნობი ხარ: პოეტების სისხლდალეული...

ბერნი და ბრელო... და გულცივი და უმომავლო: ლამის წყვილიაღმი გაფენილი მთვარის ფერფლივით...

და პირშავი და ცრემლიანი... სიყვარულს გვანერ დალილ გულზე... და სისხლისღვრის მამაპაპურ გზაზე გვაყენებ: უნდა ვევნოთ და ცრემლით სველი ლოდები ვკვნიტოთ...

აქ ხმლებიც გაცვდა, გულიც გაცვდა, გაუხარელი... აქ ლამის ჩემი კალამიც გაცვდეს!

მტრებმა გულზე დაგადგეს ფეხი... და აგკუნეს და გადაგთელეს: ლამის ჩემი გაყინული სისხლიც გადინონ!

და სიტყვები, ჩემს ფურცელზე შენ რომ აგროვებ, იმსხვრევა თიხის კოლბოხებივით და შავეთის ვარსკვლავების ნაცარს ერევა...

და შენ ბერნი ხარ, და შენ მწარე ხარ, მაგრამ მტრებმა ვერ გაიგეს, ისე გტოტნიან, ფეხს გადგამენ, განამცეცებენ: და იფანტება შენი ფერფლი ყოველ მხარეზე... და იღვრება და იკარგება ჩემი სისხლი წვეთწვეთობით შენ ძარღვებში ჩაყინული სამარადისოდ...

მე შენს ცრემლს ვხატავ, მე შენს სისხლს ვხატავ, მე შენს მტვერს ვხატავ, მე შენს დარდს ვხატავ ცივბორბალოს პირქუშ კალთაზე, რომ დამცქერს ბრემით გამომზირალი...

აქ ლამის ჩემი კალამიც გაცვდეს!

და ცრემლიც ბერნი, სიზმარიც ბერნი: ამ ბერნ ღამეში ჩემი გული, ვიცი, იმას გადაეყრება! და მე შენს სიზმარს დავითავისებ...

ჩემიც ხომ მყოფნის, მაგრამ შენი სხვა სიზმარია: ის კბილს იკიდებს, ის ბრჭყალს იკიდებს ჩემს დაჩეხილ თავისქალაზე...

და კარგად ვხედავ, ჩემს სისხლს ვერ იტან შენს ძარღვებში რო ჩაყინულ სამარადისოდ... შენს ბერნ სიყვარულს ცრემლის შხეფით გვანერ გულზე...

და ბერნი მინის კოლბოხები, და ბერნი სულის შავი ღრუბლები, ბერნი ცისკე აშვერილები...

დამხედვ ერთი: იმ აჩრდილს მივდევი, მინის სიბერნეს ვინც ხატავდა გამეხებული...

მისი თეატრის კედლებიდან მინა არ ჩანდა, და ამის გამო სცენის კედლებს მიახატა გულის სიბერნე პოეტის დარდში გამლვალ სიტყვებით: არაქაური ამოკვნესით გული უფრო დაიხატება!

ბერნი გულის ბერნი მინა და ბერნი სიტყვის შორეული ამოხველება...

მას გადაივლი: კიდევ იქით სხვა მთაზე ახვალ: ხეობაში სჩანს გადახსნილი უფსკრულის ხახა... აქ თითქოს ვინმე რითმოსანი პოეტი ჩმახავს: წკვარამს წურავდი ერნოში, მინაო მწარე, ბერნო შენ!..

ყოველ ნაბიჯზე ხომ ბერნი ხარ და უმომავლო!

შავი ვარსკვლავის ანათალი: შავი ხარის სისხლდალეული...

პოეტის სისხლიც ხომ მრავალჯერ დაგიღვია... მრავალჯერ ევენ და ეს დარდი გდევს სათავცემო...

ჯარჯი ფხოველი

დარდო ჩემო და ხატო ჩემო და: სტრიქონბერნი პოეტების სისხლდალეული!

სიტყვა ოგოლი

კბილებიდან გამოჟონა სიტყვამ სისხლივით: დაგეშხევა გულისფიცარზე...

ის წყვილიდან გამოექცა დემონის სუნთქვას, გამოექცა გამყინვარებას...

გამოექცა ნაკაცარი კაცის გულს და მიდის... მიდის... მიდის... ობლად მიიცრემლება...

სთველისა

სთველის ფერების გარიყვანი... ქარებმა ფოთლის შრიალი დაიგულეს... მოდი: კორომი ხელში აიყვანე: კორომი: საღვთო თაიგული...

ცირცლების ტვერი, მზეს რო ეჯიბრება. ვერხვებმაც თეთრად დაივანეს... შვინდები: შემოდგომის ეჯიბები... სთველის კარგახსნილი აივანი...

გზას მისდევ: ბილიკია ნადევარი: აქ მთების კვალიც გაითელა! ძილფხიზლად ღამეების გათევანი... დრო არის: სიკვდილიც გაითენე!

დრო არის პირშავი უდროობის, დღეები: არიგულ-ჩარიგული... გემშვიდობება მყუდროება... ხელს გინვდის საღვთო თაიგული...



ქარის ქართული

ძველიობრი

მე შენს აღმართებს როცა ავივლი დანგრეულ კედლებს გვერდზე ავუვლი, გზას გადამიჭრის ქარის ხავილი: ქარის ქართული: ჩოჩქოლაური...

ეს აღმართები აღმანთებია, დაღმა ვინც წავა, მიდის აღმავე... ქარის სიტყვები მთებს აღმერთებენ: ქარის ქართული გულებს აღრმავებს...

ქარს ნუ შეხედავ გიაურივით: შუბლზე დაგტოტნის სიტყვის აურიით... მოდი: ამ ლექსში შენც გაურიე ქარის ქართული: ჩოჩქოლაური!

დილა

წავშალოთ დუმოლის სასვენი ნიშნები...

ეს ფურცელი ხმას რომ ამოიღებს, ის ხმა წავანეროთ თვალების ცაზე, ის ხმა მივახატოთ დუმოლის ლოდებს, ის ხმა დავკიდლოთ გაძარცულ ხეებს...

და დავარქვით მოლოდინი, და დავარქვით იმედები: მართლაც, საღვთო საჩუქარი რამ, რასაც კამკამა დილა იმეტებს, რასაც იმეტებს ნასამოთხარ სიზმრებიდან დაბრუნებული, კარგადებული პოეტის გული: ნასამოთხარ გულისგულში შემკვრივებული ეს საღვთო ცა რასაც იმეტებს!

დაიმახსოვრა

დაიმახსოვრე მისამართები. ნისლის და ქარის უცხო ხიდები: ღრუბლებს რო კაფავს, იმ სამართებელს მეხი რო ჰქვია, აურიდები, მისი ცეცხლი და მისი ზანზარი: ესეც ხომ დარდის სადავე არი... და მიუმატე გულის ნაბზარებს ზარი და ბზარი: ადამიანი...

დაიმახსოვრე მისამართები: ყველა მთაჭრილი, ჭალა, ღობი... ღრუბლებს რო კაფავს, იმ სამართებლით შენც გაიპარსე წვერი სიობლის...

და დაიამე სული ვნებული!..

მამა ენის ხმა

ჩაღმა ჩაჰყვები ენის ქაოსებს: შენ ამ უფსკრულს მიედმოდე... და გულს გაგივლის და გაგაოცებს დარდი ანიდან: დარდი ჰოემდე...

ტკივილი მოგდევს მოჭრილ მარჯვენის, ყურში წარსულის წივის ზეფირი: თითქოს ხმა არის დაუხარჯველი, მამა ენის ხმა: სისხლდაშხეფილი!

ტაო ძიანი

ლიუ ყანდარელ-ფუანგვენს

აჰა: ისიც, ტაო ძიანი, ჩინმიჩინის ღრუბლებთან ერთად...

ის გადამტკავლავს, გულჭირიანი, ყვითელ მდინარის მინდვრებს და ბაღებს: სტუმრად ეწვევა დაოს ბერებს, დაოსებულებს, და გაუთბობს მარტოობით გაყინულ გულებს...

და ასე ეტყვის: აჩრდილო შორო, ნუ დაივინყებ: ამ მწუხარე წამისოფელში „ყველამ არყოფნა ითამაშა სიცოცხლის ბოლოს!“

ARKADIA

არ გყავდა დედა, არც გადია შენ... გყავდა ტკივილი, გულს რომ განვდინეს... მაშინ ცხოვრობდი არკადიაში და მთებს მწყემსავდი: ცაში აწვდილებს.

გეხურა ღამე: მალლა გრგვინავდენ ჯანლები: მთვარის თვალებს მიმწვარი: სიზმრებს ხატავდენ და გვირგვინოვან ცის არტერიებს გრეხდენ სიმწარით!

გულზე წარსულის შხამი გადიარს, სისხლს აგიდულებს ხსოვნის ისარი... აქ მწყემსად გზრდიდა შენ არკადია: მწყემსე სიტყვები სიკვდილისანი!

წინაპრები

წინაპრები, როგორც წრიაპები: მათი ბრჭყვიალებით წარსულის წლებს ვებლაუჭებით, მოგონებების შავ ღამეს ვკანწავთ და ვიხსენებთ იმათ სახეებს, ვინც წარსულის მინას ანათებს, ვისი სისხლიც ისტორიის უკუნეთში დაგუბებულ სისხლს ემატება...

წინაპრები: კლდეზე ნაცვეთ წრიაპებივით... ცივბორბალო ხომ გადაიარეს და მყინვარწვერის შავ ღრუბლებსაც წამოედგენ... და თავებით გადასწიეს შავი ჯანლები...

წინაპრები წრიაპებივით... პირშავ კლდეებზე რომ მიჰყევხარ აღმა და აღმა... უკვდავებასაც გაჯერებენ და სიკვდილის სიახლოვესაც: იმდენ ძალას იმეტებენ, საბოლოოდ და უცილობლად შენ იმათი გზაოხერის გავლა რომ შესძლო!

სულ ცოტა იმედს გიტოვებენ გაუხსნელ გულში: ეს ბერნი მინა საბოლოოდ რომ გადახნა და გადამტკავლო!



2001

\* დღევანდელ საქართველოში ისეთი ვითარებაა, შეფასებასაც არა აქვს აზრი. ანუ აზრი არა აქვს, დააზუსტო, როგორი ვითარებაა დღევანდელ საქართველოში.

\* აზროვნების პროგრესულობას, რეგრესულობას ან რუტინულობას არ განსაზღვრავს შედეგი, ანუ ის, გაიმარჯვებს თუ არა ეს აზროვნება. დღეს ჩვენს გვერდით უამრავი ცუდი რამ ხდება, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე „სულ ვვიტარდებოდი“. ბევრნაკლიანი იქნება ხვალინდელი ყოფაც. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ ყოველი მომავალი ნოვაცია სულაც არ იქნება ცალსახად „კარგი“, „მიუხედავად იმისა“, რომ ის საიხლავა.

აქედან: სავესებით მიზანშეწონილია, ეჭვის თვალთ (დაიხ, დაიხ, ზუსტად ასე — ეჭვის თვალთ) შევხედოთ ყოველ შემოთავაზებულ ნოვაციას და გამოვიყენოთ შანსი — ჯერ დაუნერგავ უმსგავსოზე ვთქვათ უარი (აკი დანერგილ უმსგავსოზე უარის თქმა გაცილებით უფრო ძნელია).

სამწუხაროდ, ეს მეტისმეტად თეორიულად ადაამიანიც ხომ, ცხოვრების განმავლობაში, მხოლოდ ირყენება.

\* იმდენად ითვალისწინებენ მკითხველს, რამდენადაც ჩვენებური პროვინციული სწოების არსებობის იმედი (და სავესებით საფუძვლიანად) აქვთ. ანუ მკითხველის გათვალისწინებას იწყებენ წერის დასრულების შემდეგ და ეს ამ ნაწერის გამოქვეყნებითა და პოპულარიზაციაზე ზრუნვით გამოიხატება.

არადა, წესით, მკითხველი ლიტერატურული შემოქმედებითი პროცესის სრულფასოვანი მონაწილეა. მასზე, რა თქმა უნდა, არ ფიქრობ წერისას, ისევე, როგორც არ ფიქრობ იმაზე, ასოები დაწერო თუ არა. მკითხველი იმ დროს შენში ცხოვრობს — არა როგორც უცხო სხეული, არამედ, როგორც შემოქმედის ორგანული ნაწილი, შეიძლება ითქვას, ნახევარიც კი. შენ, პრინციპში, ცდილობ, დაწერო ის, რაც მოგეწონებოდა, როგორც მკითხველს.

\* გამირობას სხვანაირი ადამიანი სჭირდება.

ადამიანი, რომელიც ცდილობს, ყველასთან და ყოველ ვითარებაში მართალი იყოს, რომელიც ცდილობს, სინდისის კარნახით და კეთილშობილური პრინციპების მაქსიმალური ერთგულებით იცხოვროს, უვარგისია გამირობისთვის. შესაბამისად, არ არსებობენ თოვლივით სუფთა კიბეების გამირობები. ისინი, ვფიქრობ, უამრავ უკუღმართობას სჩადიან, ვიდრე გამირობას ჩაიდენდნენ.

\* არაფერია სახარბიელო იმაში, ნაძირლები თუ პატივის გცემენ; იმაში — მით უმეტეს, ნაძირლები თუ პატივს არ გცემენ და ამ დროს ირგვლივ მხოლოდ ნაძირლები არიან.

\* მგონი, თვითმკვლელობაზე ფიქრი უფრო ადვილი იყო, ვიდრე სიცოცხლის გაგრძელებაზე ფიქრია.

\* სიყვარული, ეს ბრმა სიყვარული რომ არ იყოს, რა აგვატანინებდა ერთმანეთს?!

2002

\* ამდენი აზრი იფრქვევა, ვთქვათ, ერთი რომელიმე მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ, ამდენი განსხვავებული აზრი. მათგან ჭეშმარიტი კი ერთადერთია, ან, უფრო ხშირად, არც ერთი.

სხვანაირად რომ ვთქვათ, მთელი ცხოვრება რაღაც სისულელეებს ვისმენთ, ვამბობთ, ვკითხულობთ, ვნერთ.

\* სიბრძნის მარცვლი იქნებ ყველა „სიბრძნეშია“, მაგრამ როგორ შეიძლება, ყველა სიბრძნე მართალი იყოს? ეტყობა, სი-



ბრძნისთვის სიმართლე სულაც არ არის აუცილებელი. ან: სიბრძნის სიმართლე სხვა რამეა და არა — ჭეშმარიტება (ვთქვათ, პოეზიისა არ იყოს).

\* დღეს, ასეთ დროში რომ ამდენი უნიჭო მწერლობს, წარმოიდგინეთ, მერე (თუ დადგა ეს მერე. „დღევანდელ უფრო მერე“, ალბათ, მაინც დადგება) რაღა იქნება.

\* სიყვარულზე წერა მაინც ავადმყოფობის ისტორიის წერაა. როგორც ადრევე (ჰმ) შევამჩნიე, სიყვარული სენია, ან თუ რამეს ჰგავს, უწინარესად — სენს. ეს არის ბაქტერია, ვირუსი თუ რაღაც მათგარი, რომელიც ჩვენში თავიდანვე ცხოვრობს (დაბადებიდან ან დაბადებიდან მცირე ხანში ჩნდება/ვითარდება) და სათანადო გარემოს ელოდება. სხვათა შორის, გადადებიც არის — ხშირად ამჟღავნებს ამ თვისებას. საყურადღებოა ინფექციის მოხდის საკითხიც. შეიძლება, სიყვარულის ერთხელ მოხდა საკმარისი აღმოჩნდეს მის სამარადუამოდ დასაძლევად, თუ არა და, მუშავდება გარკვეული ხარისხის იმუნიტეტი, რაც, სენის მეორედ (მესამედ და ასე შემდეგ) შეყრის შემთხვევაში, სიმპტომებს ცვლის, ასხვანაირებს. თუმცა არიან ისეთი ინდივიდებიც, რომელთა ორგანიზმი (ჰო, იყოს ასე — ორგანიზმი) ვერაფერს სწავლობს და მათი მეშვეობით სიყვარულიც ისეთივეა, პირველი რომ იყო. აღარაფერს ვიტყვი ფატალურ/ლეტალურ შედეგებზე, რაც ზოგჯერ მოსდევს ამ დაავადებას. ჰო, გამომჩნა — სხვადასხვა გართულებას ხომ იწვევს და იწვევს...

\* რაც უნდა კარგად იცნობდე ამ ფენომენს, სხვისი (სხვისმიერი) სიყვარულის განცდა მაინც შეუძლებელია.

\* სამუდამოდ, ესე იგი, არც ისე დიდი ხნით.

\* განა თითოეული ადამიანის (სხვების, „არაადამიანებისა“ რა გითხრათ — არ ვიცი) სიკვდილი სამყაროს დალუპვა არ არის? აქედან გამომდინარე, არ შეიძლება, სამყაროს დალუპვა სასჯელად მივიღოთ. სამყაროს დალუპვა შეიძლება იყოს: ნარუმბატებული ექსპერიმენტის შეწყვეტა, თამაშის მოწყენა („ალარ მინდა თამაში!“), რაღაც ილუზიებზე ხელის ჩაქევა, ან ბოლომდე თვალის მიდევნება ექსპერიმენტისთვის, რომლის ობიექტები, სუბიექტებად ქცეულნი, თავად ღუპავენ თავიანთ სამყაროს... მოდგმისთვის სასჯელის დაკისრება კი (რაც ასე მოდურია რელიგიაში. სხვათა შორის, ამას ძალიან უნდა ჰგავდეს „ხალხის მტრის შვილებისადმი“ დამოკიდებულების ამბები. მერე კი შვილისთვის მამის ცოდვების მომკითხავებს ამუნათებდნენ — იმის გამო, რაც ღმერთის „უსაყვარლესი“ საქმეა), მინიმუმ, უსამართლოა. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, მოდგმის დალუპვა სასჯელი არც არის. სასჯელად, ბევრი-ბევრი, მიგვეჩნია დალუპვის კონკრეტული მეთოდი — ამ დროს განცდილი შიში და ტკივილი, მაგრამ ესენი არც სხვა, ინდივიდუალური სიკვდილების უმეტესობას აკლია.

\* მოხდება თუ არა, რომ როდისმე მედიცინა ადამიანის „ერთგვარ“ უკვდავებას მი-

აღწევს, ოღონდ ეს უკვდავება ძვირი და მხოლოდ ნაწილისთვის ხელმისაწვდომი იქნება — როგორც მკურნალობაა დღეს; შესაბამისად, მდიდრები, ამა თუ იმ ფორმით, სულ იცოცხლებენ და მხოლოდ ღარიბები დაიხრებიან „სულ“?

\* შეუმჩნეველი თუ შემჩნეული, უმტკივნეულო თუ მტკივნეული მარტოობისას წარმოქმნილი მცირე პრობლემაც ექსტრემალურ სიტუაციას ქმნის. თუკი არ გყავს მეგობრები, რომლებსაც უყვარხარ, და ამ დროს ვილაცას სძულხარ, ამ ვილაცას ფეხებზეც ვერ დაიკიდებ, რაკი შენ (პრაქტიკულად) მხოლოდ მისთვის არსებობ. არადა, საყრდენი ჯოხიც კარგია, ხმალი თუ არ გაქვს... ასეთ ვითარებაში პრობლემის დაძლევის ერთადერთი გზა მისი თავიდან არიდებაა. თუმცა ეს გზა ყოველთვის როდი მოიძებნება.

2003

\* სიტყვები შემთხვევით არ დარქმევიათ სახელებად საგნებს, მოვლენებს, თავიანთ არსებს. თავად ამ არსებმა გამოიწვიეს, გამოიძახეს „ნათლიების“ შემეცნებიდან სათანადო ბერაშეთანხმებანი. ისინი ერთად კომპლექსური კოდია სრულიად გარემოსი. ამიტომ თითოეული მათგანი ძალიან დიდ ემოციურ ინფორმაციას შეიცავს. პოეზიაში სათანადო სიტყვების შერჩევა და შეთანხმება იწვევს ამ ემოციური მუხტების ისეთ თანხვედრას, შეწყვილებას, კომბინაციებს, რომ უფრო ძლიერი და სასურველი, „საჭირო“ მუხტი მიიღება-გამოიყოფა. ამიტომ (ამიტომაც) აქვს სიტყვის ზუსტად მოძებნას დიდი მნიშვნელობა, ამიტომ ჯობს კონკრეტულ მომენტში ერთი სიტყვა მეორეს, თუნდაც, მისი ზუსტი სინონიმი იყოს. ამიტომ აქვს სიტყვას, სიტყვათა შეთანხმებას, დახვეწილ სტრიქონს პოეზიისთვის, ლექსისთვის დიდი მნიშვნელობა. ენა ერის ძირეული ატრიბუტია, პოეზია მეტად ეროვნული მოვლენაა.

\* პოეტი — ქარიშხალი ქიქაში.

\* სიზმრები კარგია, თუ ძალიან საშინელი არ არის — მეტს ასწრებ, უფრო ბევრს ცხოვრობ.

\* ყველაზე ლამაზი ბუნებრივი ძალიან ჰგავს ხოლმე ხელოვნურს. ისეთი რამ ვთქვი, წესით, უნდა ვცდებოდე, მაგრამ ასეა ხოლმე (თუ არ ვცდები, არ თქმა უნდა).

\* გამახსენდა — ბავშვობაში რომ ვიმედოვნებდი — რომ მოვესწრებოდი უკვდავების წამლის გამოგონებას; თუ ის მოგვესწრებოდა...

\* თითქოს საღვთო, კეთილშობილური რამეა თვითკრიტიკა, მონანიება და თვითგვემა; მაგრამ თუ შენს თავს დამტყდარი ყველა უბედურება ზემოურ, ან უბრალოდ, სამართლიან სასჯელად მიიღე, ვერასოდეს შეენინააღმდეგები მას; და ეს უბედურება იმდენია, ფეხზე ვერასოდეს დადგები.

\* მძაფრი შეგრძნება იმისა, რომ პატიოსნებას არა მხოლოდ დღეს არა აქვს ფასი (თუ სულ არ გამქრალა ცნება-ფენომენთა კრებულიდან), არამედ მომავალშიც

არავინ გაგისხენებს დღევანდელ ასკეტობა-მარტვილობას. ამისი დრო არავის ექნება, თუნდაც.

\* უანგარო ბოროტება. რამდენიც გინდათ, იმდენია. ბოროტება, რომელსაც ჩამდენისთვის არანაირი ხეირი (თუ, რა თქმა უნდა, შინაგან კმაყოფილებას არ ვიგულისხმებ, რაც ასევე ახლავს უანგარო სიკეთეს) არ მოაქვს.

2004

\* თითქოს მივხვდი, რატომ შევწყვიტე წერა. ყოველ შემთხვევაში, ამის საუკეთესო ახსნა ეს მგონია: ჩემში მცხოვრები მკითხველი დავკარგე; ალბათ, იმიტომ, რომ ჩემს გარეთ მისი ადეკვატის არსებობა გამიხდა საეჭვო; გარეთ სავარაუდოდ არსებულის ადეკვატის ადგილი კი ჩემში ვერ ვიპოვე.

აქ როგორ უნდა ითამაშო? არა, ხელოვნება საერთოდ თამაშია, მაგრამ — გულწრფელი თამაში, ცხადი თამაში; თამაში, რომელსაც თამაში ჰქვია და არა თვალთმაქცობა — გაუცხადებელი თამაში.

\* მკითხველმაც რა ქნას! ცოტაა, რომ არსებობს — ასე თუ ისე?

არა, ეს „ასე თუ ისე“ საეჭვო რამეა, სწობებს, გულწრფელ მიმბაძველებს და მისთანებს თუ გავიხსენებთ... მაგრამ ვინც დარჩა (იქნებ მაინც დარჩა), იმან რაღა ქნას? მითანა უნდა, მინოდება უნდა იქამდე, შენჯერევა უნდა, უნდა გამოარკვიო, გამოიხსნა ყოველდღიურობისგან — ერთი მხრივ და საინფორმაციო (ლიტერატურულ ინფორმაციას ვგულისხმობ) ზეწოლისგან — მეორე მხრივ, უნდა მისცე საშუალება, შეგამჩნიოს.

და არა ასე.

\* გუშინ მირჩიეს — შენი ლექსი უფრო ელიტაზეა გათვლილი და გაამასობრივე, თუნდაც, კომპრომისების ხარჯზე. შევეცადე, ეს იდეა მკითხველთან თანამშრომლობის გაღრმავების იდეად წარმოემჩინა, და მხარიც დაუჭირე მას, როგორც იდეას; თუმცა კონკრეტული შემთხვევისთვის არც მთლად „ადგილიანად“ მივიჩნიე — მრჩეველს ვუპასუხე, ჩემს ლექსებში სწორედ რომ ბევრი რამეა მკითხველისთვის გაკეთებული-მეთქი, მერე კი ისიც ვთხოვე, აეხსნა, რატომ დაემთხვა ცხოვრების ტემპის აჩქარებას თანამედროვე სალიტერატურო ავანსცენაზე ეგრეთ წოდებული ინტელექტუალური პოეზიის მოძალება, როცა პირველი ფაქტორი, წესით, უნდა ამცირებდეს ასეთი პოეზიის მკითხველის რიცხვს. სამწუხაროდ, ეს კითხვა, არა მხოლოდ უპასუხოდ დარჩა, არამედ — როგორც ეტყობოდა — ბუნდოვანიც აღმოჩნდა ადრესატისთვის.

\* გენმოდიფიცირებული ლიტერატურა. ჰა, ეს ხომ არ შემოდის?

არადა, თითქოს ეგრე მახსოვს, თავის დროზე, შემოტანის კი არა, გატანის საშუალების გაჩენა გაგვიხარდა. გასვლის საშუალება — ასეც ითქმის. არა, ვილაცები გადიან კიდეც (ალბათ). მაგრამ ეს სულ სხვა გასვლაა — გასვლა გატანის გარეშე. რაც გააქვთ, ის უკვე იქ არის, სადაც გააქვთ. იქიდან შემოტანილი უკან გააქვთ. ეს არ არის კულტურის შემოტევა. მით უმეტეს, არ არის თარგმანის შემოტევა — რაც ადგილობრივი კულტურის აღორძინება, გამარჯვება, მნიშვნელოვნების, სიმყარის გამოვლინება, აღიარება, დამტკიცება იქნებოდა. არა — გენმოდიფიცირებული პროდუქცია შემოდის. ან „გენი“ შემოდის და აქაური პროდუქციის მოდიფიცირება ხდება.

გენმოდიფიცირებულ პროდუქციას (ხილ-ბოსტნეული რომ გავიხსენოთ) სარეველას ერთი თვისება აქვს — ბუნებრივის შევიწროვება და განდევნა. სხვა თვისებებიც აქვს, სარეველასი არა, თუმცა — ასევე მავნე.





დათო მალრაძე

სიცოცხლისათვის

კაცი სამართალს ჰპოვებს,  
რალა თქმა უნდა, ცაში.  
თუ არ მოუსმენ პოეტს,  
ტირანს მოუსმენ მაშინ.  
საკუთარი ეპიგრაფი

ქალაქში აფიშა... პუშკინი ალექსანდრ...  
პიტერის ოპერა ონეგინს გვთავაზობს.  
— ახალი ლექსი მაქვს  
და მერე ამ ლექსს ანტრ-  
აქტის დროს ჩურჩულით გაგანდობ, ლამაზო.

და მოკლე დუელში პოეტი ალექსანდრ  
პუშკინი. მისდიეს სამარის კარამდი,  
ამიტომ ძალიან უხდება ამ ლექსს მადრ-  
ევნები, რომ ჩქეფდეს  
სიცოცხლე მარადი.

გასროლა... ჭრილობა... სკულპტურა... ალექსანდრ  
სერგის ძის და მკვლეელი ძახველის რტოებით...  
ისლა დარჩენია  
მოებას ამ ლექსს ან დრ-  
ოებას მოებას, ან ამაოებას.

ვისხენებ ამ პოეტს, რომელიც დუალი-  
ზმისათვის მონისტებს ტყვიებით ეგუნდა-  
ვებოდა. დაუთქვა ელადამ დუელი,  
...უთხრა აღსარება  
ცრემლიან სეკუნდანტს.

შორს ჩანდნენ მოხელე  
და გარგანტუელი,  
მსჯელობდნენ: — აბანო  
ხვალ სჯობს თუ, ზეგ უნდა...

...ეს ლექსი ჩურჩულით სათქმელი ლექსია,  
სიჩუმის ხმაურში სათქმელი ლექსია,  
იქ, სადაც ვნებაა,  
სადაც ალერსია,  
ნაორთქლარ საწოლში სათქმელი ლექსია.  
ეს ლექსი ჩურჩულით სათქმელი ლექსია,  
პოეტის სუნთქვა რომს სწვდებოდეს საყურეს,  
ან იქნებ სცენიდან,  
ან იქნებ მაყურე —  
ბლებისტვის სივრცეში სათქმელი ლექსია,  
სანამ სახელმწიფო მოგიქცევს ექვსიანს,  
სანამდე შეავსო ახალი ვერსია  
და სანამ ცოფიან მკვლელს მისცა ეგ სია,  
სანამ სივრცეების შეძლო ანექსია,  
ეს ლექსი სცენიდან სათქმელი ლექსია,  
ეს ლექსი ცხენიდან სათქმელი ლექსია,  
ეს ლექსი ამაღამ სათქმელი ლექსია,  
ეს ლექსი ხმამაღლა სათქმელი ლექსია.

— გასწიეთ საზღვრები!  
მან ხელი აღმართა, —

იღწვის იმპერია ამპირის დროებით  
და ხვდება პოეტი დარღვეულ საზღვართან,  
მისი ბრწყინვალეებით და უსაზღვროებით.

წმინდა იმპერია ეცემა და ვერც ჰერ-  
აკლესი ვერ შევლის ბორცვივით მუსკული,  
როდესაც დუელში  
ღვთაებრივ კამერჰერს  
შეხვდება,  
მოელის  
ფიცრების ლუსკუმი.

და რადგან პოეტი ცას ეძებს მიწაზე,  
ჭრილობას დასცვივა წვეთები კარალის,  
ის ლექსზე მეტია  
და ლექსის ჯინაზე  
მორჩება ხეტიალს ნაკარდაკარალი.

— იქნებ და დაგეთმო ფიცი და  
— არაო...  
პოეტს ერთგულება შევნიშო თორასი,  
— ვუხრი ქედს აიდას,  
უთხარით ფარონს...  
— ვაი, ბეთსაიდა!  
— ვაი, შენ, ქორაზინ!

...ამ არემ ამირა ომარის სამარე  
დრო-ჟამით გამურა. დასაჯა ამირამ  
პოეტი, რომელმაც ანდერძად სამი რამ  
დატოვა:  
— იმედი!  
— რწმენა! და  
— ამური!

...ბელადი ჩიბუხით  
და მზერა რენდგენის,  
ეპოქა ტერორის... ათასი ჩამშვები...  
პატივში „ჯაშუშთა“ სიების შემდგენი,  
ხალხი მომღიძარი მქუხარე ტაშებით.

წავიდნენ ისინი, მოვიდნენ ესენი,  
ასე იხსენება ასპიტა სისინი,  
ისინი მოკლავენ სერგეი ესენინს,  
ესენი თანდათან ხდებიან ისინი.

— შენდობას უარი! —  
ხელების საესავით,  
სისხლით შეილება პერანგი ლორკასი...  
გვამების თხრილიდან სიკვდილის თვალსავით  
ლანჩი დაუღია მინიან მოკასინს.

ხომალდის ნაფოტს რომ მონახავს თოლია  
და ფრთებს დაასვენებს, ამას ჰგავს, კრებდემინს  
როცა აფრიალებს ქარი და თოვლიან  
მიწაზე ქვას ეძებს, მოფანტულ ცხედრებში,  
რომ ფრთები დაკეცოს, — პოეტის ცოლია...  
გარეთ დაუძახა

მან, ვისაც ვედრებს შინ,  
...აქ, უკვე, მკითხველო, ისეთი ბოლია,  
ავგინვავს თვალს და  
გვიჯობს თუ შევეშვით.

პოეტის მკვლელობას რადიო BBC  
ცბიერი ვერსიის ბურუსით შემოსავს.  
საზოგადოებას,  
რომ დაცხრეს სინდისი,  
პილატე უგზავნის ონკანის ხელოსანს.

...ქარების ხასიათს სხვა ვერვინ მიაგნებს,  
პოეტის სუნთქვის და ფილტვების გარეშე,  
— შევხედავ, მაგ თქვენი  
ხომალდის იალქნებს,  
ძონძივით დაშვებულს  
ზღვათა უდაბნოში.

ამაყად მავალი გემბანის მამალი...  
— ჰეი, კაპიტანო,  
დაეშვნენ აფრანი!  
გვჭირდება პოეტის დეზი და კავალი,  
არადა შევრჩებით ზღვას უარაფრონი.

...დღეს დიდი დოლია და ბოლო ფსონების  
შიშის და ეჭვების წამალი — ვისკია,  
ჩაივლის დოლი და  
ვილას ეხსომები,  
პოეტებს ეძებენ იქ, სადაც რისკია.

ჩვენ ვანვით აღვირით წვიმაში ყარაულს  
ჩვენ ცხენებს ოფლიანს, ქაფიან ლაშებით,  
წვიმაზე იმნაირს გამოვთქვამ ვარაუდს,  
როცა ამომავალ მზის სხივზე გავშრები,  
რომ ასი წლის მერეც დაგნამოთ. არაუ-  
მეტესი წამისა არის საუკუნე...

...ეს არს საუკუნის  
და წამის კანონი.

ეს წვიმა ატარებს ნიშანწყალს არქაულს,  
შენ იცნობ ამ წვიმას,  
თბილსა და აქაურს...  
დადგება პომონა ქუჩაში ვაშლებით,  
წვიმა... პროცესია... და სველი თავშლები...

სველდება პომონა, —  
ქალწული ვაშლებით,  
ჩვენ როცა ვიშლებით,  
წვიმაში ვეშლებით.

თუ ეძებ, იხელთებ, ან ლექსში, ან თეო-  
რემაში ნალიდან გასხლელილ სამწვერას,  
ვთქვათ, როგორც ტურისტი შეუვლის პანთეონს  
და შესძრავს უეცრად  
ნაცნობი წარწერა.

...მაცნობენ წინანდელ წინანდელ მზარეულს,  
ტატოს რომ ართმევდა მერანის სადავეს,  
...მემშობლა გარემო,  
ცოტა ფეხარეულს,  
როგორც სიდიადის მშვიდი სისადავე.

— საიდან სიმღერა და ჩანგი ქებული?  
— სიკვდილი! — გაისმის მოთხოვნა მოედნის  
დგას იმპერატორი ცერით დაშვებულით...  
ისმის მომავლიდან  
სიტყვები პოეტის:

— მოგმართავ პატაკით, ლექსის შევალიე,  
რომ ჩემს ლეგიონში ვარჩიე დარჩენა.  
— შენ, ოქროს გვირგვინი  
საზღვრებს შეალიე,  
მე უსაზღვროებას  
შეწირე მარჯვენა.

მე — ნამად ვიქეცი, შენ — ციხის ზემდეგად,  
საკანში სახსოვრად დავტოვე კალამი.  
— სალამი, ასი წლის  
წინათ და შემდეგაც,  
ახალო მკითხველო,  
შე ძველო,  
სალამი!

**P.S.**  
ეს სკოლის ზარია, წკრილით გამკვეთი  
დილის იდილის, სასწავლო წესია...  
ინყებს პედაგოგი  
სიტყვებით გაკვეთილს:  
— ეს ლექსი ხმამაღლა სათქმელი ლექსია...





**პანოს**

ვახტანგ რურუას

ბელეტაჟების ნაცვლად — მასივი.  
ცუნამის მერე კუნძული — ვერა...  
ვდგავარ უბანში უცხო კაცით  
და ირგვლივ ვეძებ მშობლიურ მზერას,

რომელსაც ანდობ სიტყვის გარეშე  
დღესასწაულს და  
ტკივილსაც თუნდა,  
რომ მოგწვდეს სუნთქვა მშობელ მხარეში,  
როგორც ყმანვილის ნასროლი გუნდა.

ნუფორიშისგან უარყოფილი  
მოლბერტს შერჩება ხალხი და ქუჩა,  
...მგონი გადარჩა ერთი პროფილი, —  
რალაც ნაცნობი იერი უჩანს.

— საით წასულან ჩვენები, ბიძავ?  
რაც მე ღმერთს მათი სიკეთე ვვედრე...  
ვეჭვობ და ფეხქვეშ მეცლება მინა,  
როგორც ტალღები  
მოციქულ პეტრეს.

წამართვეს ვერცხლის ჭიქა ხელიდან,  
ძმობის ვარსკვლავი ცრემლში იელვებს,  
ღარიბი სუფრით მდიდარ ელიტას  
ავსებდა ბოთლის სიცარიელე.

გაცდება განცდა ადრე ნაფიქრალს,  
თვალს შეამშრალეს სახელო შალის,  
დაეწვეთება კედელს გრაფიკა,  
როგორც აღმასი ხავერდის ბალიშს.

და ჩემ წიგნის ყდას  
დარჩენილს სახტად  
ვამაგრებ აბრას და ვანერ ცარცით,  
რომ აქ ილხენდნენ: ოსტატი ვახტანგ  
და ორი-სამი ალალი კაცი.

მათთან შეხვედრის წყურვილს და წადილს  
მუხლზე გავედრებ  
უხმლო, უფარო...  
და თუ აქამდე ჯვარცმამი მწამდი,  
დღეს აღდგომაში მწამხარ, უფალო.

**პოეზია**

დიდი ამბიდან დეტალი არ ჩანს,  
დეტალიდან ჩანს  
დიდი ამბავი...  
იმ ეპოქიდან სტრიქონი დარჩა,  
იმ ეპოქაში დაუსტამბავი.

**დიანა ანფიმიადი**

**ავტორი**

დღეს ჩემს ეზოში  
ჩიტებმა ფრენა დაივიწყეს,  
ხეზე ჩამომნიფდნენ  
ხურმის ოქროსფერი ნაყოფები.

შემოდგომაა,  
მთავაზობ ორ გზას:  
1. ამბავი, რომელშიც არ ვყოფილვარ,  
2. ამბავი, რომელშიც ნამყოფი ვარ.  
ვირჩევ მეორეს,  
ვიმეორებ, მეორეს, რადგან  
სულ მეშინია იმ ამბების, რაც არ მომხდარა.

ხელისგულიდან სათითაოდ ამოვიცალე  
გზები — აბრეშუმის ძაფები  
სანამ უკვალოდ შემიხორცდება,  
ცა — თოვლის საფენს მაფენს.  
იანვარია.  
ჩამომცურდა ნაყოფი ისე,  
თითქოს მზეს ზღვის გულში ვაჩენდე,  
სანამ ჩვილია, განთიადის თბილ რძეს ვანოვებ,  
მოზრდება და იანვრის თოვლს ვაჭმევ ხის ჯამით.  
გზები კი უნდა დავივიწყო —  
ბედის ხაზები  
ხელისგულიდან კენკრასავით ამოვიჭამე.

სხვა არაფერი, მღვიძავს, მიყვარს, მიყვარს, ვიძინებ,  
ჩემივე ძილის სიმშვიდეში ვეფლობი,  
ჩემს შეყვარებულს თვალები აქვს ისე ციმციმა,  
სალამობით ესევინა ღამის პეპლები,  
ჩემს შეყვარებულს ტუჩები აქვს ისეთი ტკბილი,  
ღამის სიზმრები აერიოთ კოლოებს, ქინკლებს,  
და ვცხოვრობთ ასე, გვიმრავლდება თვალს მიღმა წყალი,  
ხოლო ფილტვებში ჟანგბადი იკლებს...

დღეს ჩემს ეზოში  
ხეზე ჩიტები აბრიალდნენ,  
ხურმის ოქროსფერი ნაყოფები.  
შემოდგომაა,  
მთავაზობ ორ გზას:  
1. ამბავი, რომელშიც არ ვყოფილვარ,  
2. ამბავი, რომელშიც ნამყოფი ვარ.

ქარმა ჩიტები — ნაკვერჩხლები ფრთხილად აგავა  
ჩემივე შიშის ფარდაგიდან,  
და ვირჩევ პირველს, პირველს-მეთქი,  
ჰოდა, აქა ვარ  
შენი ხელების ხავერდის ყდაში.  
(რომელიღაცა მქადაგებლის)  
შენს ამბავში,  
შენს ახალ წიგნში.

**ზამთარი**

ექსპერტიზა

მის ხმას ვჭრი და ხმაში დავიჭირე,  
რომ ხმაშია დაჭრილი,  
ამ კარად.  
ან ქარმა შეიშრო,  
ან ქარმა შეინოვა,  
წყენა — აშიშინდა, დაშრა.  
სადღაც, სიტყვის თავში,  
ანდა სუნთქვის შუა  
საშიში ჭრილობა ხასხასებს.

მე ხმას ვჭრი,  
ის ჩემს ლექსებს კითხულობს  
ხმამალა, გვერდ-გვერდად,  
ხაზ-ხაზად.  
მის ხმას ვჭრი,  
არადა, გული გამეკვეთა ჯობდა,  
გავიგებდი — მარტივად.  
ახლა კი მძასუხობს ყოველი კითხვისას:  
— შემეშვი,  
არ მტკივა.

მის ხმას ვჭრი,  
და ხმიდან სისხლივით დადინდა,  
რაც ჰქონდა — არ ჰქონდა — მსურდა რაც...  
და ვგლოვობთ — მე, მისი უთქმელი დარდი,  
და თოვს — თეთრი ხმაურის სუდარა.

**სამოთხე**

ორთოპედიულ სანდლებს ვიცვამ,  
მაგრამ ვერაფრით ვერ ვუშველი  
თუ ქუსლი შიგნით შემობრუნდა.  
თუ კოჭი შიგნით შემობრუნდა,  
ეს ნიშნავს, უნდა დავივიწყო  
ყველა გზა შენგან წასასვლელი.  
თმები დამემსხვრა ღერა-ღერა,  
სავარცხლის ტყეებს მიშრიალებ,  
ადრე — ტყდებოდა სავარცხელი.  
მზერა — სათვალის მონა არის  
ეს ნიშნავს — მხოლოდ შენ გიყურო  
და ვთვალო შენი მონაგარი.  
ხელი ამ კოვზის ტუსალია —  
მინა — უგემური სალაფავი,  
არ დარჩეს არცერთი მისხალი...  
საით წავიდე და სად დავბრუნდე,  
საით წავიდე და სად დავბრუნდე,  
მითხარი,  
მითხარი,  
მითხარი...

**მარილი**

როცა მარილს ვთესავ ჩემს კარ-მიდამოში,  
ვარჩევ ყველაზე მსხვილს, ყველაზე გამჭვირვალეს,  
ყველაზე ბრჭყვიალას —  
რომ ზამთრისპირზე,  
როცა მინა ნათდება მარილით,  
როცა მინა მარილით კვდება —  
აღმასების წლევანდელი მოსავალი ავილო.

უმდიდრესია ჩემი ბალი.  
როცა მარილს სისხლთან ვაზავებ —  
ვკრეფ ლალის ვარდებს,  
ორი წვეთი ცა — საფირონის ფურისულები,  
ზაფხულის დილის ნამცეცები —  
წლევანდელი ჩემი ქარვიდან  
მხოლოდ ნაწილმა გაიხარა — მეტი არც მინდა.

უმდიდრესია ჩემი ბალი,  
არ სჭირდება ტორფი, სასუქი, წყალი, მზის შუქი —  
ამ ყველაფერს ისეც ვაგვარებ —  
მთავარია, როცა გიყურობ  
თვალში მარილი მიბრწყინავდეს სხვადასხვაგვარი,  
სულ სხვადასხვაფრად მოციაგე, სხვადასხვა ფერის...  
წარმოსახეების მოსავალი —  
შუშის კენჭები —  
ფერადფერადი, მოციაგე —  
უმეწიბას  
ვეჩქვევი...





\*  
 ლამის საეჭვო ჩანს, სიკეთე მოუტანოს ქართულ ლიტერატურას ლიტერატორობის შემოსავლიან პროფესიად ქცევამ. ახლაც კი, როცა ლიტერატორობა „ესთეტიკური კატეგორიაა“, ფაქტობრივად უკვე ჩამოყალიბებულია „სალიტერატურო მათემატიკა“. ის, რა თქმა უნდა, ნარკომაფიას ვერ უტოლდება, მაგრამ მაფიის ნიშნებს მაინც ამჟღავნებს. „ესთეტიკური კატეგორიის“ შემოსავლიანობა პუნქტუაციის მნიშვნელობაზე უნდა დაკონკრეტდეს: ამ არენაზე მოპოვებული პოპულარულობა უკვე ნიშნავს მატერიალურ სიკეთეს, ძალაუფლებას ნილნაყარობას და მსგავს კაი-კაი რამეებს. თუმცა რაც უფრო გაძვირდება სალიტერატურო ავანსცენა, ალბათ, მით უფრო სასტიკი გახდება მისი გადასანაწილებელი ბრძოლის წესები. აი, ეგრე.

\*  
 ეს სინდისილა გაკლდა. თითქოს სხვა ყველა შენი მეგობარია.

\*  
 ჭიაყელაც ზოგჯერ, მაგრამ ამება განსაკუთრებით — სიკვდილითა სიკვდილისა დამორგუნველი.

\*  
 არის ასეთი შთაბეჭდილება და რა ვქნა: შეიძლება, სიმართლისკენ (რომ არ ვახსენო უფრო პრეტენზიული „ჭეშმარიტება“) მიმავალი გასცდე ლიტერატურას. თუნდაც ისევე სელინჯერი მახსენდება. „თამაში ჭყავის ყანაში“ უკვე ძალიან ახლოს იყო სიმართლესთან. მეტიც, თითქმის სიმართლე იყო. და სელინჯერს ცოტა ხნით რომ გადაედო მისი დანერა, ალბათ, აღარც დაწერდა. ამასთან, შეიძლება ლიტერატურას ისე გასცდე, სულაც არაფერი დანერო — მაგალითად, მკითხველი, ჭეშმარიტებისკენ მიმავალი მკითხველი თუ ხარ. რუსთაველი და მისთანანი (ეს მისთანანიც როგორი სათქმელია), იტყვი. და მართლაც, ნუთუ იმათაც არ სჯეროდათ, რომ ჭეშმარიტებას ემსახურებოდნენ... ან: ნუთუ ეჭვი ეპარებოდათ, რომ ჭეშმარიტებას ემსახურებოდნენ და ასე წერდნენ ამხელა რამეებს? ნუთუ ეს მხოლოდ განაფულობის, ოსტატობის ჩვენება, სახელობო თამაშები იყო? თუ „ვეფხისტყაოსანის“ ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზაზე დაინერა და არა გზის ბოლოს? იქნებ ამყად კი არა (ეს რა მაგარი რამე დავტოვეო), ხელჩაქნევით მოკვდა რუსთაველი — ერთი მაგისციო?..

\*  
 თურმე, შეიძლება, წერა ყველაზე მეტად იმან მოგანდომოს, ვინმე ბრიყვი საგაზეთო სტატიას ბრიყვულად რომ ჩაგისწორებს, ან სამსახურის მაძიებელს ძლიერი იმს სამსახურისა ვინა ხარ, ვის დაჰკარგვიხარ, ტელევიზორიდან შენ არ მახსოვხარის მთქმელი თვალებით რომ შემოგხედავს.

წერა — გადარჩენა დღეს და არა გლობალური ხსნა; ყოფითი, ყოფიერი თავშესაფარი და არა — მარადიული სულიერი სიმშვიდის პორტი.

\*  
 სამყაროს აღწერა და არა მისი გაუმჯობესება — ეს იყოს (თუ არ არის) ლიტერატურის მიზანი.

\*  
 თუ სულ უფრო და უფრო გრძნობ, რომ უფრო მართალი არწერა, უნდა ისწავლო წერა, როგორც არა მთლად მართალი აქცია თუ საქციელი? თუ — არა, რა უნდა ქნა? რა უნდა აკეთო? აკი ცოცხალი ხარ?

2005

\*  
 აშკარაა — ჩვენში სალიტერატურო წარმატებებსაც ძალიან ხშირად განაპირობებს პირადი ურთიერთობები, რაც ზოგისთვის ყველაფერზე მეტად ჭირს — ჩვენებური ურთიერთობების სამინელი მრავალპლანიანობის (რაც, სულ ცოტა, სიყალბეს გულისხმობს) გამო თუნდაც.

\*  
 თანამედროვე სალიტერატურო პრესა (მის დიდ ნაწილს ვგულისხმობ. ან ასე:

# ზაზა ბიბილაშვილი პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი



ვგულისხმობ ერთ ნაწილს, მეორე ნაწილს კი — ნაწილობრივ) ემსგავსება სამეცნიერო პრესას. აქ მხოლოდ კრიტიკას ან ესეისტიკას კი არა, პოეზიასაც სალიტერატურო ფორმულადად შეხვდებით. თანდათან „სულ უფრო და უფრო სალიტერატურო წრეებისთვის“ იწერება. აქეთ სულა პილოტაჟის ხვეწად მიიჩნევა. მკითხველის ინტერესები? მკითხველში, უკვე უნებურად, მწერალი იგულისხმება (ჰო, მწერალი მკითხველი რომ ახსენებს, მეორე მწერალს გულისხმობს. ეს — იმის ნაცვლად, რომ წერისას მწერალიც მკითხველი (მკითხველიც) იყოს).

იქნებ ეს შეჯიბრია მწერალთა შორის. მაშინ აშკარაა — კონკურსანტები თანდათან იქით და იქით გარბიან, სადაც მაყურებელთა ლოყები აღარ არის. მაყურებელად შეიძლება მხოლოდ შედეგის შესახებ ინფორმაციამ მოაღწიოს, ოღონდ ეს ინფორმაცია ან იქნება ჭეშმარიტი, ან არა — შეჯიბრი ხომ მართლა სირბილში კი არა, ისეთ რამეშია, ადვილად რომ ვერ გაარკვევ, ვინ უფრო კარგად და ზაზაბიანად იასპარეზა.

კი, ბატონო, როგორც ვიგულისხმე, სამეცნიერო პრესაც კია ასეთი, მაგრამ სამეცნიერო კამათი და სჯა-ბაასი იმისთვის იმართება და გრძელდება თუნდაც ცლობით, რომ თუნდაც ამ წლებს შემდეგ სხვებმა — არამეცნიერებმა (იმავე მეცნიერებთან ერთად, რა თქმა უნდა და თუ გნებავთ) იგემონ იმ კამათისა და სჯა-ბაასის პრაქტიკული, მარტივად დასაგემოვნებელი ნაყოფი; რაც ვერ მოხდება სალიტერატურო პრესის შემთხვევაში, ვინაიდან ამ პრესის შინაარსი თავისთავად ერადერთი ნაყოფია არალიტერატორი მკითხველისთვის.

\*  
 დღევანდელი მკითხველი — როგორც არის ის, და რომელიც, ასე თუ ისე, არსებობს — ვერ ასწრებს, მიხვდეს, რა მოეწონა და რა — არა; მით უმეტეს, ღირებულებების ჩანვდომას ვერ ახერხებს. მან უნდა მოასწროს ერთად თავდატეხილი ბორხესის, პავინის, კუნდერას, ეკოს, აკუნინის... ნაკითხვა და აღტაცების შორისდებულების გამოთქმა — ესეც მიღწევაა. ამას ემატება თანამედროვე ქართული — „საბა“, ტელემწერლები, აკა მორჩილაძე (ისე, ჯობდა, ეს მწერალი მაინც სიაზოვნებისთვის წაეკითხა). პოეზია ხომ საერთოდ...

\*  
 კი, არის მკითხველი, რომელიც თავად არ წერს, მაგრამ ისიც საინტერესო კატეგორიაა: მას აინტერესებს მწერლობა, როგორც უცნაური, ეგზოტიკური საქმიანობა; საქმიანობა, რომელიც თავად მას არ შეუძლია.

\*  
 თუკი წიგნი მართლა ადამიანის გაკეთილშობილებას უწყობს ხელს — რასაც ბევრი არ უნდა უარყოფდეს და ცოტა არ უნდა ამტკიცებდეს — საბოლოო სიკეთის მისაღებად მკითხველის რაოდენობა უმნიშვნელოვანესია; ხოლო თუ დავა-

კონკრეტებით — ამისთვის უმეტესობა უნდა კითხულობდეს წიგნს, კითხულობდეს იმ ხარისხით და ოდენობით, რომ მის ზემოაღნიშნულ გავლენას გრძნობდეს. თორემ, ალბათ, არ არის ძნელი წარმოსადგენი, რა დაემართება ათიდან იმ ერთ ადამიანს, რომელიც, დანარჩენი ცხრისგან განსხვავებით, წიგნებს კითხულობს და მათ კეთილმოყოფელ (?) გავლენას გრძნობს.

არიან ადამიანები, ნახევარი ცხოველები მაინც წიგნებიდან რომ ისწავლეს (თუ როგორ — ეს იმ წიგნების სინდისზე იყოს!), წიგნების მიხედვით რომ ცდილობდნენ საკუთარი თავის დახვეწას (კეთილშობილების განხრით), თუმცა იქნებ ხვდებოდნენ კიდევ, სხვებიც ასევე თუ არ მოიქცეოდნენ, ცუდად რომ იქნებოდა მათი საქმე...

ერთი საქმეა კარგი წიგნის დანერა და მეორე — მისი მკითხველამდე მიტანა. ანუ ეს ორივე, სინამდვილეში, ერთი საქმეა. კარგი წიგნის მხოლოდ დანერა და დადგება იმის იმედად, რომ ათასიდან ერთი მაინც წაიკითხავს, ბოროტებაა იმ ერთის მიმართ ჩადენილი. ეს ნამდვილად ასეა მაშინ მაინც, როცა მკითხველში ზავში, მოზარდი იგულისხმება.

ასე რომ, დანერა წიგნშივე უნდა იდოს მისი ნაკითხვის (ნაკითხვინების) მექანიზმები. ეს მწერლის მთავარი, ოღონდ ჩვეულებრივი მოვალეობაა. რა თქმა უნდა, კარგია, თუ მწერალს მისი გამოცემისთვის და მისი გამოცემის შემდგომ ბედზეც შეუძლია ზრუნვა, მაგრამ მას ეს ხშირად არ გამოსდის (და არაფერი დაშავდება, თუ გამოჩნდება ვინმე მენეჯერივით, ამ ყველაფერს რომ მიხედავს)...

\*  
 ჩემს მეგობარზე უთქვამს ერთს (მის მეგობარს) — ეგ აღმოსავლური ენებიდან თარგმნის და რასაც თარგმნის, ორიგინალსაც იმასვე წერსო. ამან ჩემი ადრინდელი შთაბეჭდილება გამახსენა — ახალმა ქართველმა ვერლიბრისტებმა, მგონი, ჯერ ინგლისური ისწავლეს და მერე — წერა, ამერიკული თარგმნიან და მერე თავდაც იმასვე წერენ-მეთქი.

ვინ იცის, ეს ყველაფერი ევროპეიდთა და მონოლოიდთა ურთიერთაქმის ამბავივითაა — ჩვენ რომ ისინი ვერ გაგვიჩვენებია ერთმანეთისგან და იმათ ჩვენ ვერ გაუფრჩევებოდა, და ერთნი რომ გავიძახებთ მეორეებზე — ერთმანეთს რა მაგრად ჰგვანანო.

\*  
 სულ ეჭვით ვუყურებ საკუთარ თავსა და იმას, რასაც აქ ვწერ, მაგრამ ლიტერატურა თავისი არსით მართლა არ უნდა იყოს სექტანტური ტიპის დაჯგუფების შიდა საქმიანობა, დაჯგუფებისა, რომელიც მხოლოდ თავისი წევრების სულის გადარჩენაზე ან რაღაც ამდაგვარზე ზრუნავს და მეტი არაფერი აინტერესებს, ასე განსაჯეთ — გაფართოებისა და იდეოლოგიის გავრცელების მსგავსი თე-

მებიც კი სულ ფეხებზე ჰკიდია. თავისთავად, „თვითკმარი ლიტერატურა“ აბსურდია.

ეს ყოველივე, რასაც მე ახლა აი, ამ ჟურნალში ვკითხულობ, რაღაცნაირად საზოგადოებას უნდა მოეტანა (თუ მოსატანი იყო საერთოდ) და არა ერთგვარი საზღვრების გახსნას. და რადგან პირიქით მოხდა, შეუძლებლად მეჩვენება, ეს ლიტერატურა დიდხანს დარჩეს და მალე არ განქარდეს.

\*  
 თუმცა ვერ ვიტყვით, დაჩქარებული დროის ფაქტორს სულ არ ითვალისწინებდნენ ქართველი მელექსები (ალბათ, არამხოლოდ ისინი). იმაზე, რომ ითვალისწინებენ და მერე როგორ, მეტყველებს მათი პროდუქტიულობა და ამ პროდუქციის ნახევარფაბრიკატულობა. დრო არ ითმენს, რომ ნაწერი დაიხვეწოს. დახვეწაზე თუ დრო დაეკარგეთ, ხომ გაცილებით ნაკლები დაინერება, დაიბეჭდება და ანაზღაურდება... არადა, სწრაფად, ადვილად აღსაქმელის დანერა, ალბათ, სულ არ სჭირდება იმაზე ნაკლები დრო, ვიდრე რთულისას. მაგრამ ისიც საკითხავია, რითი იცხოვროს მწერალმა, ბევრი რომ არ წეროს და ბეჭდოს? გამსახურდისასავით 25 წელიწადი (როგორც მასხოვს) მოანდომოს ერთ „დავით აღმაშენებელს“?!

\*  
 იქნებ თანამედროვე სალიტერატურო ყოფის (იშვიათი) დადებითი ტენდენციაც კი იყოს მწერალთაგან კრიტიკის არარსებობის აღნიშვნა; მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკა (ალბათ) არსებობს და (შესაძლოა) თავად მხატვრულ ლიტერატურაზე ხარისხობრივად არანაკლები ვარაუდით (ეტყობა), პროზის, პოეზიის და მისთანათა ნიმუშები თავისთავად აღიქმება მოვლენად — მათი ხარისხის მიუხედავად, კრიტიკის ნიმუშები კი თავისთავად მოვლენად არ აღიქმება, რაკი ისინი რეალურ გავლენას ვერ ახდენენ სალიტერატურო პროცესებზე. ასეთი აღქმა, ალბათ, მართებულიცაა, რაკი კრიტიკის დანიშნულება ამ პროცესებზე ზემოქმედებაა, მაშინ, როცა პროზა-პოეზია-დრამატურგიას ასეთი მკაფიოდ განსაზღვრული დანიშნულება არა აქვს. დადებითი კი ამ ყველაფერში ის არის, კრიტიკის (გავლენის, სრულფასოვანი კრიტიკის) მოთხოვნა რომ არსებობს. ანუ „კრიტიკოსის ავტორიტეტისკენ“, სულა თუ არ არის დანყებული, მზერა მაინც უკვე მიმართულია.

P.S. კრიტიკის ჩანაცვლებას, ვფიქრობ, ამოდ და, დარწმუნებული ვარ, უზატიოსნოდ ცდილობს ერთგვარი „თვითკრიტიკა“, რაც იმას გულისხმობს, რომ მწერლები მეგობრებს საჩუქრად უძღვნიან დიტირამბულ (გნებავთ, „გამპირებელ“) სტატიებს და რაც უფრო საინტერესოა, საკუთარ თავსაც (ფსევდონიმს, ფსევდონიმით ან სულაც აშკარად) არ აკლენენ ასეთ ძღვენს. ჰო, ეს კრიტიკას ვერ ანაცვლებს, მაგრამ იმას კი ახერხებს, ზოგადად კრიტიკოსის ავტორიტეტს ავნოს.

\*  
 იმ გზაზე ვდგავარ, ხელოვნება (ლიტერატურა — ჩემ შემთხვევაში) ზედმეტი დანიშნულებისგან რომ უნდა გავათავისუფლო და ძირითადად ხელობის — ქვეყანაზე თავის გატანის როლი დავაკისრო თუ შევუნარჩუნო. ადრე იმასაც ვამბობდი, რომ ხელოვნების ჭეშმარიტება გაცილებით რეალური და მოსახელთებელია, ვიდრე, ვთქვათ, ფილოსოფიური ჭეშმარიტება; რომ, მაგალითად, ლამაზად თქმა უკვე პოეტური ჭეშმარიტებაა.

მაგრამ იქნებ სამყაროს შეცნობის უკეთესი და მართალი ხერხები სწორედ ხელოვნებას უწყდია? იქნებ არც ასე „მატერიალური“ (ადამიანური გავებით) სამყარო? განა სამყაროს შეცნობის ელემენტები არ გაჭიატდება ხოლმე სახელოვნებო პასაჟებში, პარალელებში, ასოციაციებში? ამ კუთხით სამყაროსთვის თამამად შეხვედ მხოლოდ ხელოვნებას შეუძლია. მეცნიერება ერიდება ამას. მას უფრო ზუსტი, უფრო „მატერიალური“ ცნებები სჭირდება, რათა სხვა სამეცნიერო დისციპლინების (ზუსტი მეცნიერებების) ფონზე მისი ჰიპოთეზები სასაცილოდ არ გამოჩნდეს... სხვა საქმეა, სადამდე „გაქაჩავს“ ხელოვნება, მის მიერ მოძიებული პარა-



ლელეებით დადგენილ სააქაო კანონზომიერებებს აქვს თუ არა (თეორიული) შანსი, რომ ოდესმე ჭეშმარიტების იმ მარცვლად შენივთდნენ, რომლის გალვივებაც (ჯერჯერობით, ისევე თეორიულად და იდეაში — ამით დავეკმაყოფილდეთ) შეიძლება.

\*  
მაშ, რა უნდა იყოს მიზანი? სახელის განთქმა? და როგორ უნდა გაითქვა სახელი? რა უნდა თქვან? სახელი გაითქვას? იმით, რომ სახელის განთქმა უნდა და ეს მოახერხა? შეიძლება, რომ სულ ეგ იყოს ლიტერატურა — საუკეთესო სასპეკულაციო ატრიბუტების მოძიება — სახელის განსათქმელად?

\*  
ახლა(ც) ის მომენტი მაქვს, როცა მგონია, რომ მწერალი არაფრით აღემატება ჩვეულებრივ ხელოსანს; ერთადერთით — ამბიციურობით. თავისი ხელობის კარგად გასაღება სურს, ეგ არის და ეგ (ვინ შედარებით უფრო პატიოსანი ხელოსანია და ვინ — ნაკლებად, ანუ უკეთესი და უარესი რომ აქაც არსებობს, ამაზე აღარ ვლაპარაკობ).

\*  
კატეგორიულობა არ არის ბრძენთა საქმე. აბსოლუტური სიბრძნე რომ არსებობდეს, ერთი ბრძენი სრულებით საკმარისი იქნებოდა. მით უმეტეს, ლიტერატურაში „პროფესიონალიზმი“ არ შეიძლება. არასერიოზული ჩანს, ყოველ შემთხვევაში.

\*  
არსებობს ბევრი მიზეზი, რის გამოც ბევრი არ უნდა წერო; ხოლო თუ მაინც ხელი გისწრებს, თავად გადაარჩიო და მხოლოდ კარგები გამოიქვეყნო — ნაიკითხეო. ბევრიც რომ გამოგდიოდეს სხვა ბევრზე კარგი, ადექი და იქიდანაც საუკეთესოები დაწერე. სხვამ რომ შეარჩიოს, ამისთვის ხომ ცუდების ნაკითხვაც დაუწევს?! ბოლოს და ბოლოს, ამდენია დაწერილი, ანუ ამდენია წასაკითხი. მკითხველმაც — რომ არსებობდეს — რა ქნას?! თუ შენსას არ იშლი და წერ, შენი შესაძლებლობების მიხედვით საუკეთესო მაინც დაწერე, რა!

\*  
ადრეც უნდა ჩამეწეროს რაღაც ასეთი, — რითმინი (კარგი რითმინი და კარგ-რითმინი) ლექსის წერისას რითმა ფორმას, სახეებს, აზრს და თითქოს სათქმელსაც კი ბადებს-მეთქი. ასეც შეიძლება თქმა: რითმა გეხმარება სათქმელის თქმაში? მაშინ, როცა საპირისპიროს აბრალებენ.

მახსოვს, ასეთი რამ ვაჟა დადიანიძემ მითხრა ვიღაცაზე — ვერ გავაგებინე, რომ რითმას აზრი მოაქვსო. ასე მარტივად მითხრა მაშინ, როცა პოეზიას იმდენს ვერ ვუბედავდი, მასზე კითხვის ნიშნების გარეშე მეფიქრა. ასეთივე კითხვის ნიშანი მოსდევდა ამ მოსაზრებასაც მაშინ, როცა კი თავში მომდიოდა და, სინამდვილეში, მოსაზრება კი არა, ფაქტი იყო, ლამის ყოველი ლექსის წერისას რომ ვაწყდებოდი. ოღონდ ეჭვიც იქვე ბრძანდებოდა: მერე ეს კარგია? მერე ეს შეიძლება-მეთქი?

თუ რითმა დაიმორჩილე (ან სხვანაირად — დაუმეგობრდი მას), ის თვითონ შექმნის პოეზიას, ან თვითონ გადაიქცევა პოეზიად. რითმა სათქმელს კი არ გიმრუდებს — გიხვეწს, კი არ გიკარგავს — გიჩენს; მხატვრული აზროვნების ფანტაზიას გიმახვილებს და გიმრავალფეროვნებს. „როგორ შეძლო სათქმელის ასეთ რითმებში მოქცევა!“ — აღფრთოვანებულია მერე მკითხველი. არც დაეჭვდება (არც უნდა დაეჭვდეს!) — თუ რითმის პოეზიად ქცევის კონდიცია მიღწეულია — რომ პასაჟის საფუძველი და დედა სწორედ რითმაა.

ამრიგად, როცა მავანი პოეტი ამბობს, რომ რითმა ხელს უშლის სათქმელის გამოხატვას, უკეთეს შემთხვევაში ეყრდნობა იმ უამრავი უნიჭო ლექსის არსებობას, რომლებიც, ზერელედ თუ მივუდგებით, სწორედ ამას ადასტურებს. თუმცა ასეთ შემთხვევაშიც ფაქტია, რომ ამ მავან პოეტს რითმასთან მეგობრობაზე და მის პოეზიად გარდაქმნის უნარზე წარმოდგენაც არა აქვს და, თუ პატიოსანი პოეტი მაინც არის, სხვისი რითმისმიერი

მშვენიერი პასაჟების გაცნობისას, ბევრი-ბევრი, შეიძლება ჩვეულებრივი მკითხველივით აღფრთოვანდეს — როგორ შეძლო სათქმელის ისე თქმა, რომ ასეთმა დახვეწილმა რითმებმაც კი ვერ გაუმრუდაო!

\*  
„ახალი ქართული ვერლიბრი“ — ლექსის შემოდგომა ხომ არ არის — როცა პოეზიაზე გულაყრილი მაინც წერ? ჰო, საკუთარი გამოცდილებაა, უფრო ზუსტად, შეგრძნება: გეზარება, მოტივს ვერ პოულობ, რომ მელოდიური, გასხებილი, მაგარი ლექსი ჩამოქნა; არადა, არის რაღაც, რისი თქმაც შეიძლება; შენც ინიშნავ, მერე კი მისდგები და იქიდან „ვერლიბრს გააკეთებ“.

\*  
„ახალი ქართული ვერლიბრი“ (ძირითადად) ენის შენახვის ფუნქციასაც ვერ ასრულებს. ენა ლამის უგულვებლყოფილია (სალიტერატურო ხარისხზეა ლაპარაკი). პოეზიისთვის კი არა, ზოგჯერ პროზისთვის საჭირო სიზუსტეც არ არის დაცული. ღმერთმა უწყის, რას გადმოსცემს ის — სათქმელის დედააზრს? მოკლე შინაარსს? თეზისებს? სიტყვაში ჩატენილ (უბრალოდ, აკუმულირებული არ ვთქვი) ნიუანსურ კოდებზე ლაპარაკიც ზედმეტია. თითქოს სინონიმები და მისთანანი შემთხვევით არსებობს ქვეყანაზე.

\*  
პოეზია, ერთი ენიდან მეორეზე ზუსტად, სიტყვა-სიტყვით გადმოტანილი, შეიძლება ამ მეორე ენაზე პოეზია სულაც არ აღმოჩნდეს.

\*  
ლექსის წერა არ უნდა იყოს სინამდვილის თარგმნა მკვდარ ენაზე, რომელიც მხოლოდ სპეციალისტთა ვინაობა წრემ იცის. პოეზია არ უნდა იყოს მკვდარი ენა. მერე — ძალით არ უნდა მოკლა.

\*  
მოდით, დროზე აუხსენით ფსიქოლოგი-ფიზიოლოგებო, რა ამბავია მათ თავს და ტყუილად ტვინს ნულარ აჭყლეტვინებით ამ პოეტებს! კარგი?

\*  
იქნებ გალაკტიონი ბევრზე იღბლიანი იყო: მოასწრო, გალაკტიონი გამხდარიყო და მერე მოიკლა თავი. ცოტა კიდევ უფრო მეტად მგრძნობიარე რომ ყოფილიყო, ან ცოტა კიდევ უფრო უარესი გარემო დახვედროდა, მოასწრებდა? შეძლებდა? გაიგე ახლა შენ, რამდენმა ვერ შეძლო, ვერ მოასწრო.

\*  
რა სჯობს — მწერალთა გაერთიანებას სახელმწიფო კანონის საფუძველზე პირდაპირ აფინანსებდეს, თუ — რაღაც ტენდერის შედეგების მიხედვით? რომელი ვარიანტი უფრო „მოითხოვს“ ამ გაერთიანებისგან სახელმწიფოსთვის (ხელისუფლებისთვის) ანგარიშის განევას? რა თქმა უნდა, ასეთი „მოთხოვნის“ მექანიზმი მერე შემთხვევაში უფრო ჩანს; მით უმეტეს, თუ კონკურსში გამარჯვებულ გამოცემებს რამდენიმე თვით აფინანსებენ: ნებისმიერ ასეთ რამდენიმე თვეში შეიძლება შეგინდეს დაფინანსება; ასე რომ, ჭკვიანად იყავი!

რამეს კი არ ვეჭვობ — მექანიზმი მექანიზმია.

\*  
რატომ ხდება ხოლმე, რომ მწერლები ერის წინამძღოლის ფუნქციას კისრულობენ? ვამბობთ, რომ დღეს აღარ არის ასე და მწერალმა ეს საქმე მის ბუნებრივ პატრონს — პოლიტიკოსს გადაულოცა. არის თუ არა მართლაც ერის წინამძღოლობა პოლიტიკოსის და არა მწერლის საქმე?

ეს ასეა, თუკი წინამძღოლობაში ერის ნების გამოხატვა და განხორციელება იგულისხმება (რა თქმა უნდა, თეორიულად, თორემ სინამდვილეში როგორ გამოხატავენ პოლიტიკოსები ერის, ხალხის ნება-ინტერესებს, სხვა საკითხია). დიახ, ხალხი ირჩევს წინამძღოლებს, რათა მათ აღასრულონ მისი სურვილები. პოლიტიკოსი ერის, ხალხის წინამძღოლი რომ გახდეს, ამომრჩეველს უნდა მოსწონდეს, ამომრჩეველი მასში თავისი იმჟამინდელი ინტერესების

განმახორციელებელს უნდა ხედავდეს და არა — აღმზრდელს, განმანათლებელს. ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკოსი ხელისუფლებაში ვერ მოვა, ვიდრე თავის იდეებს სათანადო მასშტაბით არ გავრცელებს და დაწერავს. ამის ბერკეტი კი მას ზოგჯერ არა აქვს ხოლმე. მასმედია ამის მძლავრი იარაღიაო. მაგრამ საკითხავია, კონკრეტულ ვითარებაში ვის ხელშია ეს ბერკეტი — ახალი იდეის მქადაგებლის თუ კონსერვატორი ხელისუფლების. ამას გარდა, პოლიტიკოსის იდეები მშრალია, ფორმალური. კარგად დაწერილი ნიგნი კი მძლავრ ემოციურ მუხტს გადასცემს მკითხველს, თან უფრო სურათხატოვნად უხსნის იდეას თუ მოვლენას (ეს რომ მნიშვნელოვანია, თამაღებიც დაგვიმონებენ). მოკლედ, ახალი იდეების საქადაგებლად, საზოგადოების გარდასაქმნელად, აღსაზრდელად საჭირო ბერკეტი ზოგჯერ მწერალს უფრო მოეპოვება. ასეთ დროს, შეიძლება ვთქვათ, პოლიტიკოსები მწერლობენ (ზოგჯერ რომ პირიქითაა, ეს ვიცით) და ეს კარგად უნდა ჩანდეს XIX საუკუნის საქართველოში (აკი ძირითადად ამ დროს გვწინამძღოლობდნენ მწერლები).

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების ქცევა. ის, უდიდესი უმრავლესობით არჩეული, გამუდმებით დგამს, თავისივე თქმით (ზოგჯერ ამაყად თქმით. თუმცა ამას რაღა თქმა უნდა), არაპოპულარულ ნაბიჯებს. ეს აბსურდული ქცევაა. არ შეიძლება, ხალხმა არაპოპულარული (ანუ ხალხისთვის არასასურველი, მიუღებელი) საქმეების გასაკეთებლად აგირჩიოს. და თუ ხალხმა აგირჩია, შენ კი გამუდმებით არაპოპულარულად იქცევი, გამოიღს, რომ ხალხი კარგა მაგრად მოატყუე. თუმცა შენ ამბობ, რომ ამ ყველაფერს სწორედ ხალხისთვის სწადიხარ; ანუ იმას, რაც მას არ მოსწონს, მისივე კეთილდღეობისთვის აკეთებ... ასე ბავშვს ექცევიან უფროსები.

შეიძლება გარკვეულ შემთხვევებში ხელისუფლება მართლაც იყოს — ხალხის ნების წინააღმდეგ მისივე სიკეთისთვის იქცეოდეს, მაგრამ ეს არ არის ერის წინამძღოლობა. ეს არის ხალხის მოტყუება და ხელისუფლების ერთგვარი უზურპაცია. დიახ, ზუსტად ასეთივე „წინამძღოლები“ არიან ერისა პუტჩისტები და მისთანანი. ამბობენ, პინოჩეტიმ უშველაო ჩილეს, მაგრამ ის ერის წინამძღოლი არ ყოფილა. მას ჰქონდა მოსაზრებები, რომლებიც სხვა ჩილელების მოსაზრებებზე მართებულად მიაჩნდა და რომელთა განხორციელების ძალა შესწევდა. და თუ ჩილეში, ვთქვათ, გამართლდა ხელისუფლების უზურპაციამ, რამდენ შემთხვევაში არ გაუმართლებია?

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერის ჭეშმარიტ წინამძღოლთა გზა ყოველთვის სასარგებლო ყოფილა ერისთვის. საერთოდ, არაფერს ვამტკიცებ. უბრალოდ, მომეჩვენა, რომ მწერალთა ერისმამობის მოვლენის ახსნას მივავაგინე... მწერალს სრული უფლება და საშუალება აქვს, თუნდაც რადიკალურად დაუპირისპირდეს საკუთარ ერს. გადაიბრებს თუ ვერა, ეს სხვა საქმეა. ამასთან, მწერალიც წამოგება ხოლმე იაფფასიანი პოპულარობის სატყუარიან ანეკსზე, მაგრამ სად რა არ ხდება... ფაქტია, რომ მწერალი გაცილებით უფრო თავისუფალია, ვიდრე პოლიტიკოსი. და ამ მხრივ წამდელიად სჯობია მწერლობა პოლიტიკოსობას.

\*  
მგონი, ძალიან მარტივად არის ეს საქმე: პოლიტიკაში ადამიანები იმიტომ კი არ

არიან, რომ სამშობლო უყვართ, არამედ იმიტომ, რომ პოლიტიკა ინტერესებთ (შეიძლება გავაგრძელოთ: როგორც პირადი კეთილდღეობის გზა და ხერხი და ასე შემდეგ). ერთი პროფესიაა, რა.

\*  
აბსოლუტურად გასაგები, მისაღები, ბუნებრივია, რომ ყველა (ალბათ) ბედნიერებასთან მიახლოებას ცდილობს, მაგრამ როგორი არამართალია ბედნიერი, ჰა, ნუთუ მეტი ხნით ბედნიერი ადამიანი!

\*  
ამ ტიპის ადამიანებს გულისგულში არ სურთ, ან არ შეუძლიათ, დაიჯერონ, რომ მათი (არა მხოლოდ მათი, სხვებისაც) ამქვეყნად მოვლინება ერთი პატარა შემთხვევითობაა და ამდენად, ლამის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვთქვათ, ვის შეერთავენ ცოლად. იმ ერთადერთს, ბედისწერისას (რისიც — ჰკითხე, თუ გინდა — არ სწამთ) ეძებენ და ელოდებიან (მაინც ან თითქოს).

\*  
ქალი ზოგჯერ არ გაძლევს უფლებას (ან საშუალებას), თანასწორად აღიქვა. ან-ყოფს თავისი „დისკრიმინაციული სტატუსი“, რასაც უპირატესობად იყენებს. „რატომ მიჩრეხ საქმეს — კაცი ხომ არა ვარ? მერე რა, თუ გუშინ ისე ვთქვი და დღეს ასე ვამბობ? პასუხი კი არ მომთხოვო, მოიქეცი ისე, როგორც გიღირს“...

\*  
ბევრ კარგ ქალს ვერ შეხვდები (უბრალოდ „შეხვედრას“ არ ვგულისხმობ). ობიექტურად მეტი შანსია, მეტ „საპირისპირო ხასიათის“ ქალს შეხვდე. და იმიტომ კი არა, რომ მეორე მეტია, ვიდრე პირველი; არამედ: პირველს თუ შეხვდი, დარჩები მასთან. მეორისგან წამოხვალ, მეორისგან წამოხვალ, მეორისგან წამოხვალ (რა თქმა უნდა, ისიც საკითხავია ამ დროს, შენ თვითონ ვინ ხარ და როგორი)...

\*  
მესია, ხსნა, გადარჩენა... იყო როდეს ყველაფერი გადარჩენა? რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ გადარჩენა? საერთოდ, რა არის ეს გადარჩენა? როგორ უნდა გადარჩინო კაცობრიობა? ან ერთი ადამიანი თუნდაც?

\*  
ძნელია, წარმავლობის კერძ ცხოვრებას რამე ჭეშმარიტი, იმავე წარმავლობის ფონზე გამოსაჩენი რამე გამოსწურო; როცა ყოველდღიურ სარჩოზე ჯახირობ — ხომ მით უმეტეს.

\*  
იმას რომ მიაღწევ (თუ მიაღწევ), სიკვდილი რომ ფეხებზე გკიდია, სულ რომ არ გადარდებ, როდის მოვა და როდის არა; და ეგეც რომ არ არის მნიშვნელოვანი; რაკი სიკვდილის წამის მერე სულ ერთია, მანამდე გეშინოდა თუ არა სიკვდილისა...

თუნდაც ჯობის თვალსაზრისით ვთქვათ. გავაპროვონოთ სიკვდილი და ასე ვთქვათ: სიკვდილს ვერ აჯობებ. სულ ფეხებზე რომ დაიკიდო, მაინც ვერა. იმიტომ, რომ ის შენს შესაშინებლად და დასათრუნად არ მოდის. ის თავისი საქმისთვის მოდის და სულ ფეხებზე ჰკიდია, შენ ფეხებზე გკიდია თუ არა.







კატო  
ჯავახიშვილი

**მუნდშუკი**

ბებიაჩემი მუნდშუკით ენეოდა. ყელზე მარგალიტის მძივს აისხამდა. კუზნეცოვის სერვიზის მონარჩენ ჩაის ჭიქაში ფერადი ყვავილების ჩაის ჩაიყრიდა, ფაიფურის სამოვარიდან ქაფქაფა წყალს ჩამოასხამდა, დაჯდებოდა მერე თავისი თეთრი თმით და ლურჯი თეთრწინკლებიანი კაბით, სადაფისტარიან მუნდშუკში უფილტროს შეაკეთებდა, კვამლს ერთხანს ფილტვებში ჩაიგუბებდა და ოდნავ ჩახრინწული ხმით ბაბუაჩემზე მიყვებოდა. მიყვებოდა, როგორ გაიცნო ულვაშანკეპილი, გალიფეშარვლიანი და აზიაცკებიანი ბაბუაჩემი. მიყვებოდა, როგორ მოიგო ჯირითი ქალაქელმა ბაბუაჩემმა და როგორ დააკარგინა მოსვენება ჩემ ბებიაჩემს. მიყვებოდა, როგორ შეუყვარდა ულვაშანკეპილი ბაბუაჩემი და როგორ მისთხოვდა სწორედ იმ ბაბუაჩემს, რომელმაც მერე, ბევრი წლის შემდეგ, შუბლში სილა უნდა იტყვიოს, როცა პირველი შვილიშვილი გოგო ეყოლება. და მერე, ბევრი წლის შემდეგ, სწორედ ეს გოგო საკუთარ თავზე მეტად უნდა შეუყვარდეს. მიყვებოდა, როგორ გაუჩნდა ზედიზედ სამი გოგო და როგორ რცხვენოდა, რომ ბაბუაჩემს ბიჭს ვერ უჩენდა. ეს ყველაფერი მე ჯერ კიდევ არ მახსოვდა. ბავშვი ვიყავი, დიდი, მსხლებივით ლოყები ყელის ფოსოებამდე მწვდებოდა და ქალაქისხელა თვალები ღილებივით მიმრგვალებოდა.

ბაბუაჩემი ქალებში დადიოდა. თანამდებობის პირი იყო და ქალებში დადიოდა. ქალებში დადიოდა და შვილებს იმ ქალების სახელებს არქმევდა. ეს მანამ, ვიდრე ზედიზედ გამოჩენილი ორი ბიჭი არ აჩუქა ბებიაჩემმა და საკუთარი დედობა გვარის გამგრძელებლებით არ გაამართლა.

ერთხელ, ბებიაჩემი ავად გახდა და თვალები დახუჭა. ბაბუაჩემს კი თავისი სიყვარულის სანაცვლოდ, ორი ბიჭის დანაკარგი მიუსაჯა. ორი ბიჭის დანაკარგი, რომელთაგან ერთი ნაპირებმორღვეულმა აფხაზეთმა წაიყვანა, მეორე კი თვითმკვლელთა სევდამ უკვე გაზრდილი „მე“-ს განაჩენად ქცეულ სინამდვილეში გაინაპირა. ჰო, ჰო, ორი ბიჭის დანაკარგი და ჩემი სიყვარული დაუტოვა სასჯელად.

სადაფისტარიანი მუნდშუკი კი ახლა მე მაქვს.

**აკითხველს**

ყოველთვის, როცა წვიმა ჩემს სახლში ფეხშიშველი შემოდის და ატბორებულ ლოგინზე, როგორც ადამიანებისგან შეკრულ ტივზე, ჭერშითვალეებშეწყობილი, დედიშობილა ვნევარ, როცა ქალაქს არცერთი ქუჩა ტანში აღარ ეტევა და ყელიდან ამოზრდილი შენობები ობმოდებულ კედლებს უწყლობით ამართლებენ, სასულეში გადაცდენილი ორცხოობილას ნამცეცხვით ვიხრჩობ საკუთარ გულს და ვფიქრობ შეშუპებულ ცაზე, ზეფირის ღრუბლებში, ალაგ-ალაგ, სისხლჩაქცევები რომ გასჩენია. ყოველთვის, როცა მახსენდება ადამიანების ღმერთი და ღმერთში — თავი და თავში — შვილი და შვილში — კაცობრიობა, ამ კაცობრიობიდან — მომავალში გაჩეხილ ხესავით ამოიზრდება ხოლმე ჩემი მეგობრის გარდაცვლილი ბებია, რომელიც ამბობდა, რომ ცხოვრება არ იკურნება, და სამუდამო სნეულებებაში დაბადებულები ერთ დიდ ტყეში უჩინარდებიან, ტყეში, სადაც ვერმოსასწრები ცხოვრება უფრო მეტია, ვიდრე სხვა ადამიანური სისუსტეები, რომლებიც ჩვენ, ადამიანებმა, მოლოდინის გასამართლებლად მოვიგონეთ.

ყოველთვის, როცა ჩემი სახლის არარსებულ ავიანზე ბეტონში ჩარგული ყვავილივით ქუჩისკენ ვინეე, საიდანაც მთელი ქალაქის ბავშვები დაბადებიდანვე ბრუნდებიან, სადაც მთელი ქალაქის წიგნები დაუბადებლად რჩებიან და სადაც, ერთი დიდი ტყუილი უბრალოდ დგას,

რომ რამენაირად წონასწორობა შეინარჩუნო, წონასწორობა, რომელიც შეიძლება სულაც არ გჭირდებოდეს, რადგან წონა ზუსტად იმდენი დაკარგე, რამდენიც შეიძინე და მაინც, ამ ყველაფერს რალაცნაირი უზუსტობა ახლავს, ერთი დიდი ცხოვრებისეული უზუსტობა, რომელშიც ყველა წიგნი ტყუის, განსაკუთრებით ის, რომელსაც ცხოვრობდი, რომელშიც ყველა პერსონაჟი ტყუის, განსაკუთრებით იქ, სადაც კითხულობდი, რომელშიც ყველა მწერალი ტყუის, განსაკუთრებით ის, რომელსაც ამართლებდი, ჩემი მეგობრის ბების უკურნებელი ცხოვრებიდან გადმოვიღე და გეუბნები: — მკითხველი — ღმერთია! განსაკუთრებით ის, ვინც ვერ მოვიდა.

**მიქვანა. არაპის**

საცეცები გამოყო. საცეცებიდან ტანი გამოაძვრინა და გავარვარებული მარწუხებით მაგრად მოჭყლიტა ადამიანის ხორცი. ტკბილია. რძიან-გულსართიანი. გულსართი ამონუნა და ორი წყვილი ყბა აამუშავა. გულსართი ამონუნა და ფასეტური თვალით ძვალ-სახსარი მოიარა. გულსართი ამონუნა და თავ-მკერდით კისერში შეძვრა. ადამიანის ხორცი გადააგუნდავა და სქესი დაკარგა. ადამიანის ხორცი გადაზილა და ძვალი გამოაცალა. ადამიანის ხორცი გადაზილა და სისხლი გადანურა. იდგენ და მოლოდინი კლავდათ. იდგენ და მოლოდინს ვერ უძლებდნენ. იდგენ და მოლოდინს რძიანგულსართიანი კარამელივით პირში ატრიალებდნენ, —

ისე როგორ მოვყვე, გული არ გაგისკდეს. ისე როგორ მოვყვე, გული დაგიბრუნო.

როგორც, რომ დღეა ახლა — იცი, როგორც რომ წოლა არ ნიშნავს ძილს და ძილი სულაც არ უდრის ღვიძილს. როგორც რომ ტკივილს ისე ღეჭავ, მგონია — წვალობ. როგორც რომ ვითომ ცოცხლად ჩანხარ და შენი ღვიძლი — ფერდიდან ქვებად მოჩხრიალე ტკივილის გროვა და შიში, ისე ახლობელი — ბასრი და ცივი. და საკუთარ თავს ამ შიშშივე წინასწარ გლოვობ და საკუთარ თავს შიშთან ერთად სანოლში უცდი, — სიზმარი. კანფეტებს მოვიტან. დავესხდეთ და გავიყოთ . სიზმარი. ქვებია. ფერადი. ნაპირზე ჩამოვსხდეთ. სიზმარი. არ ვიცი აქამდე იყო, თუ არ იყო. სიზმარი. რა უფრო შორია?.. მინა, თუ სამოთხე. ცხადში კი — კანფეტი. საჩემო. აქ უფრო ბევრია. ცხადში კი — მინა ჯერ არ მიღებს და მხოლოდ მამოკლებს. ცხადში კი — შენ მტოვებ, რომ მარტომ გავლიო საჩემო ამბები. საჩემო გზები და. წლები და. და მოკლე..

როცა ყველა დაიღლება და შენც დაიღლები და როცა ყველა მოგწყინდება და შენც მოსწყინდები და როცა ტკივილი შეგეჩვენება და შენც შეეჩვევი და როცა ამ ტკივილში გაუფლელი ცხოვრება მოგენატრება და ფეხდაუკარებელ ამბებს მოიგონებ, და როცა ძალა აღარ გექნება, რომ საკუთარი თავი სიკვდილამდე მიაცილო, —

ისე უნდა მოკვდე, გული არ გაუსკდეთ. ისე უნდა მოკვდე, გული დაუბრუნო.

ხელთათმანი დაყარა. წყვილი თვალი საკუთარ ცხოვრებაში დააბრუნა და ხელთათმანი დაყარა. წყვილი ფეხი სახლის გზაზე გამოაბა და ხელთათმანი დაყარა. წყვილი ყური დაიყრუა და ხელთათმანი დაყარა. პალატებში აცდენილი ხმა დაანწყვილა და ხელთათმანი დაყარა. სიკვდილმისჯილთა ლაბორატორიიდან გამოვიდა და მოლოდინისჯილები სიზმრის ლაბორინთებში, როგორც შორეულ ნაოსნობაში, ისე გაუშვა. ტრიალებდა და ტრიალებდა ბორბალი. ფქვავდა და ფქვავდა ნისქვილი. ხორბალს — არა. დროს.

წყვილი ცხოვრება აწონა და კისერი თავ-მკერდში ჩამალა. თავ-მკერდში ჩამალა კისერი და ჯიბიდან რძიან-გულსართიანი ამოიღო. გულსართი ამონუნა და ამოისუნთქა:

კისერი. კიბოს კისერი. კიბოს კისერი. კ ი ბ ო .

**შიშილი**

მშოდა. ისეთი უცნაური შიმშილით და ისეთი უმომავლო დაპურებით, ისეთი საყოველთაო უძლურებით და ამ უძლურებაში ყველაზე დიდი სისავსით, ისეთი აკანკალებული ტანით და ამ ტანში დანგრეული კედლებით, ისეთი ადამიანებს გაქცეული სიყვარულით და ისეთი დაუბრუნებელი გზებით, საიდანაც მარტო დამარცხებულები ბრუნდებიან შიმშილმოკლულები საკუთარ თავებს რომ მოაცილებენ და ფრჩხილებდამძვრალი თითებით ერთი ღერი გადარჩენა მინდვრის ყვავილივით მოაქვთ. საიდანაც მარტონი ბრუნდებიან და მხრებზე გადებულ საკუთარ შიმშილს



ჭირისუფალივით მოარწმუნე.  
საიდანაც დაპურებული ბრუნდებიან  
და ომგამოვლილი წლებიდან დაბრუნებულებს  
საკუთარი შიმშილი ახრჩობთ.

მარტოა. თხილის გულისხელა ტანი აქვს. ღამე  
გრძელია თითქოს. სადღაც გულთან მოკლდება ძილი-  
სპირული ჯერ ადრეა. ან უკვე გვიან-  
დება და სიზმრისპირა ბილიკებს არღვევს  
შიმშილი. შია. საკუთარი თავიდან ღმერთი  
გაუშვა სადღაც. საზღვრისკენა ნარჩენებს ძიგნის  
ქორივით. უნდა ამოკორტოს  
ქორივით. ძვლები-  
დან უნდა ამოაძროს რბილობი, სადმე,  
ვინმესთან მიათრიოს მშვენი ტანი  
სადმე, ვინმესთან ამოჭამოს ხორხიდან სუნთქვა, —  
იხრჩობა. დროა. და ფხასავით გაჩხერილ სიტყვას  
უთქმელი თავი,  
სათქმელი დრო,  
ნათქვამი მინა, —  
ჩაიყრის პირში. ჩამოღეჭავს მომლაშო დღეებს  
შიმშილი. შია.საკუთარი ცხოვრება სხვაში.  
მარტოა. თხილის გულისხელა ტანი აქვს. თითქოს  
ინათა მაგრამ, სადღაც, გულთან მოკლდება  
ღამე.

მშობდა. ისეთი საზარელი შიმშილით და  
ისეთი უმომავლო დაპურებით,  
ისეთი გაუსაძლისი წასვლით  
და ისეთი გამოგონილი დაბრუნებით,  
ისეთი დაღლილი ცხოვრებით  
და ვერგანებულ გზებით,  
ისეთი ჩემში შემორჩენილი სიყვარულით,  
რომ მოვედი, შენი შიმშილი შევჭამე  
და ისევ მშვენი დავგრჩი.

„სიგუა“

ყოველ დილით ერთნაირად თენდებოდა.  
საჭმელი არ იყო.  
ყოველ დილით, დედა იწყებდა საუბარს სოფელზე,  
რომელიც არ გვქონდა და ამბობდა,  
რომ... რომ ყოფილიყო მინა,  
ჰო, რომ ყოფილიყო მინა, პირში მაინც ჩავიყრდი.  
ყოველ დილით, ნავთის სუნით აქოთებულ  
და ზურგჩანთააკიდებულ  
სკოლისკენ მივდიოდი და ვფიქრობდი,  
რა კარგია, რომ არ არის მინა,  
რა კარგია, რომ არ არის მინა  
პირში არ ჩამაყრიან.  
ყოველ დილით,  
იღვიძებდა ჩემი ბავშვობის რუხი ქალაქი და  
გადასასვლელზე ჩაღეჭილი მწვანე ნუშები  
ნაღმებავით ეყარა.  
მერე დედა მოიგონებდა ფევილის და კაკაოს ამბავს,  
ათქვიფავდა წყალსა და ზღაპარს  
და ნამცხვარსაც მოიგონებდა.  
მე მიყვარდა ეს ქალაქი.  
თავისი რუხი სადარბაზოებითა და  
ასფალტნაკლული ქუჩებით.  
თავისი მინისქვეშ ჩადებული ბიჭვითა და  
საერთო სადილებით.  
თავისი პურის რიგებითა და  
მშრალ ხიდზე ხელისკანკალით გატანილი ნივთებით.  
თავისი ჩაბნელებული ამბებითა და  
ბავშვობანაკლული თვალებით.  
თავისი საერთო ისტორიებითა და საერთო ღამეებით.  
მოვიდოდა მერე დედაჩემის მეგობარი და კაბას მიყიდდა.  
მოვიდოდა მერე ჩემი მეზობელი და პურს შემოიტანდა.  
მოვიდოდა მერე ვიღაც უცნობი და პურს გაგუყოფდით.  
მოვიდოდა მერე ღამე და ერთი დიდი ღამის ქვეშ  
ერთი მკრთალი საღამოს ქვეშ  
ერთმანეთს ხელებს ვუთბობდით.  
გამოყოფდა სქელი ჯემბრიდან დედაჩემი ხელს და  
ჩემსას შეითრევდა.  
გამოყოფდი სქელი ჯემბრიდან ხელს მე და მისას.  
მე მიყვარდა ეს ქალაქი.  
თავისი უცნაური გაჭირვებითა და  
გაუსაძლისად მუქი ფერებით.  
თავისი ჩამსხვრეული ფანჯრებითა და  
კომენდანტის საათებით.  
თავისი უპაერო სივრცით და ბევრი ჟანგბადით.


ყოველ დილით ერთნაირად თენდება.  
საჭმელი ხან არის, ხან არა.  
ყოველ დილით,  
იღვიძებს ჩემი ბავშვობის რუხი ქალაქი და  
ვამბობ:

ქალაქი უნდა იყოს თეთრი.  
ან — უკიდურეს შემთხვევაში რძისფერი.  
ბავშვები უნდა დადიოდნენ ხელიხელჩაკიდებულები.  
ერთმანეთთან, ან უკიდურეს შემთხვევაში მშობლებთან.  
ნამცხვარი უნდა იყოს შავი.  
ან უკიდურეს შემთხვევაში — კვერცხით.  
მერე, სუნნამაქოთებული გამოვდივარ სახლიდან და  
ვამბობ:

რომ იყოს მინა,  
ჰო, რომ იყოს მინა,  
პირში მაინც ჩავიყრიდი.

ლევან გელაშვილი

კუბი



პროზა ოდესღაც და სადღაც კუბი იდო. უფერო,  
უსასრულო სივრცეში დიდი თეთრი კუბიდან წინასწარ-  
განსაზღვრულობისგან თავის დასაღწევად ხმები ისმო-  
და: ტუკ... ტუკ... ტუკ...

ეს ხმები დროგამოშვებით სიჩუმეს სერავდა. კუბი კი  
იდო უძრავად, მარადისობის ცენტრში.

ერთმა ხეიბარმა კაცმა გამოიარა, კოჭლობით ძლივს  
მოიჭაჭებოდა. კუბი რომ დაინახა, გაუხარდა, ხვნი-  
ხვნი ზედ ჩამოვდა და დაისვენა. სული რომ მოითქვა, ისევ  
განაგრძო გზა. მერე მოვიდა ფუფუნებისგან გაზულქე-  
ბული კაცი. კუბზე ზღაპრული სუფრა გაშალა, გვარიანად  
გეახლათ, გამოძღა და ბოყინ-ბოყინით წავიდა. ცოტა ხნის  
შემდეგ იარაღის მკეთებელმა ადამიანმა გამოიარა, ერთ  
ხანს უყურა კუბს, გამოწონობილი მზერა უსასრულო  
სივრცეს მოავლო და ჯიბიდან საათის მექანიზმიანი ბომ-  
ბი ამოიღო. ბომბი ზედ კუბზე დაამაგრა და დაელოდა, რა  
მოხდებოდა. აფეთქებამ სინათლისა და სივრცის ფიზი-  
კური ვიბრაცია გამოიწვია, მაგრამ კუბს ვერაფერი დააკ-  
ლო. იარაღის მკეთებელმა კინკრისხის ფხანით კუბს შე-  
მოურა. სივრცის კონტექსტის იდუმალი ხიბლი ცდუნები-  
სგან თავის დაღწევის საშუალებას არ აძლევდა. ისევ  
ბომბები ამოიღო და კუბს ოთხივე კუთხეზე დაამაგრა.  
აფეთქება ძალიან ძლიერი იყო, იმდენად ძლიერი, რომ  
იარაღის მკეთებელი ადამიანი შორს გადაისროლა.

იდო კუბი უსასრულო სიჩუმეში, დაუზიანებელი და  
უზენებელი.

მერე ფეხების ბაკუნით პირველყოფილმა, კეთილშო-  
ბილმა კაცმა, პატარა წარუყვნილ არსებასთან ერთად  
გამოიარა. გაუხარდა კუბის დანახვა, ზედ წამოწვა, შვილი  
კალთაში ჩაისვა, ხმურიანად დაამთქნარა, ტკბილად ჩაე-  
ძინა და ხვრინვაც ამოუშვა. ესეც რომ წავიდა, მოვიდა  
ადამიანური მოღვაწეობის რომელიღაც სფეროს წარმო-  
მადგენელი, რომელსაც უამრავი მიზეზი ჰქონდა იმი-  
სთვის, რომ ამა თუ იმ ადგილას მოხვედრილიყო. შეხედა  
კუბს, ძლიერ მოეწონა, ზედ ავიდა და კუბი, როგორც  
პოლიტიკური ტრიბუნა, ისე გამოიყენა. მგზნებელი სი-  
ტყვიით მიმართავდა მასას, რომელიც ჯიუტად განმეორე-  
ბადი ყალიბის ადამიანებისგან შედგებოდა. კაცი გულში  
მჯილის ცემით, ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ, ხალხს  
მიმართავდა. ნაცრისფერი მასა ჯერ სულგანაბული უს-  
მენდა, მერე აუჯანყდა და ყველა ერთად ჩოჩქოლით და  
შეძახილებით გაშორდა იმ ადგილს.

კუბი კი იდო სიჩუმეში.

გამოიარა კიდევ ერთმა კაცმა, რომელმაც კუბზე ჩუ-  
ქურთმიანი ორნამენტები დახატა, თეთრად დარჩენილი  
ადგილები შეღებდა. ადამიანსა და ნივთს შორის დამყარე-  
ბული ინტიმი სწრაფი ცვლილების უნარის მქონე წარ-  
მავალმა სინამდვილემ შეცვალა. კუბთან განშორებით  
გამოწვეული სიცარიელე კი დამსახურებულმა სიჩუმემ  
შეაჯავ.

უსასრულო სივრცეში უფერო კუბი იდო უძრავად.  
ერთხელაც მოვიდა საინტერესო რამის პოვნის აუცი-  
ლებლობით განპირობებული ადამიანი. სქელი კისერი,  
ტლანქი ნაკვთები და დიდი, კეთილი თვალები ჰქონდა.  
თვალს რომ ახამხამებდა, მოჭუტვის მომენტში გეგონე-  
ბოდათ, თვალები საერთოდ არ აქვსო. ეს კაცი თეთრ უს-  
ასრულო სივრცეში იდგა და ადამიანთა საერთო ბუნები-  
სთვის დამახასიათებელი ცნობისმოყვარეობით უყურებ-  
და კუბს. ეს უხსტად ის ტიპი არის, ჩემო მკითხველო, ვისაც  
ამდენი ხანი ელოდით. თუ თქვენ დაკარგეთ ყველა შანსი,  
რომელიც გიბიძგებათ არაოფიციალურ, შეუცნობელ  
სამყაროში გადასვლისკენ, ჯერ კიდევ შეგიძლიათ მი-  
თოლოგიური არქეტიპების ეს ტექსტუალური რძე დააგე-  
მოვნოთ. ახლა აქ ამბები მოხდება, ცამ ქუხილი დაიწყოს.  
გაისანგამდივით სიამოვნება, დაფიქრებით და ნელა წაი-  
კითხეთ. მოკლედ, კეთილთვალეობიანმა კაცმა კუბს  
გარშემო რამდენჯერმე შემოუარა და ხელი გადაუსვა.  
თქვენ არც კი იცით, რა მრავალმნიშვნელოვნად გააკეთა  
ეს. ხომ ხვდებით, ეს ის ტიპი ნამდვილად არ არის, კუბს  
რომ ტრიბუნად ახამოყენებს, ზედ დახატავს, დაიძინებს  
ან აფეთქებს. მან, უბრალოდ, ბევრი იფიქრა, რის შემდე-  
გაც ადგა და ეს დიდი კუბი, პატარა კუბიკებად დაშალა,  
როგორც აგურები ისე გამოიყენა და კედელი ააშენა, მა-  
გრამ, როგორც კი ეს კედელი აღმართა, მაშინვე ჯარი  
გაჩნდა და დაანგრია. ერთი გამოიქროლა, ნაცარტუტად  
აქცია და გაქრა. კაცმა კედელი ისევ ააშენა და ახლა სხვა  
მომხედურმა დაუხვრია. კედლის აშენებისთანავე, თითქოს  
მინიდან ამოიზარდაო, თვალის დახამხამებაში ჩნდებო-

და ჯარი და იერიში მიჰქონდა კედელზე. რადგან კედელ-  
მა კაცი ვერ დაიცვა, კაცმა კედელი დაშალა და სახლი  
ააშენა, მაგრამ სახლი იმდენად პატარა გამოვიდა, რომ  
ნივ ვერ შეეგია. ესეც რომ არ გამოუვიდა, თვითმფრი-  
ნავი გააკეთა, მაგრამ ვერ გაფრინდა, მცირე მანძილით  
აინია ჰაერში და ისევ იმ უსასრულო სივრცეში დაეცა და  
კუბიკებად დაიშალა. რადგან თვითმფრინავითაც ვერ  
გაცდა უსასრულო სივრცეს, კუბიკებისგან კიბე გააკეთა.  
მაგრამ, აბა, სად აიყვანდა ეს კიბე? კიბეს ერთი მხრიდან  
რომ აუყვებოდა ზემოთ, მეორე მხრიდან ისევ იმ უსასრუ-  
ლო სივრცეში ქვემოთ ჩამოდიოდა. ხო, მართლა, ამ ამ-  
ბავზე გამახსენდა — აქ რა შუაშია, მაგრამ მაინც: ოდეს  
ზედ აიზიდები ქვე, მაშინ ქვე დაიზიდები ზე. დიდებული  
ფრაზაა, სადღაც ნამიკითხავს. მოკლედ, მერე ეს კაცი  
ადგა და კუბები პატარა ფილაქნებით გამოიყენა და გზა  
დააგო, მაგრამ გზასაც არსად მიჰყავდა. განუსაზღვრე-  
ლი სივრცის, ერთი მხედველობის კადრული ჩარჩოდან  
რომ გავიდოდა, ისევ იმ უსასრულო სივრცეში ჩარჩოს  
მეორე მხრიდან ბრუნდებოდა, საიდანაც თავდაპირველად  
დაიწყო მოძრაობა. აბა, ის გზა რად ვარგოდა, თუ არ-  
საითქენ მიდიოდა. რადგან გზამ ნაგულისხმევი მოლო-  
დინი ვერ გაამართლა, კაცმა ბევრი იფიქრა, თუ ცოტა იფი-  
ქრა, ბოლოს გადაწყვიტა, კუბიკებისგან ყუთი გაეკეთ-  
რებინა. უფერო, უსასრულო სივრცეში თეთრი კუბის  
ზღვრული დაძაბულობა მისი ყუთად გადაქცევის ჰორი-  
ზონტმა გაფანტა. ყუთის ფსკერი თეთრ სივრცეში ზე-  
მოდან შავი კვადრატით გამოჩნდა. ეს ნამდვილად  
დაძაბული მომენტია — თქვენი არ ვიცო, მკითხველო, მე  
კი ვგრძნობ, რომ საკვანძო მომენტს მივუახლოვდი და  
თითებიც გამოიფლიანდა. ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ  
კუბისგან ყუთის გაკეთება არც ისე იოლი მოსაფიქრებე-  
ლი რამეა. აი, დაუკვირდით! არ შეთანხმებით? კარგად  
მოკალათდით და განაგრძეთ კითხვა ან თუ გნებავთ,  
წამოწეით. მთავარია, კითხვა არ შეწყვიტოთ. ყველაფერი  
შეგიძლია გაყო, მაგრამ უსასრულობას მაინც ვერ შეიძლე-  
ნებ. უმცირესი ნაწილაკები კიდევ უფრო პატარა ნაწ-  
ილაკებისგან შედგებიან. დიდი გალაქტიკები სხვა, უფრო  
მასშტაბური გალაქტიკების ნაწილს წარმოადგენენ. უფრო  
ღრმად, გაშლილი ნიხლით, ფილოსოფიის საჯარიმო  
ამოქრინებულ თუ შევიჭრებით, მივხვდებით, რომ სამყარო  
სიმოჭრილი ეპიზოდების გოგლიმოგლია. არსაც ჩვენი  
თვალებით ვხედავთ, იმ ეპიზოდებს ტვინის ჭუჭყრუტანის  
გავლით ვიაზრებთ, ვაბამთ ერთმანეთს და რაღაც აზრს  
ვდებთ მასში. დანაწევრებული ხედავს არ ცვლის იმ ფაქტს,  
რომ სამყაროში ყველაფერი ერთიანია. ამ დანაწევრებულ  
ხედვებს მერე ვიღაცებმა, ალბათ უფრო იდეის ჩრდილის  
ნაბიჭვრები, რომელთაც რომელ ეპოქაშიც არ უნდა ეცხ-  
ოვრათ, იმ ეპოქის იდეის ყალბ რწმენად გაავრცელებენ.  
გვმოძღვრავენ და ტვინში ვინრო ბილიკს გვიტოვებენ, თუ  
რა გზით უნდა ვიაზროვნოთ. მოკლედ, არაფერი დასამა-  
ლი არ მაქვს ისეთი, რასაც ტექსტის დასასრულს ვერ მიხ-  
ვდებით. ამიტომ, ბარემ აქვე ვისარგებლებ თხრობაში  
გაჩენილი, დემონსტრაციული, ხანგრძლივი პაუზით და  
გეტყვი, რომ კუბი ისედაც ყუთი იყო, მაგრამ მისი დაშ-  
ლა და ისევ ყუთის გაკეთება რაღაც ახლის გამოგონებაა  
და, კაცმა რომ თქვას, არც არის გამოგონება.

სხვა არაფერი დამრჩენია, გარდა იმისა, რომ გით-  
ხრათ: თეთრ სივრცეში იდო ყუთი. კუბისგან იმით განსხ-  
ვავდებოდა, რომ ყუთში ბნელოდა. კაცი ზემოდან ყუთის  
ბნელ ძირს უყურებდა, თეთრ სივრცეში მალევირის შავი  
კვადრატით რომ ინაკვთებოდა და ფიქრობდა. ერთ ხანს  
მისი ხედვის ნერტილი მხოლოდ ამ შავ კვადრატს უმზერ-  
და. კაცმა ბევრი იფიქრა, თუ ცოტა იფიქრა, ადგა და ყუთ-  
ში ჩაძვრა. ზემოდან თავსახური დაიფარა. ცოტა ხანს ასე  
იყო. შემდეგ მოწყინდა ბნელში ჯდომა, მოენატრა თეთრი,  
უსასრულო სივრცე. სხვად გარდაქმნილი ადგილის  
გაუცხოებამ ნოსტალგია გაუღვივა და ამოსვლა მოუნდა.  
ბევრი ინვალა და იხლაფორთა, მაგრამ ველარ ამოვიდა.  
კუბის თავსახური ჩაკეტილიყო. ამ დროს კაცი ალბათ მიხ-  
ვდა, რომ კუბი მის ნებისმიერ ძალისხმევას ერთი და იმავე  
გრაფიკაციის ფარგლებში ტოვებდა, მაგრამ უკვე გვიანი  
იყო.

თეთრ სივრცეში იდო კუბი, რაღაცნაირი, გარდამავა-  
ლი ფერის. ალბათ უფერო უფრო ეთქმის. სამყაროს  
პირველადი მნიშვნელობა სიჩუმეს უსმენდა, შიგადაშიგ  
მეყუდროებას კვლავანმეორებადი გამოცდილების ხმები  
არღვევდა: ტუკ... ტუკ... ტუკ... ცოტა ხანს ეს ხმები სი-  
ჩუმეს სერავდა და ბოლოს მინყდა.

კუბი კი იდო უძრავად, მარადისობის ცენტრში.



ორიოდე კვირის წინ დამესიზმრა, ოღონდ მართლა. ამდენი ხანი გავიდა, მაგრამ ვერ დავივიწყებ ვერაფრით.

როგორც წესი, სიზმრებს ვერ იმასხვობენ ხოლმე. ტვინში ლამით აბობოქრებული ფერად-ფერადი რევოლუციებისა და ფათერაკიანი სიუჟეტების უდიდესი უმრავლესობა გამოღვიძებისთანავე უცბად, ნამებში და წამის მეთაღებში ორთქლდება და სამუდამოდ ქრება მეხსიერებიდან. ადამიანი ასეა მოწყობილი და მეც ადამიანი ვარ — ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. მაგრამ ეს სიზმარი გამონაკლისი აღმოჩნდა. ალბათ, იმის გამო დამამასხვოვდა, რომ ლიტერატურული სიზმარი იყო და ხომ იცით შემოქმედი ხალხის ამბავი — თითქმის ყველანი ზედმეტად მგრძნობიარე ეგოცენტრიკოსები ვართ.


მოკლედ, დიდი რია-რია ატეხილი გარშემო. უამრავი ადამიანი მახვევია და ამ უთვალავი ნაცნობი და უცნობი სახით გარშემორტყმული რაღაც ლიტერატურულ წარმოდგენაში ვმონანილეობ. რაღაც მოძრაობება, საზეიმო განწყობაა, შფოთი, ხმაური, ბურლესკი, ვიღაც მღერის, ვიღაც ყვირის, მგონი, ლექსს კითხულობს თუ პოემას — მოფანატე და მიმზიდველი წინკვების აღვრთოვანებული შეკვივებების თანხლებით... მერე სიტუაცია იწმინდება, სახეების რაოდენობა მკვეთრად კლებულობს და ირკვევა, რომ საერთო რიარია დასასრულს მიუახლოვდა და მხიარული საღამო წარსულს ბარდება. მერე გარემო ერთბაშად იცვლება და უკვე გაგანია შუადღეში ვარ. ირგვლივ ყველაფერი მზითაა განათებული და ანი უკვე არა ხმაურიან ბუფონადას, არამედ ფრიად პრესტიჟული ლიტერატურული კონკურსის — „ქრომოსომა“ სახელწოდებით ცნობილსა და დამკვიდრებულს — ჟიურის გასვლით და საჯარო სხდომას ვესწრები. უფრო სწორად, რჩეულნი ვესწრებით — მთავარი ჯილდოსთვის მოპაექრე ყველა ავტორი, ოღონდ რატომ გამოგვიძახეს აქ ასე ჯგეროდ, სრულიად გაუგებარია. ისიც მესმის, რომ წესით, აქ არ უნდა ვიმყოფებოდე — რა ესაქმება ავტორს ჟიურის სხდომაზე, თუნდაც საჯაროზე? მაგრამ სიზმარია და... მოკლედ, რატომღაც ვესწრებით. გამარჯვებულს დნმ-ის მოლეკულის ორმაგი სპირალის ფორმის ოქროთი ჩამოსხმული პარიზი ელოდება. ეს „ოქროს ქრომოსომა“ გარეგნულად ხომ დიდებული და სრულიად ეროვნულია — ირიბად „ოქროს სანმისის“ ისტორიულ მნიშვნელობაზეც მიანიშნებს და ჩვენს გენეტიკურ ლიტერატურულ სიძლიერეზეც, მაგრამ კიდევ უკეთესი ისაა, რომ თან კარგად მომრგვალებული და ნარნარი ციფრით გამოხატული ფულადა და ჯილდოც ერთვის — ასი ათასი ლარი.

სხდომის დასაწყისი ბუნდოვნად მახსოვს, მაგრამ რაღაც მომენტებიდან მოყოლებული სურათი უაღრესად მკაფიო ხდება — ციფრული ტელევიზორის ეკრანისას მოხუცი კაცის სახეზე თითოეული ნაოჭის უმცირეს ხვეულს ერთნაირად მკაფიოდ რომ ალიქვამ, ისეთი... გარეთ დარია, უღრუბლო ცაა, ქუჩას მწველი მზე აწვება, ჩვენ ყველანი კი რაღაც შენობის შიგნით, ვრცელ და გაჩახახახებულ, ჰაეროვნებითა და სივრცით სავსე ოთახში ვართ შეკრებილი. ეს ოთახი თან პიონერთა სასახლის სარკეებიანი დარბაზივითაა, თან კი ჩემი ყოფილი და კარგა ხნის წინათ გაუქმებული კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის

კაბინეტს წაგავს. ოღონდ იმ უდიდამო სათავსოსგან განსხვავებით, აქ — ერთი შეხედვით — თითქოს ყველაფერი გასისინებულ-განკრივებულია. არადა, მახსოვს: იმ კაბინეტში ყველაფერი — კარის საკეტიცა თუ ფანჯრის რაფებით დანწყებული და პარკეტით დამთავრებული — გვარიანად მონჯილული და მორყეული იყო, სად ჰქონდა იმ უბედურ და გალატაკებულ ინსტიტუტს რემონტისა და შენახვის ფული, პატიოსანი დირექტორი გვყავდა, ინტელიგენტი კაცი, ქრთამს არ იღებდა... სიზმარში კი ბრწყინავს იქაურობა — ჯერჯერობით.

მაგრამ მოვლენები სწრაფად ვითარდება და მეც სწრაფად ვუღებ მათ ალლოს. მოპირდაპირე დიდი ფანჯრებიდან კარგად ჩანს ვარდებით, გვირილებითა და ივებით მოფენილი ბაღი — ზუსტად ისეთი, როგორც იყო გაშენებული იმ ძველი ინსტიტუტის შენობის გარშემო და რომელსაც ის ჩვენი დირექტორი თავად — ხან თანამშრომლებისა და ხან დარაჯის დახმარებით — უვლიდა და ელოლიავებოდა. ოთახში კი, ბაღში გამავალი ამ ფანჯრების გასწვრივ, გრძელ პრიალა მაგიდასთან, ლამაზად მოჩუქურთმებულ სავარძლებში ქვეყნის უსახელოვანესი და უჭკვიანესი

გიორგი ლორთქიფანიძე



ადამიანები სხედან და ერთმანეთში ბჭობენ. მეტიც, ამ კეთილშობილ პიროვნებათა კრებულში ბრიტანეთის ელჩისა და საფრანგეთის კონსულის სახეებიც კი დავლანდე, და კიდევ ვიღაც დაჭყეტილთვალეა დიპლომატის — ეტყობა, იაპონელისა ან ჩინელის... უცნაურია, მაგრამ ამ დიდებული ოთახის ბრწყინვალეობა ჩემს წარმოსახვაში მაინც ნელ-ნელა კინდდება, რამეთუ მოპირდაპირე მხარე ისევე ფუფუნებაშია ჩაფლული, ხოლო აქეთ, ჩემსკენ უფრო ახლოს, ვამჩნევ, რომ იატაკიც ამოზოგოვანი და ჭერიც დანესტიანებულია, მერე წამით უკან ვიხედები და უარესი ეჭვები მიდასტურდება: ზურგი თანამის ვეყრდნობი ალაგ-ალაგ ბათქაშამოცვენილ და გრძელი წვრილი ნაპრალებით სავსე მორუხო-მომწვანო კედელს, გადახსნილი აგურებიც მოჩანს პლინტუსთან სიახლოვეს აქა-იქა... მოკლედ, მეუფენი ამა ქვეყნისა სავარძლებში ნებივრობენ, ხოლო ჩვენ — უმოწყალო განაჩენის მომლოდინე ავტორებს — სწორედ ამ დახეტქილი და ნესტიანი კედლის გაყოლებზე ჩამდგარი უბრალო სკამების მსკრივი გვაქვს ოკუპირებული. ნამეტნავად დიდი და თვალშისაცემი სხვაობაა იმ მხარესა და ამ მხარეს შორის... როგორი სკამები იყო, იცით? აი, უბრალო „ვენსკი“, ძველ დალოცვილ დროს ლამის ყველა დანესებულე-

ბას თავზე საყრელად რომ ებადა, გეხსომებათ ბევრს...

ამასობაში, როგორც იქნა, ბოლომდე გავერკვიე ვითარებაში და უკვე შესანიშნავად ვიცი, თუ რას ეძღვნება სახელოვან ქართველთა და არანაკლებ სახელოვან უცხოელთა ამ სინკლიტისა თუ არეოპაგის სხდომა და ცოტ-ცოტა ნევიულობას ვინცებ კიდევ, კოხტა სავარძლებში მოკალათებული ვაჟბატონებისა და ქალბატონების უმოწყალო განაჩენის მოლოდინში. დიახ, სწორედ დღეს, აი, აქ, ამ ოთახში და რატომღაც ჩვენი თანდასწრებით — ანუ ჟიურის წევრების მიერ ხმის ღიად და საქვეყნოდ მიცემის შედეგად — სულ მალე ყველა გაიგებს, თუ რომელი ჩვენთაგანი გახდება კონკურსის მთავარი პრემიის ლაურეატი და იმ „ოქროს ქრომოსომა“ მფლობელი, რომლის მოსაპოვებლად ამ უბრალო სკამებზე განწესებული პრეტენდენტები ასე ვიღვითი და ვიბობით. არც ისაა გასაკვირი, რომ ინტრიგის კვანძის გახსნამდე ავტორებს ბუნებრივად გვეჯავრება და ზოგჯერ გვეზიზღება კიდევ ერთმანეთი — დროებით, რასაკვირველია. თორემ სხვა დროს და ამ დარბაზს გარეთ ნორმალურ ურთიერთობას ვინარჩუნებთ და არცთუ იშვიათად ვემგობრობთ კიდევ.


კონკურსი

კონკურენცია ოხერია! საზოგადოდ, ამ კონკურსებს სპორტულ შეჯიბრებას თუ შევადარებთ — ეს შედარება გამოღვიძებისთანავე მესტუმრა გონებაში — აღმოჩნდება, რომ ჟიური და ავტორები სპორტის სხვადასხვა სახეობას მისდევენ. ჟიური უფრო სუბინტენიანად შედგება — როდესაც მძიმეწონიანი ათლეტები მთელი ძალით ეჯიბრებიან ერთმანეთს ნრეში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად, ხოლო ავტორები უფრო გიგანტურ სლალომში მონაწილე მთხილამურეებს გვაგონებენ — ისეთი მიხვარა-მოხვარა სჭირდებათ, ფინიშამდე როგორმე მშვიდობიანად რომ მისრიადღენ და თავისი გაინაღდონ.

ასე რომ, მეც, დარად ჩემი მეზობლებისა, ძალაუბნებურად ვცქმუტავ ჩემს მონჯილულ „ვენსკიზე“. ჩემგან მარცხნივ და მარჯვნივ კი თავ-თავიანთ სკამებზე სხვა ავტორები ცქმუტავენ, ნაცნობებიც და უცნობებიც, ოღონდ მათ სახეებს ვერ ვხედავ (ან ვერ ვისხენებ). მათი ვინაობა არც ვიცი და არც მაინტერესებს — ერთისა და ყველაზე საშიშის გარდა. სწორედ ეგ ერთი გახლავთ ჩემი მთავარი კონკურენტი, გვარად მენაბდე. რატომღაც გვარად მაინცდამაინც მენაბდე — აი, ეგ კი არ ვიცი. შესაძლოა, „ცისფერი მთები“ რომ არის, ცნობილი ფილმი, ის შემომისრილდა სიზმარში და შესაბამისი ასოციაცია გამიჩინა... თუ გახსოვთ, ამ ფილმში იყო ნახსენები ვინმე მენაბდე — ვეება ტრილოგიის ავტორი — რომლის წინაშე მთელი გამოცემლობა, თვით ვაჟა ზახავეიჩის თამადაობით, ეგრევე კრთებოდა და „სტოიკაზე“ დგებოდა, ეტყობა, იმდროინდელი ლიტერატურული გენერლის პროტოტიპი გახლავდა... ჰოდა, სიზმარში მე და ეს ვიღაც „ახალი“ მენაბდე მთავარი კონკურენტები ვართ და ისიც კარგად მომეხსენება, რომ „ოქროს ქრომოსომა“ ან მას უნდა ერგოს, ან მე. საფრთხეს მხოლოდ მისგან ვგრძნობ, სხვები არ ითვლება.

დიახ, ვმომბო, რომ ძალიან, უაღრესად სერიოზულ კონკურენციას მიწევს ეს ვაჟბატონი. მართალია, ამ მომენტში აღარც მეჯავრება და აღარც მეზიზღება, რადგან გამოიფიტა ამდენი ნერვიულობით სული, მაგრამ საქმე ისაა, რომ სიმართლეს ვერსად გავეცევი — ძალზე სახიფათო მეტოქეა. განიხილება მისი ახალგამოცემული რომანი ცოტა უცნაური სათაურით —

„ბისექსუალი“, აი, ასე პირდაპირ... ნუ, დაუფინანსა გამოცემა ვიღაცამ, თორემ ჯიბიდან ლარს ვერ გაავადებინებ ამ მენაბდეს, ისეთი ტიპია — სახინკლეში ლუდზე გაქაჩული არასოდეს მინახავს, თუმცა რამდენჯერმე ჰქონდა შანსი... მაგრამ ენა აქვს გამობმული კილომეტრი და, როგორც ჩანს, შეეკრა ვიღაც სპონსორი, ან იქნებ თავად ეგ სპონსორი აღმოჩნდა ბისექსუალი და ამან გადაწყვიტა საქმე, აბა, რა ვიცი... ის კი არადა, ნემსივით გამკრა გულში ჟიურის წევრებს შორის უცხოელი დიპლომატები რომ შევინაშნე, უთუოდ თარგმანზე ენალიჩება მაგათ მენაბდე-თქო, გამიელვა აზრმა. რომანში ერთობ ორიგინალურ თემას მიაგნო, დროისა და მეინსტრიმის მოთხოვნებიც გაითვალისწინა და შიგნით ყველაფერი შეტენა: ომგამოვლილი მთავარი გმირის ლატენტური მამათმავლობიდან რუსეთის დედის სახელის სიმამაცით აღსავსე ტრიალამდე. მოკლედ, ამ ჩვენმა მენაბდემ ასეთი კონსტრუქცია მოიფიქრა: მთავარი გმირი, ერთი-ერთი კატაკომპური თეატრის მსახიობი სახელად ტრისტანი, თავისი „უცნაურად მოცისფრო“ ლტოლვების შესახებ ჯერ სცენაზე რომ შეიტყობს და მერე ამაში გმირთა მოედნის ცირკის კიბესთან ხშირ-ხშირი და უშედეგო გავლა-გამოვლებების შემდეგ რომ დარწმუნდება, ჩამორჩენილ ქართულ საზოგადოებაში „ქამინგ-აუთის“ მომწყობი ვერ არის, ამაზე ძალიან ნუხს და ჯარში მოინადინებს ნასვლას — ეგ თუ მიშველის და გადაამარჩენს. ჯარში სამსახური სულაც არ ეკუთვნის, მაგრამ მისდა ბედად რუსეთთან ის ხანმოკლე ომი მოუსწრებს და ესეც ეგრევე გავარდება კომისარიატში ნაცნობ თანაკლასელ-ოფიცერთან, მუხლებში ჩაუვარდება — ნამიყვანეთო, და ჩაირიცხება სანუკვარ რეზერვში. მერე ამ რეზერვს გორში დააყუდებენ და ძლივს გადაურჩება დაბომბვას სტალინის ძეგლს ამოფარებული... ომში დამარცხების გამო ეს ჩვენი გულგატეხილი „ლატენტური მამათმავალი“ დეპრესიაში ვარდება, საკუთარ „ცისფრობას“ ვეღარ უმტყავდება და ქალაქის ქუჩებში ერთ-ერთი მორიგი ხეტილისას ცირკის მოედანზე ვიღაც ბიჭუნას გადაეყრება. მერე ნავა ურთიერთობები, მამაკაცი სიყვარული და ვნება, ეროტიკული სცენები, რამე... მაგრამ გადის რაღაც დრო, ტრისტანი გამოიხატავს დეპრესიიდან, აღმოაჩენს, რომ ისევე „ნატურალია“ და დროა, ამ ნუშქედან როგორმე ამობოზღვაზე იფიქროს. იმ ბიჭთან კავშირს წყვეტს — ოღონდ წინასწარ რაღაც ძვირფას სუვენირს ჩუქნის. მერე ბედი გაუღიმებს და თბილისის ერთ-ერთ ცნობილ თეატრალურ დასში ინცენტი და უფორმებენ კონტრაქტს, ცოტა ხანში კი მთელ ამ დასთან ერთად რაღაც დიდ ჯილდოს ლეზულობს ერთ-ერთ პრესტიჟულ ევროპულ ფესტივალზე, თან თეატრის სამყვან მსახიობ ქალთან — ორჯერ განათხოვრად და მასზე ათიოდე წლით უფროს „პრიმასთან“ — გააბამს სასიყვარულო ურთიერთობას. წყვილი უკვე „ვარსკვლავური“ ქორწილისთვის ემზადება, მაგრამ თურმე სად ბანაობ! წიგნის ფურცლებზე კვლავ ჩნდება ცირკის ბიჭუნა, აშანტაჟებს იმ საჩუქრით, მუდმივად ფულს სძალავს, თანდათან უსაზღვრო მადაფსენება და ჩვენ ტრისტანსაც სხვა გზა აღარ რჩება — ერთხელაც შანტაჟისტს ბნელ კუნჭულში დაუდარჯდება, კედელთან მიამწყვდევს, საკუთარი ხელებით მიახრჩობს (მონმე რაინაა) და გვამს ბურქებში მიაგდება. ისეთი მყუდრო ადგილია, მალე ვერ მიაგნებენ. მკვლელობის მერე მიღის თავის საცოლესთან, გამოუტყდება, რომ ბისექსუალია და ამიტომ ქორწილზე ლაპარაკი ზედმეტია და ემიგრაციაში ითვისება, საბერძნეთში. მერე ათენში სხეული ედ-მა-მის სარჩენად გამგზავრებულ და ძალად გაკახებულ ქართველ გოგონას — ვინმე ელექტრას — გადაეყრება, მასთანაც გააბამს დიდ სიყვარულობანას და ეს — მისთვის მოულოდნელად — უკვე დიდი და ნამდვილი გრძნობა აღმოჩნდება. არადა, ეს ელექტრა — მთლად ფსკერზე რომ არ დაეშვას — იძულებულია, ერთ ჭარმაგ და მდიდარ ტრანსექსუალს, ზედმეტსახელად პანჩიტას, უწევდეს ხან ლესბოსურ და ხან სადო-მაზოხისტურ სექს-მომსახურებას. ტრისტანში უკვე აფრიკული სავანის ხვად-მა ლომმა გაიღვიძა. ის ბოლომდე იცავს თავის ახალ სიყვარულს — კვლავ ერო-





ტიკული სცენები — და სხვადასხვა მანქანით ახერხებს ელექტრას სექსუალური მონობიდან გამოსხნას, თან ამასობაში საყვარლის შთაგონებითა და დახმარებით ძარცვავს პანჩიტას ძვირფას საგარეუბნო ვილას და საბერძნეთის არაღელვარად დატოვებამდე ნაძარცვის იაფად გაყიდვასაც ასწრებს. ბოლოს ტრისტანი და ელექტრა გამარჯვებულნი ბრუნდებიან საქართველოში მყარი და ბედნიერი ოჯახის შესაქმნელად. თუმცა... სულ ბოლო გვერდზე, უპილოგში, ვილაც თბილისელი პოლიციელი პოულობს მეძავი ბიჭუნას გახრწნილ გვამს და ჩალიჩს იწყებს. სულ ესაა. მე თუ კაცი მკითხავს, ეგ ყველაფერი სრული ბოდვია უამრავი სუსტი ადგილით, მაგრამ, ამბობენ, საშუალო ფენას მოსწონს ასეთი მელოდრამები და ამ ჟიურ-გამომცემლობებმაც რა ქნა. მოგებაზე ხომ უნდა იზრუნონ... თან ამ მენაბდე იმის დროს განწყვიტა თხრობა, რომ მართლა გიჩნდება შეკითხვა: გახსნის პოლიცია ამ საქმეს თუ ვერა, ჩასვამენ ამ გამოსწორებულ მკვლელსა და ნიჭიერ ბიჭესულ მსახიობს ციხეში და მერე იქ რა მოეწივს: კამერაში საბოლოოდ „გაქათმება“ თუ რაღაც ამნისტია შეეხება და ელექტრასთან დააბრუნებენ? ანუ სიუჟეტის გაგრძელება სავსებით შესაძლებელია. სადაც მე ასეთი კითხვა დამებადა, ტელესერიალების მოყვარულ საშუალოდსტატისტიკურ დეიდა მაროს ხომ გესმით, რა მოუვა, ძალად მოვეროპულო პრანჭია „კეკელებს“ კი ლიტერატურული ორგაზმი ნაღდად გაანტირებული აქვთ... მოკლედ, მთლად უნიჭო დაწერილი არაა, რადგან დაუმთავრებლობის შთაბეჭდილებას ტოვებს და ძალაუფლებურად გაგრძელებას ელი. სერილის მზა სცენარია რა... არადა, ამ ყველაფერს სიზმარში ფიქრობ და არავითარი ასეთი მენაბდე რეალობაში არც არსებობენ და არც არასოდეს არსებულან.

სიზმარი კი გრძელდება და იძულებული ვარ, პირუთენელად ვაღიარო, რომ „ქრომოსომისკენ“ მიმავალ გზაზე ამ მენაბდის სახით მართლაც სახიფათო კონკურენტი გამოიჩინა, თუმცა ბრძოლაზე ხელის აღება ამის გამო ნაადრევია! არა, არც მე გახლავართ ჯაბანი და იმედგადასწრული. სინამდვილეში არხეინადაც კი ვარ, რამეთუ სულმნათების ამ სინკლიტში მეც მყავს პატრონი. „ქრომოსომაზე“ წარდგენილია ჩემი პატარა რომანი „წყვეტა“ (სხვათა შორის, მართლაც ოდესღაც გამოქვეყნებული), რომლის შინაარსი — განსხვავებით მენაბდის თხზულებისგან — არათუ სიზმარში, არამედ ცხადშიაც კი აღარ მახსოვს ხეივანად, იმდენად დიდი ხნის წინათ დამინერია... უბრალოდ, სიზმარში სრულიად დარწმუნებული ვარ ჩემი წიგნის ღირსებებში და არც გამარჯვების იმედი დამიკარგავს ჯერ. ვნახოთ, რა მოხდება!


კიდევ ერთხელ ვავლებ თვალს მოპირდაპირე სივრცეს. ჟიურის თავმჯდომარისგან (რომელსაც კუთვნილი ადგილი იმ ვინაობის მაგივრად თავში დაუკავებია) ხელმარცხნივ და ზუსტად ჩემს პირდაპირ, პირველი ამ მენაბდის ერთი ძველი ძმაკაცი და ჩვენი ცნობილი კრიტიკოსი ნებეირობს, მის მეზობლად კი, კიდევ უფრო კოხტად მოკაზმულ სავარძელში, ჩემი ბავშვობის მეგობარი მოკალათებულა. როგორი მეგობარი, იცით? აი, მთელი ცხოვრება ერთად რომ გვივლია — დაბალი კლასებიდან სტუდენტობის გავლით დღევანდელ დღემდე. ქორწილში მეჯვარე იყო ჩემი. თან შემდგარი პიროვნებაა: დაფასებული, პოპულარული — ტელევიზიებში ხშირად პატივსენ ხოლმე, საზოგადოებაში პატივცემული, უნივერსიტეტის ლექტორი და პროფესორი, თან კიდევ აკადემიკოსი და მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, თავისი დარგის ჭეშმარიტი და აღიარებული ავტორიტეტი — ამ პატარა ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც. მართალია, ფიზიკოსია და რა უნდა ლიტერატურული კონკურსის ჟიურში, კაცმა რომ თქვას, სრულიად გაუგებარია, მაგრამ შეუწყვანიათ „ქრომოსომის“ მესვეურებს და... ნუ, სიზმარში ასეა. თანაც, ურთიერთობაში ხინჯი — თუმცა, ხშირად გვიკამათია ათასგვარ თემაზე — რეალურად არასოდეს გაგვიჩენია. პირიქით, გაჭირვებისას ხშირად გაუწევია დახმარება და არც მე დამიყვებდებოდა მისთვის

ოდესმე ჩემი მხარდაჭერა... ამიტომაც, რომ მისი ხმა ჯიბეში მიდევს, ასე მგონია, და, მიუხედავად ნერვიულობისა, მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. გარანტირებული მომხრე ჟიურში, თან ესოდენ გამოჩენილი პიროვნების სახით — ალბათ, დამეთანხმებით — ერთი ორად ზრდის საბოლოო გამარჯვების შანსებს.

ჰოდა, დგება, როგორც იქნა, ხმის მიცემისა და განკითხვის უამი. გამარჯვებულის გამოვლენის მთელი პროცედურა ხელისგულზეა და ჩვენს თვალწინ ვითარდება. ასეთი რამ ცხადში, გასაგებია, თითქმის წარმოუდგენელია, მაგრამ სიზმარში რა არ ხდება...

პირველი სიტყვა, ბუნებრივია, თავმჯდომარეს ეკუთვნის. და ისიც, არც აციებს, არც აცხელებს და რიხიანად აცხადებს საქვეყნოდ თავის არჩევანს: „ჩემს ხმას ვაძლევ შესანიშნავ პირობულ ნაწარმოებს —

გენიალური ნაწარმოებია და მენაბდე ჩვენი დროის გენიოსი, ოღონდ ჯერ უღიარებული და ეს დიდი შეცდომა დღესვე უნდა გამოვასწოროთ. ან რა ენა აქვსო, ან რა აზროვნება, ან რა ლოგიკა, რა შემოქმედებითი ძალაო. ეგაა ჩვენი მწერლობის საუკეთესო წარმომადგენელი და თანამედროვე ჯადოქარი, რომელიც შორს გაიტანს თავის სასწაულომქმედ ნიჭიერებას ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ მის სასახელოდ, ოღონდ თუ ჩვენ ამის საშუალებას მივცემთო. ამიტომ სრულიად აუცილებელია, რომ ბატონ მენაბდეს „ქრომოსომა“ დაუყოვნებლივ, დღესვე მიენიჭოსო, სხვა შედეგი ვერა და გამოვიცხოთო! ამგვარი კატეგორიულობის გამგონეს — თან ვისგან! ენა მუცელში მივარდება. ძალიან მსურს, გაავაროტესტო ასეთი მზაკვრობა, მაგრამ ველარც კი ვლულულე და პირიდან მხოლოდ უმ-



აქ ცოტა ხნით შეყოვნდა — „წყვეტას“. და ამის გაგონებაზე სიზმარშივე დაახლოებით იგივე გრძნობა მეუფლება, რაც მოჭადრაკის რთულ პარტიაში, მოწინააღმდეგეს ლამაზ შამათს რომ ჩაუსვამს მაშინ. ან საყვარელი საფეხბურთო გუნდი მეტოქეს გოლს რომ გაუტანს. ესეც ასე, ფრიად კმაყოფილი ვარ: ერთით ნოლი.

გამოხატა რა თავმჯდომარემ თავისი ურყევი პოზიცია, სიტყვა მარცხენა მეზობელს, ანუ მენაბდის მომხრეს, გადასცა. ნუ, ამისთვის მზად ვიყავი. იმანაც რაც შეეძლო და ფანტაზია ეყო, აქო და ადიდა თავისი ძველი თანამეინახე და ჩემი კონკურენტი — ქართული ლიტერატურული ენის ბრწყინვალე ფლობაო, ევროპული ტოლერანტიზმიო, ღრმა ფსიქოლოგიზმებო, უღრმესი ფიზიოლოგიზმებო, დევნილი გმირის ხასიათის უბადლო წვდომაო, ეს ტრენდიო, ის მეინსტრიმიო... გეფიცებით, არც დოსტოვესკიზე და არც სარტრზე არ უსაუბრიათ ასე თავის დროზე. მაგრამ აკი გითხარით — ამას მოველოდი. ერთით ერთი.

ჩაამთავრა ამ კაცმა თავისი იაფფასიანი დითირამები და ანი ჩემს ძმაკაცზე მიდგა ჯერი. თავი ქუდში მგონია. უეჭველია, შემანევს ორიოდ კეთილ სიტყვას, თან, იმედი, არც სიტყვაკაზმობაში ჩამორჩება წინა ორატორს. მით უმეტეს, რომ დარწმუნებული ვარ: „ბიესესული“ გადაშლილიც კი არ ექნება, რის ტრისტანი, რაის ელექტრა, მაგრამ კაცი ბჭობდაო... დაიწყო მისი გამოსვლა, მაგრამ რა დაიწყო — ჩემს თვალებსა და ყურებს ვერ ვუჯერებ!

მეოდ დამოედო: ესაო და ისაო, „ბიესესული“ ჩვენი დემოკრატიული ეპოქის

ნეობის ხავილი თუ ამომდის. იმას მაინც მინდა მივალწიო, რომ როგორმე ჩემსკენ გამოვახედო, მაგრამ ეს გარენარია აკადემიკოსი როლში ისეა შეჭრილი, რომ განზრახ მარიდებს თვალებს და არც კი იხედება ჩემი მიმართულებით. მე მისთვის აღარ ვარსებობ — გრგვინავს მხეხვით.

მაშ ასე, ესეც ორით ერთი ჩემი კონკურენტის სასარგებლოდ. ამ დარტყმას კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ, თურმე, რის ორით ერთი! ჯერ სადა ხარ! ამ გამოსვლის შემდეგ დარბაზში ენითაუწერელი ვითარება იქმნება და ეს ყოფილა თუ ყოფილა საშინელება და ნამდვილი პენალტი ჩემი გუნდის კარში ოთხმოცდამეთუწუთზე. ვილას ახსოვდა ან ჟიურის საცოდავი თავმჯდომარე — პატროსანი კაცი და ჩემი ერთადერთი მომხრე, ან ხმის მიცემის პროცედურა. რას ვიფიქრებდი, თუ მთელ ამ ლიტერატურულ სინკლიტში ეს ჩემი ფიზიკოსი ძმაკაცი ყოფილა აზრთა მთავარგამგებელი, ხოლო მისი ხმა კი გადამწყვეტი. დაამთავრა თუ არა გამოსვლა, ერთბაშად იქუხა ოვაციაში გარდამავალმა ტაშმა და ამ გრიალ-გრიალში ფეხზე ერთიანად წამოდგა მთელი ჟიური და მორთო სკანდირება — მე-ნაბ-დე! მე-ნაბ-დე! თქვენ არ დაიჯერებთ, მაგრამ ამ სკანდირებას აჰყვა უკლებლივ ყველა იმ დარბაზში მყოფი — ჩემს დამპალ და ღარიბულ რიგში მანამდე მიყურებული ავტორების ჩათვლით (იმით მაინც რა აყვირებდათ)! სულ ბოლოს კი ავანსცენაზე გამოვიდა ამ წარმოდგენის ჭეშმარიტი ტრიუმფატორი, ბატონი მენაბდე და „ოქროს ქრომოსომის“ მისაღებად გაემზადა... რა მადლობები იხადა და რეები იპრუტუნა — ეგ აღარ მახსოვს.

მერე რა მოხდა, ზუსტად აღარ ვიცი. სიზმარისგან სიზმარშივე დამინელდა თვალთ და, როგორც ჩანს, აზრზე მხოლოდ მაშინ მოვედი, როდესაც სხდომიდან გამოვედი. მერე მახსოვს ფერადი სურათი: მე და ეს ჩემი ბავშვობის ძმაკაცი აკადემიკოსი ფეხით მივყვებით ვარაზის ხევის აღმართს. ერთად წამოვსულვართ, მაინც რა ძალა ჰქონია ძველ მეგობრობას! ხმას არ ვიღებ, არადა, ბოლმა მახრჩობს: ეს რა კვანტი დამილო ამ ბავშვობის ძმაკაცმა, რამხელა იმედებს ვამყარებდი ამ „ქრომოსომაზე“ და რა ახლოს ვიყავი გამარჯვებასთან. თან ასი ათასი ლარი ნამდვილად ამაშენებდა, ამ უსინდისომ კი რა მიყო... დანა კბილებს არ მიხსნის, მაგრამ ვიკავებ თავს, ჯერ არაფერს ვუბნებ, ისიც ჩუმად და ასე ამოვიარეთ მთელი აღმართი უნივერსიტეტის პირველ კორპუსამდე. მაგრამ ბალის შესასვლელს რომ მივაღვეთი ჭაჭაყავებზე, აი, მაშინ კი ველარ ვავძელი და ამოვანთხიე, რადგან... რადგან გასივდა გული.

— შე უნამუსო და ყოვლად არამზადავ! ეგ რა მიქენი? რა დაგიშავე? რამხელა იმედი მქონდა შენი! ფული ხომ არ გაგიყო იმ დამპალმა, ჰა? — მაგრად კი ვუყვირე, მაგრამ ბილწი გინება არ მიმიყოლებია. ღირსი კი იყო, მაგრამ მაინც აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რაც გინდა იყოს.


პასუხად იკადრა და ერთი კი ამოილულულა: რა ფულიო? მაგარი ყოფილა ეს „ტრისტანი და ელექტრაო“, ერთი ამოსუნთქვით ნავიკითხე, ნაღდად ახალი სიტყვა... რა ვქნა, პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება ხომ იცი... — ეგა თქვა და გაჩერდა. ან რა ჰქონდა მეტი სათქმელი?

— რაებს ბაზრობ! — ვუთხარი მრისხანედ, — შენ ჩემი „წყვეტა“ ნაკითხული რომ არ გქონდა და ამდენ ხანს მატყუებდი, ნავიკითხეო, მაგას ყოველთვის ვხვდებოდი, მაგრამ არაფერს გეუბნებოდი, ვითომ მჯეროდა რა! მაგრამ შენ ხომ არც ეგ მენაბდის „ბიესესული“ გექნება ნაკითხული! რა გეტრისტანება! რომელი „ელგებეტმნიკი“ შენ მყავხარ ამხელა კაცი და ორი შვილის მამა? ან როდის იყო წიგნებს კითხულობდი? ყველამ ვიცით, რომ ფიზიკოსს გარდა არაფერი გაინტერესებს და მესხუთე კურსის შემდეგ ბელეტრისტიკა არ გადაგიშლია! მოხარშულს გიცნობ! ფული გექნება ალექსანდრი, ოცი პროცენტი მაინც!

გეფიცებით, ცოტაც და დასარტყმელადაც გავინევდი, ისეთ ხასიათზე დავდექი. მაგრამ მაინც არ მინდა უაზრო ხელჩართული ქალაქის ცენტრში, თანაც ამხელა მეფისტოლა კაცთან, თანაც კიდევ სიყრმის მეგობართან... ვიცი, რომ ნებისმიერ შემთხვევაში სისუსტეში ჩამეთვლება და ისევ ჩემს საქციელს დაგმობენ, არადა, ამკარად ვგრძნობ: აღარც არგუმენტები მყოფნის და აღარც ჰაერი. ამიტომ უნდა გავიღვიძო, სხვა გზა არაა — და მართლაც გამეღვიძა.

შუბლი კი მქონდა ოფლიანი, მაგრამ სამაგიეროდ გულზე მომეშვა. ყველაფერი კი ტყუილი აღმოჩნდა საბედნიეროდ. რა „ქრომოსომა“, რის „ქრომოსომა“!

ისე, ამ შლეგმა სიზმარმა ცუდად დამაკვლიანა. ორი რამ მაიძულა და დამიტოვა: ერთი რომ კალამი დამაკვებინა ხელში და მეორეც — ჩემი ბავშვობის ამ ნაცად მეგობარს, აკადემიკოსსა და საზოგადოებაში პატივცემულ კაცს, მას მერე რატომღაც ეჭვის თვალთ ვაკვირდები ხოლმე...







**უსცნაური** თვისება შეიძინა ლიტერატურულმა კონკურსებმა — რაც უფრო იზრდება უკმაყოფილო ავტორების რიცხვი, მით მეტი მონაწილე ჩნდება მომდევნო წელს. როგორც ჩანს, კონფლიქტური გარემო ბევრისთვისაა საინტერესო, წინააღმდეგობა კი აზარტს აღვივებს და საბრძოლო უნარს ზრდის. სიტყვა „ბრძოლა“, შეიძლება, ცოტა უადგილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ ფაქტია, მწერლობა ისეთივე საბრძოლო ტატამად იქცა, როგორც, ვთქვათ, კრივი, ან, უფრო ზუსტად, ბრძოლა წესების გარეშე...

თავისუფლად შეიძლება ვთქვათ ისიც, რომ მწერლური უნარი ერთ-ერთ რიგით პრიორიტეტად გადაიქცა სხვა, არანაკლებ „საჭირო“ უნარებს შორის. მაგალითად, ზოგი დამწყები მწერალი ხშირად ცნოსვით გრძნობს, რომელი ლიტერატურულ დაჯგუფებას სჯობს, რომ დაუმეგობრდეს, რათა ადვილად დამკვიდრდეს — ზოგმა გამოცემელთან სიტყვა „შეანიოს“, ზოგმა ფეისბუქზე ან მედიასივრცეში შეაქოს, ზოგმა რეცენზია დაუწეროს... თუმცა, ეს უკანასკნელი ცოტა უფრო ინდივიდუალურად სამუშაო საკითხია და დიდი ძალისხმევა მიაქვს ახალბედა ავტორისგან. ადვილი არაა, მომავალ რეცენზენტს თავბრუ დაახვიო ქება-დიდებათა და კომპლიმენტებით. ყველა ხომ იოლად არ ებმება მახეში. ინდივიდუალურ მუშაობას მოითხოვს, აგრეთვე, ისეთ პერსონებთან დაახლოება, რომლებიც, შესაძლოა, სამომავლოდ ჟიურის წევრები გახდნენ, ამიტომ წინასწარაა თადარიგი დასაჭერი. სოციალური ქსელები საამისოდ კარგ ინსტრუმენტებს იძლევა. იმ ტიპს, ვისაც ხშირად იხვეწენ ჟიურის წევრად, ჯაზი უყვარს ან დუდუკები? მასთან დამეგობრება ადვილია. ნაიკითხე მისი საყვარელი ერთი-ორი საქსოფონისტის თუ მედუდუკეს ბიოგრაფია, დალინკე ერთი-ორი გულის გამგმირავი კომპოზიცია, აუჩუყე გული, მერე სადმე, ზოგუნტაციაზე მონახე, ჭიქა მიუჭახუნე, მომიერად, ისე არა, რომ თავი მოაბეზრო... და მორჩა, მისი ხარ — „სასატავის“ წევრებში ჩაწერილი. მერე და მერე შეგიძლია, მოდუნდე, თავი „ოჯახის“ წევრად იგრძნო, რაღაც სახეობა... რაღაც რა — კონკურსში პლუსის დაწერა, მეტი რა უნდა გინდოდეს...

სიმართლე რომ გითხრათ, მგონია, რომ ამ ირონიულმა მსჯელობამ და კრიტიკამაც უკვე თავი ამოწურა, რადგან შედეგი არ მოაქვს... სად არ მითქვამს და აქაც გავიმეორებ, რომ ჩვენთან მწერლური მოსაცემები ერთადერთ კრიტიკულად ვერასოდეს იქცევა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ლიტერატურული საზოგადოება საშუალოდ სულ რაღაც ორასიოდე კაციდან შედგება, სადაც თითქმის ყველა ერთმანეთს ვიცნობთ და გარკვეული პირადი ანგარიშვალდებულება გავვაჩნია. რაც უფრო მეტად ფაქტობრივად დამოკიდებულებად ვართ ერთმანეთთან, მით უფრო გვეძნელება კონკურსში ხმის არმიცემა, წიგნის არდაბეჭდვა, საქებარი რეცენზიის არდაწერა, ფეისბუქზე არდალაიქება... ასეთ სიტუაციაში ლიტერატურის სინამდის დაცვისათვის მებრძოლი კაცი მელიების ფერმაში შევარდნილი მგელივითაა, რომელიც დამხვედურების ფრუსტრაციას ინვესტ და მერე კი თავად მათივე აგრესიის საგანი ხდება.

გამოსავალი ისევ ჩვენს გარდასახვებაშია, როცა ცნებებისა და ფასეულობების

ლელა კოდალაშვილი

# ქართული სამწერლო არენა — ბრძოლა წესების გარეშე

სუბორდინაციას შევძლებთ. შევძლებთ კი, ოდესმე? მანამდე კი ლიტერატურული პროცესების ალამბეღზე განვითარებას უნდა დავჯერდეთ, როცა ფორტუნა ხან მწერლობის, ხან კი სხვა დანარჩენი პრიორიტეტების მხარეს გადაიხრება.

ბევრი ჩივის, რომ ქვეყანაში ცოტაა კონკურსი და ეს განაპირობებს ლიტერატურული პროცესების ვერგანვითარებასა და დისტროფიას. ასეთ პირობებში, ძალაუფლებურად ამ ორი-სამი კონკურსის კისერზეა მწერლური პროცესების ფართომასშტაბიანი ასახვა, რაც, ბუნებრივია, შეუძლებელი ხდება, რადგან რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, დღევანდელ საქართველოში, ლაბისაა, ყოველი მეათე ადამიანი მწერლობს. და როგორც დასაწყისშიც აღვნიშნე, წარუმატებლობის ფონზე მეტად ემატება აზარტი.

„წერო“ ოცდამეერთე საუკუნის კონკურსია, ყოველ შემთხვევაში, სტაჟით „საბას“ სულ რამდენიმე წლით ჩამოუვარდება. მიუხედავად საპრიზო თანხის სოლიდურობისა და ვერცხლის სიმბოლოს სიმძიმისა, „წეროს“ „საბას“ ჩრდილში უწევს ყოფნა, რადგან ამ უკანასკნელს მრავლობითი ნომინაცია აქვს, ხოლო „წეროს“ მხოლოდ ორი ჰქონია ადგილი, მაინც მხოლოდ ერთი ნომინაცია — პროზა და დრამა. გარდა ამისა, ისე მოხდა, რომ მისი დაბადება ლიტერატურულ საიტ „lit.ge-ს“ ბაზაზე მოხდა, სადაც ძველი თაობის მწერლები თითქმის არ მოძრაობდნენ და კონკურსის მონაწილეებიც, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზატორების მხრიდან შეზღუდვას არასოდეს ჰქონია ადგილი, მაინც მხოლოდ ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ავტორები იყვნენ და არიან. სავარაუდოდ, ხანში შესულები უხერხულოდ, ან შესაფერისად არ მიიჩნევენ. ასე რომ, კონკურსის ჩრდილში ყოფნის მეორე მიზეზი ესეცაა...

უცნაურია, მაგრამ რაც ფეისბუქი მოლონიერდა და ლიტერატურულ საიტ „lit.ge“-სა და ფორუმის „მოსახლეობა“ მის უკიდველგანო სივრცეს შეერია, „წეროს“ გულშემატკივართა გუნდმაც თითქოს ძალა დაკარგა. ყოველ შემთხვევაში, შარშან — წინა წლებზე ნაკლებად, ხოლო წელს კიდევ უფრო სუსტად ისმოდა მკითხველთა ყიჟინა, კომენტარის „ჩანოდება-ამონოდება“, სუსტად ენთო კრიტიკის ცეცხლიც. ანუ ის, რაც ფორუმელთა შეკრულ, პნევმატიკურ გუნდს, სადაც მეტ-ნაკლებად ყველა ლიტერატურის მოყვარულე იყვნენ, გამოსდიოდა, ფეისბუქზე სხვადასხვა ინტერესისა და საქმიანობის მქონე უცხო ადამიანებს შორის გაიდღაბნა. ამ მომენტმა დამატებითი მკითხველი კი არ შესძინა კონკურსს, არამედ მოაკლდა მთელი მანამდეელი ტრადიციული დრამატიზმი რამდენიმე კომენტარამდე და „ლაიქის“ ფუნქციამდე დაიყვანა. ლიტერატურულ ფორუმზე თუ ერთმანეთს არ აცლიდნენ ნაწარმოებების წაკითხვას, ფეისბუქელი ავტორი ან მისი ახლობელი იძულებული შეიქცა, აატაროს და ჩამოატაროს ტექსტი „ფრენდების“ კედლებზე უგემური ხაზლამასავით, ზოგან ითხოვოს „ლაიქი“, ზოგან კი მონლოლი ბასკაკივით გამოსძალოს. ანუ, რასაც ჰქვია შოუ, არ შედგა. ამის გარეშე კი კონკურსი პოპულარობას დაკარგავს. კარგი იქნება, თუ ამ მომენტსაც გაითვალისწინებენ ორგანიზატორები — ფარმაცევტული კომპანია „ჯიპისი“, ელექტრონული წიგნების მაღაზია „lit.ge“ და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, რათა შემდგომში დაინტერესება ისევ გაიზარდოს.

ახლა, რაც შეეხება წელს გამარჯვებულ ნაწარმოებებს...

შარშანდელი „წეროს“ შემდეგ ვწერდი, რომ როცა თხუთმეტ ფინალისტს შორის სამ-ოთხ კარგ მოთხრობას აღმოაჩენ, ჩემი აზრით, თავისუფლად შეიძლება თქვას, რომ კონკურსი შედგა. სხვა საქმეა, იმ ორასორმოცდაათი ტექსტიდან, რომელიც თავდაპირველად გაიგზავნა ჟიურის წევრებთან, რამდენად იყო ღირსეული მაინცდამაინც ეს თხუთმეტი მოთხრობა. წელს კი ჟიური

თოთხმეტი ფინალისტი შეარჩია და როგორც უკვე ვთქვი, უფრო გაზრდილი კონკურსის პირობებში. ანუ, ამჯერად, ტექსტი სამას ორმოცდახუთმა ავტორმა წარადგინა. თუმცა კი, მოთხრობების საერთო მხატვრული დონე შარშანდელთან შედარებით დაბალია... ძნელია, აკრიტიკო ჟიურის წევრები ფინალში გაშვებული მდარე ტექსტების გამო, რადგან მათი მთავარი არგუმენტია: „უკეთესი უბრალოდ არ იყო და სხვა გზა არ გვექონდა“. გარდა ამისა, დრო ძალიან ცოტა იყო, რომ ყველაფერი გააზრებულად წაეკითხათ. ძნელია, შეედავო, რადგან ასეთ შემთხვევაში ფინალს გარეთ დარჩენილ სამას ოცდათერთმეტ მოთხრობას უნდა იცნობდე. რა გაეწყობა, შევეცადეთ, „გაგებით მოვიკიდებოდით“ ამ დასახელებულ მიზეზებს. თუმცა კი, კარგი იქნება, თუკი სამომავლოდ ჟიურის წევრებს დრო მაინც ექნებათ მეტი, რათა საფუძვლიანად გაეცნონ ამ ზღვა მასალას და მშვიდ ვითარებაში გააკეთონ თავიანთი არჩევანი. კარგი იქნება, აგრეთვე, თუკი რაოდენობის მხრივაც არ ექნებათ ვალდებულება, ანუ აჯობებს, თითოეულმა წევრმა მოიწონოს იმდენი ტექსტი, რამდენიც ნამდვილად მოეწონება.

ვინც „წეროს“ თვალს ადევნებს, იცის, რომ ეს ღონისძიება, სხვა კონკურსებთან შედარებით, მაინც ყველაზე უფრო ცოცხალი და დინამიკურია. ყოველი ფინალისტი ტექსტის ბოლოს დაწერილი კომენტარები თუ მინირეცენზიებიც სახელდახელოა და აკადემიური ესეს სტილისგან შორს დგას. ქვემოთ მეც სწორედ ამგვარ მცირე ანალიზს შემოგთავაზებთ.

**ლია ლიქოკელის „წყლის პირას, მურყნის ჭალაში“** — ალბათ, ვისაც არ ნაუკითხავს, აინტერესებს, რა ხდება ამ მოთხრობაში... მითუმეტეს, რომ კონკურსის პირველი პრიზი, ვერცხლის წერო, სწორედ მან აიღო. ესაა ამბავი ბავშვზე, ანუ ქალზე, ანუ გოგოზე. გაფანტულის გაერთიანება — სხვადასხვა დროის ერთ დროდ ქცევა, ყველაფრის ერთად მოქცევა და მაინც თანმიმდევრული ამბის ანაქრონისტული სქემით გადმოცემა — ესაა, რაც აქ ყველაზე მეტად საინტერესოდ მომეჩვენა. ლექსიკა, ძალდაუტანებელი თხრობა, რაც მანერის მიხედვით ხანდახან თუ გადადის, ამ ყველაფრის მოსათხრობად მშვენიერი ინსტრუმენტი გამოდგა. თუმცა, ტექსტს ნაკლოვანებები, ცხადია, აქვს. ყურს ჭრის ხანდახან, ცოტა არ იყოს, წრეგადასული ნაივურობა, მეტისმეტი ჰაიპორობა წინადადებების მიმართ, აქაოდა, ნიაღვარივით ვწერო, აქაოდა, სიტყვების თავმოყრას ვერ ვასწრებო. მაგრამ ეს მაინც წვრილმანია, რადგან მგონია, რომ თანდათან უფრო მეტად იგრძნობს ლია ყოველ არაზუსტ ან ნაკლებად ფრაზას. აქი, წინა წლიდან მოყოლებული, შეუდარებლად შეაცოცხლა ლაფსუსები. ამ მოთხრობაში თითქოს უფრო „პირგამეხებულია“ ავტორი, ემოციუბად არ იღვრება, სენტიმენტები გაშრობია. პოეტურ ტექსტში ბოჟუმერი-ასავით ყალბად გაიბრუნა ხოლმე ნებისმიერი პათეტიკური ფრაზა ან სიტყვა. ამჯერად კი ავტორმა მოზომა. წინა ტექსტისგან განსხვავებით, არ შეეცადა, ყოფილიყო ორიგინალური, თავი მოეწონებინა, ეკოკეტა მკითხველთან მეტისმეტი აღქმის უნარითა თუ მეტისმეტი ემოციით. ამ მოთხრობამ ძალიან გააღიზიანა მკითხველთა ნაწილი. ძირითადი ბრალდება იყო ის, რომ ეს არის პოეზია და არა პროზა... მართლაც, სად გადის ზღვარი პროზასა და პოეზიას შორის, ამის „იურიდიული“ განმარტება არა გვაქვს. მითუფრო დღეს, როცა ეგრეთ წოდებული უანრის კანონი არ არსებობს. არა აქვს მნიშვნელობა, რომელ სახეობას ეკუთვნის ნაწარმოები. მთავარი ხომ ტექსტის მხატვრული ღირსება უნდა იყოს... ბევრს ამ მოთხრობამ სელინჯერის ასოციაციებით აღუძრა, მე ვიტყვი — მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ავტორმა ხმამაღლა გვიკარნახა სათაურით, თუმცა კი, დაკვირვებული მკითხველი მიხვდებოდა, რომ ლიქოკელის ამ ტექსტს არაფერი აქვს საერთო ჯერომ სელინჯერის ნაწარმოებთან, გარდა სათაურის

მსგავსებისა და ესეც ავტორმა შეგნებულად მოგვანოდა.

**ზურა აბაშიძის „საშკა“** — ამ ერთი შეხედვით შეუმჩნეველ და სადა ტექსტში თითქოსდა განსაკუთრებული არაფერია მოთხრობილი. არც თვალისმომჭრელი სიუჟეტი, არც რაღაც იდეა, რის გარშემოც ამბავი ხდება, არც სტილი, არც მხატვრული ხერხები... მაგრამ მოთხრობა კარგია, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ავტორი დამწყებია. ესაა ფრაგმენტი ახალგაზრდების ცხოვრებიდან. ავტორი არ პოზირებს არც იმ ნატურალისტური ხერხებით, რომლითაც კდემამოსილი მკითხველი გააღიზიანა, არც პერსონაჟების „ქართული გაგებით“ მიუღებლობით. ტექსტი მონოდებულობა ისე, რომ ხედები — ავტორმა უბრალოდ პირნათლად აღწერა ფრაგმენტი, რომელიც არც განსაკუთრებულად არ იწყება და არც განსაკუთრებულად არ თავდება. აქ არაა ფინალი და მერე მისი განსჯა, სუსტი იყო თუ ძლიერი. როცა ბუნებრივად გამაღიზიანებელი არ არის, როცა ყურით არაა მოთრეული არც ცენზურა და არც უცენზურობა, ვფიქრობ, მაშინ შეიძლება საუბარი ნორმალურ მხატვრულ ტექსტზე. ცხადია, ეს არაა თანამედროვე დამწყები ავტორისგან საუკეთესო ნიმუში. უბრალოდ, წლებგანდელი ფინალისტების ფონზე თავისი სისადავით და ზუსტით, გემოვნებიანი გადწყვეტითაა მომხიბლავი.

**მიშა ბახსოლიანის „სასაუზმე ბუდაპეშტი“** — აბსურდული ტექსტი, სადაც პერსონაჟები პერსონაჟებს ხოცავენ. ჩემი აზრით, ის, რომ ავტორმა მსახიობები „დახოცა“, როგორც იდეა, შესანიშნავია. ქართული ლიტერატურა არ არის მდიდარი ამგვარი ფანრის ტექსტებით. ეს ავტორმა მშვენივრად იცის; იცის, რა არის საინტერესო და რა ალგორითით და სიმბოლოებით უნდა იმუშაოს წერისას. მიშა ბახსოლიანს საერთოდ ახასიათებს მოთხრობების წერა კინოსცენარის სულისკვეთებით. მისი ტექსტის კითხვისას ყველაფერი თვალნათლივ ხედავ და განიცდი... და სწორედ იმიტომ, ასეთი საინტერესო ფანტაზიის მწერლისგან, გაუგებარი ხდება ბანალური ხერხები, რომლებსაც იყენებს. ზედმეტი კონკრეტულობის შთაბეჭდილებას, რომ მწერალს ტექსტი არა აქვს გათვლილი მოაზროვნე, კითხვაში განაფულ მკითხველზე. ხავსიანი იუმორი, ვითომ დრომოჭმული ტიპების ამ ფორმით დახატვა, მათი დაცინვა გაცვეთილი მეთოდებით, ვფიქრობ, რომ ტრივიალური მხატვრული „ხერხია“. თავად ის ტიპაჟებიც აღარ მეტყველებენ ასე და ახლახან გარდასული ეპოქის ამ ფორმით გაცოცხლება მხოლოდ პროვინციული მიზნის სურნელს ატრიალებს ტექსტში. არ შეიძლება, არ გაეცვას ხაზი იმას, რომ ძალიან კარგი იყო ამ ტექსტის ფაბულა, ხერხემალი... მაგრამ, როგორც აღვნიშნე, ხორცშესხმა მოხდა შეუსაბამოდ.

**მარი ბექაურის „ოქვა პრეზიდენტმა“** — ასე გადაჭრით ძალიან ძნელია, თქმა, მაგრამ სამწუხაროდ ვერანაირ ეფემისს ვერ მოვწახვავ და პირდაპირ ვიტყვი — უხარისხო ტექსტია. რისთვის დაინერა, გაუგებარია.. როდესაც ავტორის ვინაობა გავიგე, გავოცდი. ვრცელ ტექსტებში განაფულ მარი ბექაურს, რომელმაც თავის დროზე „წერო“ აიღო, ამგვარი ტექსტი რატომ უნდა დაეწერა?... კონკურსისთვის? და რას ემსახურება კონკურსი?... ნაქარევა დაწერილი ტექსტების შეყრას? მოთხრობის ანოტაცია თითქოს უფრო საინტერესოს გვიპირდებოდა. ვიფიქრე, რაღაც ორიგინალურ მხატვრულ ნარმოსახვასთან გვექნებოდა საქმე. ან ფანტაზიასთან, ან პაროდიასთან... მაგრამ არაფერი. სულ არაფერი. ტრივიალური ხედავ პრეზიდენტ შევარდნაძის პოზიციიდან. თან, რაც მთავარია, დადებით კონტექსტში. ეს ერთ-ერთი იმ ტექსტთაგანია, რომლის შესახებაც ძალიან საინტერესოა ესოდენ სოლიდური ჟიურის მოსაზრებები და არგუმენტები...

**თეა თოფურას „იაკობის ჭკასთან“** — შინაარსის ასე, შემოკლებით მოყოლას აზრი არა აქვს. ძმების უცნაური, მისტიკური ისტორიის საკუთარი თვალთწინა კითხვა სჯობს... ამ მოთხრობას, ანუ ზღაპარს, მითს, რაც გნებავთ დაარქვით, ცხადია, თავისი წილი პროფესიონალიზმი და, რაც ყველაზე აუცილებელია — თავისი წონა მაგიურობა აქვს. თხრობა ძალდაუ-



ტანებელია, სადა, სირთულეების გარეშე. რადგან ზომიერების გრძობა არ ღალატობს ავტორს და იცის, მაქსიმალურად გამარტივებული ლექსიკაც კი საპირნონედ წაადგება თავად ტექსტის ლაბირინთებს, სიმბოლურ მინიშნებებს და ალუზიებს. იცის ავტორმა, მკითხველი რომ არ უნდა დატვირთოს და ამიტომაც ირჩევს ასეთ ბალანსს. თუმცა კი, ტექსტის ბოლოს ამბის „კუდის“ მეტად მოქნევას უფრო მოინებდა მითების გურმანი მკითხველი. რატომღაც ერთბაშად მოსხიპა ფინალი ავტორმა და ამის გამო აშკარად შეკვეცილის შთაბეჭდილება დატოვა ტექსტმა. თუმცა, ასეა თუ ისე, ლეგენდა აშკარად შედგა.

**ჯაბა ზარქუას „დახურული ქარხნების სინდრომი“** — მოთხრობა მოხუცების შესახებ, რომელთაც ანონიმური წერილების წერა დაუწყიათ, რაც მთლიანად ცვლის ქალაქის ცხოვრებას. იდეა საინტერესო ჩანდა და ვიფიქრე, რომ ამბავიც საინტერესოდ განვითარდებოდა. მაგრამ ხანდახან რალაცა რალაცასთან შესაბამისობაში რომ არ მოდის, მერე ბალანსი ირღვევა. აქ განვითარებული სიუჟეტი, როგორც ირონია სიბერის მიმართ, როგორც ირონია ახალგაზრდობისა და სექსუალობის მიმართ, ნამდვილად საინტერესოა. მაგრამ სინდრომი, რომელზეც დასაწყისშია საუბარი, უფრო საინტერესო და ვრცელი განვითარება მოუხდებოდა. მესმის, რომ რთულია, აიტანოს ავტორმა ამგვარი ტონი — ჭკუის დარიგება, თუ რა იქნებოდა უკეთესი, მაგრამ რჩევა ასეთი მექნებოდა — მეტი სითამამე ამბის გამოგონებისას, ზომიერების გრძობა, ფანტაზია გაცილებით ცოცხალს გახდიდა ტექსტს. საინტერესოა მწერლური მინიშნებები. თუმცა, ავტორი მკითხველს არ ენდობა და ამ მინიშნებებს უხეში ხერხებით აკეთებს. ვფიქრობ, არაა საჭირო ხმაურიანი მორაბობები. თხრობა ნატიფ მკითხველზე უნდა გაითვალის. ესაა და ეს.

**ზაზა კოშკაძის „ვინც გაიცინებს, გავარდება“** — მოთხრობა დიალოგების პრინციპითაა აგებული და ეხება ყბადაღებულ პრობლემას ოჯახური კონფლიქტის შესახებ. ტრივიალური ტექსტის ფაბულა, ტიპაჟები, დიალოგები. ნებისმიერი კედლის მიყურადებით ამ ბანალურ, უკვე შავ ფოლკლორად ქცეულ დიალოგებს მოისმენს ადამიანი. საგაზეთო სტატიები ამაზე წერენ. ტელევიზორებში ამას ღალადებენ. ფეისბუქზე ამას პოსტავენ. ამიტომ მოთხრობაში რაღაც განსხვავებულის ნაკითხვას ელის მკითხველი. სამწუხაროა, რომ კომენტატორებმა უკმაყოფილება ტექსტში არსებულ სკაბრულულ გამოხატულებებზე გამოთქვეს და არა მის მხატვრულ ხარისხზე. გაზეთებიდან გადმოწერილი და მეზობელთა ფანჯრებიდან გაგონილი „ნატურალიზმი“, ვფიქრობ, რომ მწერლურ ნატურალიზმად ვერ ჩაითვლება. ზაზა კოშკაძის სხვა პროზაულ ნაწარმოებებს რომ არ ვიცნობდე, ვიფიქრებდი, რომ ეს ტექსტი აბსოლუტურად უიმედო ავტორის ნარეჟიანი მცდელობაა. კიდევ ერთი შეკითხვა ჟიურის წევრებს — რა კრიტერიუმებით მოხვდა ეს ტექსტი ფინალში?

**ლევან ლორიას „მე, ზიძაჩემი, ფეხბურთი და გამრავლება...“** — ესაა ვრცელი მოთხრობა-თავგადასავალი რამდენიმე ადამიანის პატივს მოგზაურობაზე. იოც ამგვარ ტექსტს ვთავაზობს გასული საუკუნის 50-იანი წლების ქართველი მწერალი, ცხადია, მოიხიბლები. მაგრამ როცა დღეს წერს ასე, აქ უკვე ჭირს განსაკუთრებული ინტერესის გამოჩენა. ცხადია, მოთხრობას დადებითი მხარეებიც აქვს — სტრუქტურული და თავგართმეულია, თხრობის დინამიკა, პერსონაჟების ხასიათი — ყველგან ჩანს ის წერის კულტურა, რაც ელემენტარულ პროფესიონალიზმზე მეტყველებს. ამჯერად არ გამოვეციდები სინტაქსს, ორთოგრაფიას და არც შიგადაშიგ კილო-კავების აღრევას. მთავარი მიზნის არის ის, რომ ავტორი საგანგებო პედალირებას ახდენს იუმორზე. იუმორის დიდი ტრადიციის ქვეყანაში კი ასეთი ტრივიალური პასაჟები, გადაცვეთილი პროვინციალური ფრაზები გაღიზიანებას იწვევს და არა სიცილს. „იუმორის“ გარეშე აშკარად უკეთესია ტექსტის ძირითადი ნაწილი... მაგრამ ყველანა ხასხენები მდარე მომენტები წვე-

ლაფერს აუფასურებს... ერთი მომენტი — ადრეც იყო ხოლმე მკითხველში მსგავსი მიდგომა და ახლაც ვაწყვდები მოსაზრებას, რომ სახალისო ტექსტი კარგია, ხოლო ნაწარმოები, რომელიც გამძიმებს — ცუდი. და რაკი მკითხველი სხვა ტექსტებით დამძიმებულია, ამ მოთხრობის მხატვრულ ღირსებად იუმორი და წყალივით მდინარეება მიიჩნის. როდესაც ნაწარმოების ღირსება ამ ნიშნით ხასიათდება, იქ ძნელია, მხატვრულ ფასეულობებზე საუბარი. აქვე ვიტყვი განზოგადებულად, რომ როდესაც ნაწარმოების გამარჯვება-არგამარჯვებასაც ამ ტიპის მკითხველი განაპირობებს, ცხადია, ესეც ლიტერატურის დამარცხებაა „პაფსავიკობასთან“ და არაპროფესიონალიზმთან. ბოლოს ვიტყვი, რომ ავტორს აშკარად ესმის ის, თუ რა სირთულეა პროზაში მუშაობა. ის განაფულია და იცის, როგორ ააგოს სიუჟეტი, როგორ დახატოს პერსონაჟები, მაგრამ კარგი იქნება, თუ იმაზეც იფიქრებს, რომ გასცდეს ეთნოკულტურას და ახალი იუმორი, ახალი მსოფლმხედველობა შემოიტანოს თავის ნაწერებში.

**ირმა მალაციძის „ჩემი ძვირფასი ლოლიტა მასწავლებელი“** — ეს გახლავთ მოთხრობა, სადაც სკოლის შთაბეჭდილებები მოსწავლის დღიურის მეშვეობითაა გადმოცემული. მოდი, ჯერ დადებთ მომენტებს გაფუსვავთ ხაზი: ნაწარმოებში დახატული რეალობა ახლოს დგას საბჭოთა ბავშვის რეალობასთან. აღწერილია მარადიული თვისებებიც — თანამდებობის პირობისთვის და სხვა საჭირო ხალხისთვის გულისდარჯის კმევა, მასწავლებლის უსამართლობანი, გამორჩევითობა და ასე შემდეგ. თუმცა კი, რომ გააჩეროთ ნებისმიერი გამვლელი და სთხოვით, მოგიტხროთ სკოლის უსამართლობებზე, ისიც, ალბათ, დაახლოებით ამგვარ ამბებს მოგიყვებათ. ახე რომ, ამ ისტორიის ავტორმა გააცოცხლა წარსული, მაგრამ ძალიან კუსტად და ტრივიალურად. ახლა, ნელ-ნელა გადავიდეთ ტექსტის ნაკლოვან მხარეებზე... სუსტად გაცოცხლებულ რეალობას ხელს უწყობს დაბალი მხატვრული საშუალებები, რომელსაც ირმა თხრობისას იყენებს. თუ ესაა დღიურის ფორმით დაწერილი ტექსტი, მაშინ არ უნდა ჰგავდეს ზეპირ მეტყველებას. „ისა რა ქვია“ და მსგავსი ენის ბორძიკი ავტორმა ცოცხალი მეტყველების გადმოცემისას უნდა გამოიყენოს და არა პერსონაჟის დღიურის ციტირებისას. თავი დავენებთ იმას, რომ არც სხვა დანარჩენი ტექსტი შეესაბამება მუდამ მოსწავლის მეტყველებას. არის ადგილები, სადაც საერთოდ იკარგება ბავშვის „ხმა“. ავტორმა, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ შეძლო გარდასახვა. არადა, ბავშვის მონოლოგის იდეა ამოუწურავი თემა მგონია და მუდამ ცოცხალი და საინტერესო მწერლისთვის. ახლა, რაც შეეხება, ამბის ფსიქოლოგიას — ცნობილია, რომ ბავშვებს დიდებზე მეტად აქვთ განვითარებული სამართლიანობის გრძობა. ასევე — შეყვარებაც გაცილებით უპირობოდ შეუძლიათ. ავტორი ამ მეორე მომენტს — შეყვარებას, სწორედაც რომ კარგად გვიხატავს. ასე აფანატებენ „მასწავლებელს“ „მოსწავლის“ მაგრამ ავტორმა თავის პერსონაჟს ალქმის უნარი წაართვა. არადა, საპირისპირო შემთხვევაში გმირის ძალიან საინტერესო ფსიქოლოგიური ნიშნები შეიქმნებოდა. და კიდევ — ტრივიალურად არის გადმოცემული ნაჭრის ამ ორი ნაგლეჯის — ყელსახვევისა და მანდილის ნიუანსი. პრობლემა, რომელიც ყელსახვევის ირგვლივ არსებობდა და პრობლემა, რომელიც მანდილის ირგვლივ ტრიალებს — ერთ შემთხვევაში კომუნისტური იდეოლოგიის და მეორე შემთხვევაში კი რელიგიური იდეოლოგიის თავს მოხვევის გამო, ასე მარტივი ხერხებით არ უნდა გადმოცემულიყო. მეტი მხატვრული ნარმოსახვა და ინსტრუმენტების ფლობა არ აწყენდა ავტორს. თუმცა კი, თავად იდეა, ნაჭრის ამ ორი ნაგლეჯის საერთო კონტექსტში, როგორც მარად არსებული აქუსეუარის, დაკავშირებისა, არის ის, რის გამოც ავტორი შექმნას უპირობოდ იმსახურებს. მუდამ არსებობს იდეოლოგია, რომელიც თავს გახვევს თავის „ჭიჭეს“, თავის სიმბოლოს. ნიუანსებში ჭერტის უნარს აშკარად ფლობს ავტორი. მოთხრობის დანარჩენი ელემენტები კი იმ თბილი წყალივით უგემურია, თბილისის შა-

დრენებში რომ მოვსვამთ ხოლმე ზაფხულის დღეებში.

**თინათინ მანიას „სიკვდილის მწერალი“** — ეს არის მოთხრობა კაცზე, რომელიც სიკვდილის შიშს ჰყავს შეპყრობილი და წერს ყველა შესაძლო სიკვდილის შესახებ, რათა არცერთი აღწერილი შემთხვევა მას არ შეემთხვას. მოთხრობა დანერვილია განაფული ხელით, კულტურის, მწერლური აქცენტების მცოდნე ადამიანის მიერ. საინტერესოა ფაბულაც. ის ფსიქოლოგიური გარდატეხაც, შემოქმედებასა და ცხოვრებაში ასახული, საინტერესო მასალაა მწერლისთვის. თხრობა ნახევრად ირონიულია, სარკასტული ნიუანსებით. რალაცნირად, გაგულისებული ადამიანის ნაწერს ჰგავს თითქოს. ეს, ერთის მხრივ, იშვიათი მანერია ჩვენში, მაგრამ მიუხედავად ღირსებებისა, ტექსტი ნაწილობრივ თავგაურთმეველია. მოჭრილი ფინალი, მთავარი გმირის მოსხეპილი სიკვდილი, ბოლოს კი ბანალური აღწერა იმის, თუ როგორი გამოსათხოვარი ამბები გაითამაშა საზოგადოებამ, დღეს უკვე ტრივიალური და არაფრისმთქმელია. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდგომ და მანამდეც ისედაც ყველამ ზეპირად ვიცოდით — ამაოება, სიყალბე, ფარისევლობა, სიცოცხლეში რქენა, სიკვდილის მერე კი დითორამბები. ამ ყველაფერზე აქცენტირება აქრობს იმ მთავარ ხიბლს, იმ ფსიქოლოგიზმს, რომლითაც თხრობა დაიწყო და რომელიც გაიმედებდა მკითხველს, რომ აქ რალაც საინტერესო განვითარდებოდა.

**ლაშა მილორეას „ზღვის ბრაუნის ნაამბობი“** — ისტორია საინტერესოა. უცხოელის თვალთ დახახული საქართველო და ქართული მანკიერებები. ამ ტიპის ნეგატივის შესახებ მაინცდამაინც არ წერენ ხოლმე და ნაწარმოები ამ კუთხითაც იქცევა ყურადღებას. მაგრამ მარტო კარგი ფაბულა ვერ ქაჩავს ხარისხს, რადგან ტექსტის ხარისხი ფაბულის იმედად ვერ დარჩება. ავტორს საერთოდ არ უშეშავია ტექსტზე. ამბავი მოიფიქრა — ეს ცხადია, მაგრამ ენასთან ასეთი უზასუხისმგებლობა გაუგებარია... თხრობა ზოგ ადგილას „გუგლის“ თარგმანს ჰგავს, ზოგან თავად ავტორი ცდილობს, მიზაძოს უცხოელის ქართულად მეტყველებას. მან ისიც კი არ იცის, რომ ერთი სახეობის შეცდომები დაამშვებინოს უცხოელ პერსონაჟს. ხან სულაც ავიწყდება, ვინ საუბრობს და გამართულად წერს უდახვეწილესი სინტაქსით. მოკლედ, გადატეხილებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ტექსტში სრული საგიჟეთია. მაგრამ ამას დავანებოთ თავი და გადავიდეთ სიუჟეტზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორს რეალური ისტორიის დამაჯერებლად სახვა კი არ უნდოდა, არამედ მხოლოდ ის, რომ ქართველი კაცების უარყოფითი მხარე ეჩვენებინა... ამიტომ სცენების აღწერა რაღაც დონეზე შეკონინებულს ნააგავს იმ მოტივით, რომ ქართველები საძაგლობაში ამხილოს. ცხადია, მხილების საწინააღმდეგო არავის არაფერი არა აქვს. გაცილებით უარესადაც შეიძლებოდა, განვითარებულიყო ამბის დრამატურგია, მაგრამ დამაჯერებლობა, ფონი, ამბის ერთიანობა და ზემოთ ნახსენები ტექნიკური გაუმართაობა საბოლოოდ აფუჭებს ძალიან ამ კარგ ფაბულას.

**ნინა სურამელაშვილის „ნუ გეშინია, ანა“** — მოთხრობა ასევე ოჯახურ ძალადობაზე, სადაც ავტორს გადაუწყვეტია, რა ნეგატივისაც კი ბოლო ხანებში ყური მოკრა, ერთად დაეხვევებინა ამ ტექსტში. არადა, მწერლური თხრობა თითქოსდა გამოსდის. იცის, როგორ აღწეროს მოვლენა, როგორ ფრთხილად გადაიტანოს კადრი, როგორ ააგოს წინადადება საინტერესოდ. მაგრამ ვაკჰანალია, რაც ამ მოთხრობაშია გაფანტული, ყველაფერს აფუჭებს. თითქოს ტელერეპორტაჟებიდანაა ფაბულა მომზადებული და ავტორის ზომიერების გრძობის სრულ უქონლობაზე ლაპარაკობს. დანაშაულის დეტალები, რომელიც ასიათასჯერ მოისმინა და ნაიკითხა საზოგადოებამ, და რომელსაც აქ უსასრულოდ იმეორებს — ყურის ჩამოთლა — და ასე შემდეგ — ვფიქრობ, რომ მისი, როგორც მწერლის, ნონასწორობის დარღვევაზე მიუთითებს. და მიუხედავად იმისა, რომ ალაგ-ალაგ ტექსტის მგრძობიარეა, ჩანს გულწრფელი ემოცია და თანაგაცდა, მხატვრული



გაუმართაობა და ავტორის ზომიერების გრძობის უქონლობა მოთხრობას აფუჭებს.

**ცირა ყურაშვილის „ჩამრთველი“** — როგორც დოკუმენტური პროზის ნიმუში, მშვენიერია. საერთოდაც, ჩვენს ლიტერატურას აკლია ეს ჟანრი. უამრავი საინტერესო ისტორიული სახე და ამბავია გასახსნელი თუ გასახსენებელი. რამდენად ზუსტად და სწორადაა ამ ტექსტში დასმული აქცენტები, რამდენად ობიექტურად არის გადმოცემული რეალობა, ამაზე კომენტარს ვერ ვავაკეთებ, რადგან ასე ზედმინვეით არ ვიცნობ პერსონაჟის ცხოვრების ამ მონაკვეთს, პერიპეტეებს და არც „დათიკად“ ნოდებული გმირის შესახებ არ ვიცი, თუ რამდენად იმსახურებს ან არ იმსახურებს ის დაკინებას. მე ვაფასებ მხოლოდ ნამუშევარს და არა კვლევას. ვიმეორებ, როგორც დოკუმენტური პროზა, შესანიშნავია, მაგრამ ეს არაა მხატვრული ტექსტი. უფრო ჟურნალისტური ნარკვევია, რომელიც ყოველთვიურ პერიოდიკაში საკითხავად არის გამიზნული. ვფიქრობ, მისი ენა, ლექსიკა, სინტაქსი, ტექსტის მიმართ მიდგომა — ამ ჟანრს მიესადაგება. ჰო, კიდევ ერთი შენიშვნა — ავტორმა გადაწყვიტა, ბევრი ჩაეხილა ამ ტექსტში და მოხდა, ცოტა არ იყოს, კალაპოტიდან გადმოსვლა, მეტისმეტი ინფორმაცია ველარ დატია ამბავმა და ტექსტს გარე აღმოჩნდა თითქოს. ამ ნიუანსშიც ზომიერების დაცვაა საჭირო, ჩემი აზრით, რა თქმა უნდა.

**ბესო ხვედელიძის „ზღვის სუპი“** — ანტიპათია ტექსტის კითხვისას მაშინ ჩნდება, როცა ავტორს გადაწყვეტილი აქვს, როგორმე დაგვზაფროს და ნებისმიერი ხერხით ავგიჟოყოს გული. ეს ჰორორის ტიპის დრამა, თემატურად და სიუჟეტურად საინტერესოა, მაგრამ ავტორს არანაირად არ ჰყოფნის სხვა ხერხების მოშველიების უნარი, რომ როგორმე დამაჯერებელი გახადოს აღწერილი ისტორია, როგორმე ჩაგვითრიოს ამბის ემოციურ აღწერაში. საერთოდ, არ არის იოლი მძაფრის თემების დამუშავება. მითუფრო, რომ ჩვენს ლიტერატურას ამგვარი ტრადიცია დიდად არა აქვს. მაგრამ თუ ხელს ვკიდებთ, მაშინ რამდენადმე თავის გართმევა მაინც აუცილებელი მგონია. ავტორი ცდილობს, მშრალად აღწეროს მოვლენები, რომ სენტიმენტებს ასცდეს, მაგრამ მეტისმეტი მოსდის და ხელთ გამოფრთხილი, გამომშრალი ტექსტიდა გვჩვენება, ამ პერსონაჟების ორგანიზმით გამოფრთხილი, ნაქარვეი და ზედმეტად ჩონჩხად ქცეული. ვერ ვიტყვი, რომ ეს ხერხია. ეს უფრო ზომიერების შეგრძობის დაკარგვაა. ავტორი მეორე უკიდურესობაში გადავიდა. საბოლოოდ კი, ამ ნაკლებობის მიუხედავად, მოთხრობას პროფესიონალური, მწერლური კვალი ატყვია. განაფული ნამუშევარია. სხვაგვარი ნარმოუდგენელიც კია მწერლისგან, რომელსაც ამ ჟანრში წერის დიდი გამოცდილება აქვს.

აი, ეს არის წლებადმეტი ფინალში გასული ტექსტის მცირე მიმოხილვა, სადაც უმეტესად ნაკლოვანებებზე მომიხდა ყურადღების გამახვილება, მაგრამ იმედია, ეს მხოლოდ სასიკეთო აღმოჩნდება მომავალი მუშაობისთვის. კრიტიკას ხომ ყველა მწერალი საჭიროდ მიიჩნევს. ჰოდა, აი, ბატონო, ესეც კრიტიკა, ცხადია, როგორც ერთი კონკრეტული თვალსაზრის...



კრიტიკოსი

ნონა კუპრეიშვილი

„სიტყვის დეგუსტაცია“ — ასე ჰქვია ფილოლოგ ნონა კუპრეიშვილის ნიგნს, რომელიც XIX-XX საუკუნეების ლიტერატურულ პროცესებსა და სოციალურ-კულტურულ მოვლენებს აცოცხლებს, თანამედროვე მწერლობის ტენდენციებზე საუბრობს. დაინტერესებული მკითხველი ნიგნის გადაშლისთანავე, შოთა ჩანტლაძისადმი მიძღვნილი პირველივე წერილით მიხვდება, რომ ეს არის ავტორის განზრახვა, შექმნას მრავალსახოვანი სურათი წარსულისა და თანამედროვეობის, ახლებურად დაგვანახოს ისტორიული მოვლენები და პიროვნებები, კრიტიკულად გაგვაზრებინოს „ჩვენი ამბავი“. ქალბატონმა ნონამ ამ ნიგნით მთელი თავისი მრავალწლიანი სამეცნიერო-ლიტერატურული ძიებებზე, მიგნებებსა და მხატვრული სიტყვის მისებურად დაგეგმვებზე გვიამბო. აქაც იგივე მინდა, ვთხოვო.

— ვინაიდან, სამეცნიერო მუშაობას კრიტიკულ-ესეისტური ტექსტების შექმნასაც უთავსებთ, მინდა, გთხოვოთ, ისაუბროთ კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ურთიერთმიმართებაზე.

— იყო დრო, როდესაც ამ ორი განსხვავებული სფეროს გამიჯვნა აუცილებლობას წარმოადგენდა. ეს, ჩემი აზრით, სხვადასხვა მიზეზმა განაპირობა. პირველი: როდესაც გასული საუკუნის 20-30-იან წლებში აბსოლუტურად ფუნქციონირებდა ლიტერატურული კრიტიკიდან კრიტიკოსების გარკვეულმა ნაწილმა ლიტმცოდნეობის, ერთი შეხედვით, უფრო მყუდრო, მეტიც, უსაფრთხო სფეროს მიაშურა. და მეორე: როდესაც იმავე საუკუნის 60-იანი წლებიდან კრიტიკის ავთენტურობის აღდგენის, მისი მწერლობასთან დაახლოების რთული და წინააღმდეგობრივი პროცესის კონტექსტში, ბევრს, ახლა უკვე პირუკუ, მოეჩვენა, რომ კრიტიკა ლიტმცოდნეობას, მის „ცივ რაციონალობას“ და მეცნიერულობას სასურველზე მეტად დაუახლოვდა. სინამდვილეში, ეს ორი სფერო პარალელური ხაზების პრინციპით თანაარსებობს. კრიტიკა მაშინ თანდათანობით შემოქმედებით ხასიათს იბრუნებდა, მწერლობის დარგად ყალიბდებოდა, ამასთან, მას უხდებოდა იმ მეცნიერულ სიახლეთა გათვალისწინება, რაც მხატვრული ტექსტის კვლევა-გაზრების მეთოდოლოგიას შეეხება და დასავლეთში დიდი ხნის წინააპრობირებული. აბა, როდემდე შეიძლება, გაგრძელებულიყო ის ანომალია, რომელიც პირველსავე პოსტ-სტალინურ წლებში გამოაშკარავდა. შიშნარევად, მაგრამ მაინც გარკვევით გაისმა პროტესტი კრიტიკული აზრის ესთეტიკისა და თეორიის გარეშე არსებობის წინააღმდეგ. მხედველობაში მაქვს ვენორ ქვაჩაიას 1954 წელს გამოქვეყნებული გამაზრებული წერილი — „რატომ ჩამორჩება ლიტერატურული კრიტიკა?“ და მის გარშემო პოლემიკაში ჩართულ ინტელექტუალთა — ნოდარ და ზურაბ კაკაბაძეები, ოთარ ჯინორია, შოთა ვადაჭკორია, სარგის ცაიშვილი და სხვები — პოზიცია, რომლებსაც გაზეთის რედაქტორის, მიხეილ კაკაბაძის, მოხსნის შემდეგ ახსნა-განმარტებითი წერილების დაწერა აიძულეს. ბევრი მსგავსი მაგალითის მოხმობა შეიძლება. კრიტიკა დღეს შემოქმედება, გნებავთ თანამემოქმედება, ყველა აქედან გამომდინარე შედგვით. არც ლიტმცოდნეობას ჰქონია ადვილად სავალი გზები. იგი, ფაქტობრივად, „შინაარსმცოდნეობამდე“ — გურამ ბარნოვის განმარტება გახლავთ — იქნა დაყვანილი. მასში დიდი დოზით იყო გაზავებული მარქსის-

ტულ-ლენინური ესთეტიკისა და კლასობრივი ბრძოლის „უჭკნობი“ იდეები. ადვილი იყო ამ მსოფლმხედველობითი საწყისიდან კონკრეტული ტექსტის, რბილად რომ ვთქვათ, შეფასება. ასეთ ლიტმცოდნეობით ნაშრომთა ტრაჟედი დიდი იყო, ჰონორარები — მაღალი. „სრულყოფილებისთვის“ პატივცემული ავტორები საბჭოეთის სხვადასხვა დიდი ქალაქების საკომისიოებში იძენდნენ ანტიკვარიატს, ფაქტობრივად კი — თავიანთ პარასტულ წარსულს და ავტორიტეტული, სინამდ-



ვილემი კი შეზღუდული აზროვნების წრეში ჩაკეტილი უპრინციპო სპეციალისტიც მზად იყო. დღეს ლიტერატურული კვლევა, ისევე როგორც თვით შემოქმედებითი პროცესი, შეუდარებლად გართულებულია. კრიტიკოსი, ვფიქრობ, უნდა დარჩეს ლიტერატურული გემოვნების მაკორექტირებელ ფიგურად, ტარიელ ჭანტუიას სიტყვით რომ ვთქვათ, ერთგვარ „ფერმენტად“, რომელიც აქტიურადაა ჩართული ლიტერატურულ პროცესში, ხოლო ლიტერატურისმცოდნეობა ზურგს უმაგრებდეს მას კომპარატივისტული, სტრუქტურალისტული, ჰერმენევტიკული თუ სემიოტიკური კვლევების შედეგებით, ტექსტი უფრო თამამად განიხილებოდეს ინტერტექსტუალურობის და ინტერდისციპლინარულობის ჩრდილში და იძლეოდეს არა მარტო ამწუთიერ შეფასებას, არამედ გადაფასებას, პირველ ყოვლისა, საბჭოთა პერიოდის, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია რაიმე არსებით სიახლეს საუბარი. ვისაც ამ კუთხით ჯერ კიდევ ვერ დაუხახავს ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლაზე ორიენტირებული სამეცნიერო ინსტიტუტების — ავილოთ, თუნდაც ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, სადაც ამჟამად ვმუშაობ — მნიშვნელობა, სერიოზულ შეცდომას უშვებს, რადგან, სადაც არ არის სათანადო ანალიტიკური მუშაობა, იქ არც კვალიფიციური ლექტორ-მასწავლებლები და არც მაღალპროფესიული ახალგაზრდები იარსებებენ. ამ მოსაზრების არგუმენტად დავასახელებდი მაღალი დონის ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკოსების თემურ დოიაშვილის, ლევან ბრეგვაძის, ვახტანგ როდონიას, ნუგზარ მუზაშვილის, თამაზ ვასაძის, ბელა ნიფურისა მიერ შექმნილ სასკოლო და დამხმარე სახელმძღვანელოებს, რომლებშიც იდეოლოგიური კლიშეებისგან თავისუფალი ლიტერატურული აზროვნება წარმოდგენილი. ცალკე გამოვყოფდი ლევან გიგინეიშვილის შთამბეჭდავ ლექცია-საუბრებს, გერონტი ქიქოძისებურად, ევროპულ კონტექსტში ქართული ფილოსოფიური და ლიტერატურული პრობლემების განხილვას რომ იძენება.

— XX საუკუნის მწერლობის, ლიტერატურული პროცესების, კრიტიკის მეცნიერულ შესწავლას არაერთი წლი მონაწილეობა მიყვარდა. ძიების ის პერიოდი შესანიშნავად აისახა თქვენს ნიგნში „სიტყვის დეგუსტაცია“, რომელიც წელს ლიტერატურული პრემია „საბას“ ერთ-ერთი ფინალისტი იყო. მაინტერესებს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქების თქვენიული მოკლე შეფასება.

— მწერლობას საქართველოში, როგორც მეტროპოლიის, გნებავთ იდეოლოგიური ცენტრის, უშუალო ზეწოლისგან შედარებით თავისუფალ სამოღვაწეო სივრცეს, XIX საუკუნის სამოციანელებმა „მსახურების“ ფუნქცია დააკისრეს და ამით გვიხსნეს კიდევ გადაგვარებისგან. ბოლშევიკებმა, ბევრ სხვა რამესთან ერთად, ეს იდეაც მიითვისეს და მისი გაუკუღმართებული, უკიდურესად უტრირებული ფორმა თავიანთი კულტურ-პოლიტიკის ქვაკუთხედად აქციეს, ანუ შექმნეს, ასე ვთქვათ, „სამწერლო სახელმწიფო“ თავისი უმკაცრესი იდეოლოგიური მანქანითა და სადამსჯელო აპარატით.

სსპა განზომილებაში ვართ

სწორედ ამიტომ წერდა გასული საუკუნის 90-იანების დასაწყისში კრიტიკოსი თამაზ ვასაძე, უნდა მოხდეს მწერლობის განსახლებილი სახელები ტიციან ტაბიძიდან ლადო ასათიანამდე, ასევე 20-40-იანი წლების დებიუტანტი მწერლების — ბასილ მელიქიშვილის, სტეფანე კასრაძის, პალიკო ნოზაძის, კოტე ხიმშიაშვილის, ფაქტობრივად, შეუმდგარი შემოქმედებითი ბიოგრაფიები, რომლებიც მაშინ გამეფებულმა საყოველთაო ფსიქოზმა, კლასობრივი ზიზღისა და შურისძიების ატმოსფერომ წაშალა. კითხულობ, ვთქვათ, ბასილ მელიქიშვილის ან სტეფანე კასრაძის ტექსტებს და რწმუნდები, რამდენად სწორი და პროდუქტიული იყო ქართული მწერლობისთვის გრიგოლ რობაქიძის მიერ „რენესანსად“ წოდებული მოდერნიზების ის ხანმოკლე ეტაპი, რომელიც XX საუკუნის პირველივე ათწლეულში დაიწყო, მოგვიანებით კი ასე ტლანქად იქნა შეწყვეტილი. მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის თუ ვახტანგ კოტეშვილის ფიზიკურმა განადგურებამ ან ნიკო ლორთქიფანიძის, გერონტი ქიქოძისა თუ პავლე ინგოროვას „შინაგანმა ემიგრაციაში“ თვისობრივად შეცვალა ჩვენი კულტურის შემდგომი განვითარების გზა. ლიტერატურული გემოვნების დამკანონებელ ოფიციალურს თავისი მეხოტბენი სჭირდებოდა. ანგაჟირებულობას დიდი გასავალი ჰქონდა და ბრძოლამ პრეზიდენტი იქნა ადგილების დასამკვიდრებლად არნახული მასშტაბი მიიღო. თუნდაც ვალაკტიონის ცხოვრების ქრონიკა რომ ავილოთ, ვახტანგ ჯავახიშვილმა თავის „უცნობში“ რომ გააცოცხლა, აშკარად დავინახავთ ნამდვილი შემოქმედის დევნისა და იგნორაციის საბჭოთა მეთოდებს. ანგარიშგასანევი ლიტერატურა მაინც დარჩა, მაგრამ არა ისეთი, როგორც იგი სხვა შემთხვევაში იქნებოდა. არა მგონია, 50-60-იანების მიჯნაზე გურამ რჩეულიშვილის მიერ წამოწყებული ბრძოლა თვითდამკვიდრებისათვის მწერლის სრული გამარჯვებით დასრულებულიყო. XX საუკუნის უფროსი და შემდგომი თაობის რიგ მწერალთა განსაკუთრებულ დამსახურებად მიმაჩნია აქ-

ტიურობა ენის გადასარჩენად, მისი გამოხსნის მცდელობა პოლიტიზირებული, იდეოლოგიზირებული ლექსიკისა და ფრაზეოლოგიზმისგან, ფართო გაგებით — „სოვიეტიზმისგან“. როგორც ერთმა დიდმა პოეტმა თქვა, მათ უნდა ვუმადლოდეთ, გაზეთების ენაზე რომ არ ავლაპარაკდით.

— მწერლებსა და ზოგადად ინტელექტუალური აზრის განადგურებამ 30-იან წლებში თვისობრივად შეცვალა ქართული კულტურის განვითარება, ბრძანეთ. რას გულისხმობდით?

— უთუოდ ვგულისხმობდი არა მხოლოდ შემოქმედ ადამიანებს, არამედ გარკვეული ღირებულებებით გაერთიანებულ პოსტილიასულ თაობას, რომელიც ფიზიკურად სწორედ იმიტომ განადგურდა, რომ მსოფლმხედველობით, სხვათა შორის, ადამიანური არსითაც მკვეთრად განსხვავდებოდნენ რევოლუციის ტალღაზე ხელისუფლებაში მოსული უბირი და აგრესიული მასისგან. ისინი კი, ვინც გადარჩა კიდევ დიდხანს ატარებდა ინდივიდუალური ზმის, პიროვნული თავისუფლების დამლას. მაგალითად, სიმონ ყაუხჩიშვილი ერთხანს თურმე ასე მიმართავდა აუდიტორიას: მოქალაქეო! და ეს არ იყო მხოლოდ გალანტური შესტი. ალექსანდრე აბაშელი 20-იან წლებში წერდა, სული დაახრჩო წერილმა ამბებმა, ამონაწერმა გაზეთებიდანო. დაახლოებით ამგვარ ტენდენციას გაეხსნა გზა გასაბჭოების შემდეგ, გაძლიერდა სტალინიზმის ხანაში და საბოლოოდ, საბჭოთა ადამიანის შექმნით დაგვირგვინდა. განხორციელდა ის, რასაც მიხეილ ჯავახიშვილი „ნგრევის შენებას“ უწოდებდა.

— არაერთი წერილი მიუძღვნით მიხეილ ჯავახიშვილს. მინდა გთხოვოთ, ახლაც დადგეთ „კლასიკოსის პირისპირ“.

— 90-იანი წლების ახალგაზრდა მწერლების თაობამ, გაბეზრებულმა საბჭოური ფსევდო-ფსევდოებით გაჯერებული კაკაფონიით, მტყუან-მართლის, ნიჭიერუნეჭოს გარჩევაზე უარის თქმის დროსაც კი მიხეილ ჯავახიშვილს კუთვნილი პატივი მიაგო და იგი XX საუკუნის დიდ ქართველ პროზაიკოსად აღიარა. ასეთი რამ დაკვეთით ვერ მოხდებოდა. თამაზ ვასაძემ და ლელა ნიქარიშვილმა ამ მწერალზე გარღვევის ტოლფასი გამოკვლევები შექმნეს. ხანგრძლივმა მუშაობამ მეც გარკვეულ სიღრმეებამდე მიმიყვანა. როსტომ ჩხეიძემ, რომლის მოსაზრებასაც უფროსად ვაფასებ, განსაკუთრებით გამოყოფს 20-იან წლებში მწერლებული „ჯაყოს ხიზნების“ ერთ-ერთი ილუსტრაციისადმი მიძღვნილი „ორი ძალი — გახლეჩილი სამყაროს სიმბოლო“ და „ურმია, როგორც ყოფიერების სარკე მიხეილ ჯავახიშვილის „ლაბზალო და ყაშასა“ და ვიქტორ შკლოვსკის „სენტიმენტალური მოგზაურობის“ მიხედვით. მეორე წერილზე მითხრა, გვეგონა „ლაბზალო და ყაშასაზე“ ყველაფერი ნაცოდით, მაგრამ კარგია, რომ კიდევ რაცღაც დარჩენილაო. ასეთი შეფასება ერთ რამედ ღირს. კლასიკასთან დამოკიდებულებას რაც შეეხება, აქ ერთი რამ მუშაობს: ცოცხლობს მხოლოდ ის, რაც მუდმივ ინტერპრეტაციას ემორჩილება.

— ძალიან საინტერესო 12 მოკლე ფილმი გავიდა თქვენი ავტორობით „საპატრიარქოს ტელევიზიის“ არხზე. თითქოს ფრაგმენტებში გაცოცხლდა ისტორია.

— მგონი, ახალს არაფერს ვიტყვი, თუ დავიჩივლებ ჩვენს გულარხეინობაზე, რომელიც თვალნათლივ მუდგანდებამ მესიერების დალაგების ჩვენულ გადაწყვეტილებებში. უკანასკნელ პერიოდში აღმოსავლეთ ევროპის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს ეგრეთ ნოდებული „მეხსიერებათა ომების“ თეორია. მასვე უკავშირდება ტრავმის კონცეპტიც, რომელიც ამერიკელმა დომინიკ ლაკაპარმა, პოლონელმა პეტრე შტომპკამ, რუსებმა — ალექსანდრ ეპსტეინმა, მიხეილ ლიპოვეციკიმ და ილიაკუპულინიმა იკვლიეს. ტრავმის კონცეპტს წარმატებით ანალიზებენ ჩვენთანაც, მაგალითად, ბელა ნიფურია, მანანა კვაჭანტორაძე. თუმცა, ნაკლებად — „მეხსიერებათა ომების“ პერიპეტიებს. არადა, ალექსანდრ ეტკინდის მოსაზრების პერიფრაზით, თუ ტრავმა არ „დამუშავდა“, „მეხ-





სირება არ დალაგდა“, წარსული არ იქნა სწორად გააზრებული, იგი გაუპატიოსნებული ცხედარებით მაშინ გამოგეცხადება, როდესაც ამას ყველაზე ნაკლებად ელოდები. ამასთან აი, რა ხდება: წარმოდგენა ტოტალიტარიზმზე, თვით ტოტალიტარიზმთან ერთად, ისეთ მიმიკრიას განიცდის, ისეთი მოუხელთებელი და „კეთილშობილი“ კი ხდება, რომ როგორც არტკრიტიკოსი დავით ანდრიაძე ამბობს, პირადად მას ძალიან გაეწელა დროში თავისი წიგნის, „ტოტალიტარიზმი და ესთეტიკის“ შექმნა. ეს სიტუაცია უფრო მეტი საფრთხის შემცველს ხდის. ჩვენ კი, დამეთანხმებით, კარგა ხანია ვდგავართ მსგავსი საშიშროების წინაშე. ამიტომაც ამ პრობლემით მეც დავინტერესდები. გარდა 2014 წლის ოქტომბერში ილიაუნში გამართული სემინარული პრობლემებისადმი მიძღვნილი კონფერენციისა, მონაწილეობა მივიღე მამა ზურაბ ცხოვრებადის მიერ შემოთავაზებული იდეის განხორციელებაში, ხელმისაწვდომი ფორმით შექმნილი იყო მოკლევადიანი ისტორიული ჩვენს წარსულიდან. გადაცემითა იმ ციკლს ეწოდა „ჩვენი ამბავი“ (რეჟისორია გიგა ლოლაძე, ოპერატორი თორნიკე ჯანგირაშვილი), თუმცა ახლა რომ ვუფიქრდები, ურიგო არც ეს სათაური იქნებოდა: „ისტორია კუპიურების გარეშე“, რადგან პერსონალებმა, რომლებიც შევარჩიე და ძალზე კონდენსირებულმა ტექსტმაც სწორედ ამგვარი მიდგომა მოითხოვა. იასე ფალავანდიშვილი: გმირი თუ ანტიგმირი; იმპერიის ორსახოვნება, ანუ კაზაკები 1812 წლის კახეთის აჯანყებასა და ნაპოლეონის ნაკვალევზე, 1813 წლის პარიზში; ნიგინის კაცი ზაქარია ჭიჭინაძე; რევოლუციის იანიჩარი კაცი ნეკრეთელი; ერთი მოღვაწის ზნეობრივი ვაკეეთილი — იროდიონ ევლოშვილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ; მიცკევიჩისა და პუშკინის თანამოაზრეობისა და განხეთქილების ნამდვილი მიზეზები; ნიკოლოზ დურნოვო — ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დამცველი და ასე შემდეგ. ვაპირებთ, ვაჩვენოთ ორი სეამი ფილმი თბილისის რამდენიმე სკოლაშიც. სასიამოვნოა, რომ მასურების ინტერესი ამ გადაცემისადმი არსებობს. საიტ „reportori.ge“-ზე კი ვინმე ანა ლომიას მიერ წყაროს მიუთითებლად პოეტ იროდიონ ევლოშვილზე შექმნილი ტექსტის გამოქვეყნება (მოამზადა ანა ლომიამო, ენერა) დავგარწმუნა, რომ ის, რაც ვთქვით ამ პროვინებაზე, სხვებისთვისაც საინტერესო აღმოჩნდა. წლის დასასრულს — მანამდე კი ვეძებ დამფინანსებელს — ვაპირებ, მცირე ფორმატის წიგნადაც გამოიცეს, თავისი დისკით და ძირითადად, საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეწოდოს.

— „სიტყვის დეგუსტაციაში“ ცალკე წერილები ეძღვნება ალექსანდრე გრიბოედოსა და მიხეილ ვორონცოვს, მათი პორტრეტების ისე ოსტატურადაა დახატული და კულტურულ კონტექსტში წარმოდგენილი, რომ იმ ხალხისა და საქართველოს ბიოგრაფიებს ახლიდან „გვაკითხებს“.

— საბჭოური ფობიები და ილუზიები ის ნოყიერი ნიადაგი იყო, რომელიც საბჭოურსავე მითებს, დოგმებსა და მათ გამოშახებულ მითოლოგიებს კვებავდა. ერთ-ერთი ასეთი წარმონაქმნი „ხალხთა მეგობრობის“ იდეა გახლდათ, რომლითაც, როგორც აკა მორჩილაძე წერს, ყოველისმომცველი აგრესია იყო გადაფარული. კულტურული მითები გრიბოედოსისა და ვორონცოვის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე საქართველოსადმი — ამ რამდენიმე წლის წინ ასეთი რამეც ამოვიკითხე: გრიბოედოვი შევიდა ერეკლე მეორის ოთახში, თელავში, და მწარედ დაფიქრდა იმ უმსგავსობაზე, რასაც მისი თანამემამულენი ამ ქვეყანაში სჩადიდოდნენო — ინფანტილურ აზროვნებას, აქტიურობას მოკლებულ ინერტულ, რომ არა ვთქვათ, რაღაც უსაშველოდ მონურ ცნობიერებას ამჟღავნებს. თავისუფლების სწორი აღქმისთვის აუცილებელი უშეღავათო სულიერი მუშაობა საკუთარ თავთან — მერაბ მამარდაშვილი გაიხსენეთ — რომელსაც ყოველდღიურად უნდა ვენეო-

დეთ, ამგვარი მითებისგან გამიფენასაც გვავალდებულებს. მხოლოდ ერთი პირობით: პროცესი არა სტიქიური, არამედ კარგად გააზრებული უნდა იყოს, რაც, მასალის ზედმიწევნით ცოდნასთან ერთად, მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობის ამოხსნასაც გულისხმობს. ზოგადად მომწონს დევიზი: „ჩვენ პროკურორები არა ვართ!“ და არაგის სიტყვიერ გაროზგვას არ ვესწრაფი. უბრალოდ, მინდოდა მეთქვა, რომ ისეთი არაორდინალური პროვინებები, როგორებიც იყვნენ გრიბოედოვი და მეფისნაცვალი ვორონცოვი, სწორხაზოვან და მარტივ ანალიზს არ ექვემდებარებიან. მათ, პირველ ყოვლისა, საკუთარი ქვეყნის ინტერესები ამოძრავებდათ და უჩვეულო ამაში არაფერია. ისე კი, ვორონცოვისადმი მიძღვნილ წერილში სრულიად შეგნებულად დავსვი აქცენტები იმ კანონზომიერებაზე, რომლის მიხედვითაც თვით ყველაზე უფრო კარგად შენიღბულ და დახვეწილ მმართველს პუშკინის ან ალექსანდრე ორბელიანის მსგავსი ფიგურების სახით საბოლოოდ მაინც გამოუჩნდება მამხილებელი.

— „მისვლა ავტორთან“, შეხვედრა ტექსტთან ძალიან პირადი, ვიტყვით, ინტიმური პროცესია, კრიტიკოსი იქნება თუ ლიტერატურათმცოდნე, უპირველესად, მაინც მკითხველია. როგორც მკითხველი, როგორ ახდენთ სიტყვის დეგუსტაციას?

— ავტორსა და მკითხველს, ისევე როგორც ტექსტსა და მკითხველს შორის ირაციონალურობის ზღვარზე მდგარი ურთიერთმიზიდულობაა. არსებობს მწერლის სახელის თავისებური მაგია, რომელიც ბევრად განსაზღვრავს შენი, როგორც აღმქმელის, მოტივაციას. ჩემს წიგნში ორგვარი მიდგომაა წარმოდგენილი, კრიტიკოსისა და მკვლევრის, ქვესათაურებიც შესაბამისია: „კითხვა როგორც გარდასახვა“ და „კლასიკის პირისპირ“. პირველში თითქმის არაფრით შეზღუდული, დოჩანაშვილისებურად რომ ვთქვათ, პირველად ნამკითხველის ბედნიერება ჭარბობს, მეორეში — ტექსტისგან დისტანცირებული და მოთოკილი ინტერესი. მაპატიეთ ბანალურობისთვის, მე მწერლის კალმის ფერიც მაინტერესებს, ასე ვთქვათ, რამდენად ნითელია ის. სხვა სიტყვებით, ზოგჯერ ძალიან ახლოს ვარ ლიტერატურის მორალური პასუხისმგებლობის პრინციპის გაზიარებისგან, დაახლოებით ისეთის, თავის დროზე ჯონ გარდნერმა რომ წარმოადგინა. ასე „მოვძებნე“ თანამედროვე მწერლობის საკმაოდ ვრცელ არეალში ზაზა თვარაძე, ზვიად რატიანი, მარიამ ნიკლაური, შოთა იათაშვილი, მაკა ჯოხაძე, ზვიად კვარაცხელია. რომ არაფერი ვთქვათ, წინა თაობის გამორჩეულ ოსტატებზე.

— ანუ „კითხვა, როგორც გარდასახვა“ ძალიან მნიშვნელოვანი ფრაზაა თქვენი თვის და ეს ავტორთან „მისვლას“, „მოძებნას“ ჰგავს. ასეა?

— კითხვის პროცესის თანამდევნი გარდასახვა — ეს თამაზ ჩხენკელის მიგნებამ შთამაგონა, როდესაც იგი წერის დროს ავტორთა სხვადასხვა ხმების მოხელთებას ლამის თეატრალური კოსტიუმების მონაცვლეობას ადარებს. არადა, მართლაც ასეა. სიტყვების განსხვავებულ რიგს განსხვავებული რიტმი აქვს, შეღწევადობის სხვადასხვა ძალა, ხასიათიც. და შენც ძალაუნებურად ამ პრობოითობას იზიარებ. ასეთ დროს მნიშვნელობა არა აქვს თხრობის კონვენციურ ფორმებს გთავაზობენ თუ, როგორც ვარგას ლიოსა წერს, ცბიერი ნარატორის მიერ დაგებული მოჩვენებითი უნესრიგობის ბადეში ეხვევი. სიტყვების დაგეგმვა კი, „დეგუსტაცია“ რომ ვუნოდე, სხვა არაფერია, თუ არა მწერლის მარადიული წყევლა — ბოლო ამოსუნთქვამდე ეძებდეს და პოულობდეს სათქმელის ფორმას.

— აფხაზეთში გაატარეთ ბავშვობა და სიყმაწვილე. წიგნში წერთ კიდევ აფხაზეთზე დაწერილი მხატვრული ტექსტების მიმართ თქვენს განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე. რამდენად ღრმად და საინტერესოდ აისახა, თქვენი აზრით, ეს ტრაგიკული მოვლენები ჩვენს ლიტერატურაში?

— სოხუმიდან თბილისში საცხოვრებლად სკოლის დამთავრებისთანავე გამოვედი, თუმცა კავშირი ჩემს ქალაქთან არასოდეს გამიწყვეტია. მეტიც, მეგობრები, ალბათ, დამეთანხმებიან, რომ ზღვისპირელის ბუნების ბოლომდე შენარჩუნებას ვცდილობ. ახლა, სამწუხაროდ, ამის საჭიროება არც არის, მაგრამ ადრე, ორ ქალაქს შორის გაბმული, დროდადრო ვამბობდი: სოხუმი თბილისელი ვარ, თბილისში — სოხუმელი-მეთქი. ისე თბილისსაც არ სჯერა ცრემლების და ამაზე სულ მინდა დავწერო. უფრო, ალბათ, პიესა. ის ხმები მინდა „გადავწერო“, ჯოჯობა რომ არ მშორდებოდა. აფხაზეთის თემაზე არა თუ წერა, საუბარიც კი დიდხანს არ შემეძლო. პირველად გავეხვე წერილის გამოქვეყნება ჩვენი ოჯახის მეგობრის, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის, უმოწყალოდ დახვრეტილი პოეტი ქალის შესახებ. მანამდე კი, კარგად მახსოვს, 90-იანების დასაწყისში ომში დაღუპული გიგა თუთბერიძის ხსოვნის საღამო კინალამ ჩავუშალე როსტომ ჩხეიძეს. არაფერია, შენი ცრემლი სიტყვაზე არანაკლები იყო, დამამშვიდა. შემდეგ იყო გურამ ოდიშარას „სოხუმში დაბრუნება“, „შავი ზღვის ოკეანე“ და გენო კალანდიას „რეჟიმი“. ომამდელ აფხაზეთში ორივე ცნობილი მწერალი იყო, ამიტომ მათი უკანმოხედვა, ვიტყვით, გოდებაც იყო და ამ გოდებაზე ამაღლებაც, ჯვართოც და გარდამოხსნაც. როგორც ფართო მკითხველისთვის, ასევე ჩემთვისაც, სასიამოვნო აღმოჩნდა იქცა გელა ჩქვანავას პროზა, რომელმაც „დაკარგული ცხოვრების“ აქამდე ტაბუირებული, არალაქირებული მხარე წარმოადგინა. გავიხსენებდი აგრეთვე ჩემთვის გამორჩეული ავტორის, ნუგზარ შატაიძის, „გაღმა ნაპირს“ და ნიჭიერი თამირი ფხაკაძის „ბოსტანს კონფლიქტის ზონაში“. აფხაზი მწერლის დაურ სიჭინავას — ჯერ ეს სახელი და გვარია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ენციკლოპედია — რომანს სახელწოდებით „ლამის ნაპირი“, რომელიც აფხაზთა მიედგაცრუების თუ არა, ტრაგიკული ძიებების სირთულესაც ასახავდა. უცვლელად აღმოვაჩინე, რომ ერთ-ერთი პერსონაჟი ძალზე ნაცნობი ქუჩით მოძრაობდა, შინ ნაცნობი სადარბაზოთი ადიოდა. ჩვენი ქუჩის, ჩვენი სახლის, ჩვენი სართულისა და ბინის მკვიდრი გამოდგა. ეს წარმოუდგენელი განცდა იყო. მინდოდა, წერილიც დამეწერა ამაზე, სათაურით „პერსონაჟი ჩემს სახლში ცხოვრობს“, მაგრამ მიუკერძოებელი ანალიზის იმედი არ მქონდა და გადავიფიქრე. მწერლის მიერ ომის აბსურდულობის ჩვენება, ალბათ, ყველაზე ქმედითი ანტი-მილიტარისტული გზავნილია. დღეს მსოფლიოში ისეთი შეუქცევადობით იშლება ზღვარი კეთილსა და ბოროტს შორის, რომ მწერლობას შემდგომშიც გაუჭირდება მხოლოდ დახვეწილი გულგრილობით, ცბიერი ინტელექტუალიზმით ან სულაც ცინიზმით ფონს გასვლა. გულგრილობის ფორმაც როგორღაც გაფეტვიშებულია. ამ საქმეში ჩახედული სპეციალისტები წერენ, რომ დასავლეთში ახალგაზრდობის ერთი ნაწილი შეგნებულად მიელტვის ასეთ განდგომას. რამდენად პროდუქტიული

იქნება მსგავსი მიდგომა მომავლის ხელოვნებისთვის, გადაჭრით თქმა, მით უფრო, ჩვენი გადასახედიდან ძნელია. სხვა განზომილებაში ვართ, ჯერ კიდევ ვიბრძვით სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჯურის კულტურის მტრების მიერ თავსმოხვეული მითებისა და წარსულის ბალასტიკის განსათავისუფლებად. თან დანამდვილებით ვიცით, რომ სანამ სახეს საბოლოოდ არ დავიბრუნებთ, ბევრი რაღაცის უფლებას თავს ვერ მივცემთ. თავისუფლება გააზრებული ვალდებულებაა — უმთავრესად დიდი გოეთეს ამ შეგონებით მინდა, რომ ვიმოქმედოთ. ამიტომ გასული საუკუნის 90-იანების „თბილისური ომის“ ფონზე აღბეჭდილი ინტელექტუალი, რომელიც ტყვეების ზუზუნში ერთმანეთის მიყოლებით ჯოჯობის „ულისეს“ და ფოლკლორის რომანებს კითხულობს, იმასთან ერთად, რომ გარკვეულწილად არის კიდევ ახალი ქართული მწერლობის, მწერალთა და ინტელექტუალთა ახალი პოპულაციის მეტაფორული სახე, ვფიქრობ, ჯერჯერობით მაინც გამოინაკლისად უნდა დარჩეს.

— ვიცი, რომ მნიშვნელოვან და საჭირო გამოცემას ამზადებთ ზვიად კვარაცხელიასთან ერთად. რა პროექტია ეს?

— ბოლომდე განუხორციელებელ საქმეზე წინასწარ საუბარი, მგონი, კარგ ტონად არ მიიჩნევა. თუმცა ამ შემთხვევაში თვითონ დავარდევ ვყვლა პირობას და გეტყვით, რომ გამომცემლობა „ინტელექტის“, კონკრეტულად კი ზვიად კვარაცხელიას ინიციატივით, გაზაფხულზე ცალკე წიგნად უნდა დაიბეჭდოს ვახტანგ კოტეტიშვილის ის წერილები, რომელიც XX საუკუნის 20-იანი წლების პერიოდულ პრესაშია გაბნეული. 44 წლის ასაკში ბოლშევიკების მიერ რეპრესირებული ეს მრავალმხრივი მოღვაწე კარგადაა შესწავლილი, როგორც ფოლკლორისტი, თუმცა ნაკლებად — როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი და პუბლიცისტი. მიუხედავად იმისა, რომ კოტეტიშვილის არქივის დიდი ნაწილი განადგურებულია, იმ მწერ მასალაშიც, რომელიც ლიტერატურის მუზეუმშია, მოინახა ორიოდ გამოუქვეყნებელი წერილი და არაერთი მეტად საგულისხმო ჩანაწერი. ამჟამად მიმდინარეობს რედაქტირება. თუმცა აქ იმდენი კითხვა ჩნდება, რომ აუცილებელია კომპეტენტურ სპეციალისტთა აზრის გათვალისწინება. ამიტომაც სარედაქციო კოლეგიაში არიან ქალბატონი ნანა კოტეტიშვილი და ლიტერატორ-ფოლკლორისტი ამირან არაბული. უკანასკნელ პერიოდში ვახტანგ კოტეტიშვილის სახელის პოპულარიზებისთვის ფოლკლორის ცენტრში ეთერ თათარაიძისა და ამირან არაბულის თაოსნობით მომზადებული გამოფენა სრულიად უნიკალური იყო. ბედნიერი ვიქნებით, თუ „ინტელექტის“ კეთილი ნებაც ჩვენს მკითხველს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, მიაწოდოს რამდენადმე შევსებული წარმოდგენა ქართული კულტურის გამორჩეულ წარმომადგენელზე, არანაკლებ წარმატებული იქნება.

ესაუბრა თამარ ჟურული







თამარ იაშვილი

# აღსარება მონაზონისა

ბეასლე, უფალო, უღირსი მხეველი შენი ალათია. გვედრები განქარვებად ჩემთა შეცოდებათა... აღარ ძალმიძს დუმილი. 91 წლისა მოვიყარე. სიკვდილი მოახლოვდა, დღეები დამრჩენია ამ წუთისოფელში ყოფნისა. დამიდგა ჟამი განდობისა და მონანიებისა. და ასეც რომ არ იყოს, შენ რა დაგიმალო?! შენ უკეთ უწყი ჩემი ფიქრი და გულისხმის ყოფა.

უფალო, ნუ განმირისხდები ფრიად... უკეთუ 15 წლისა ვიყავ, ის კი — ისეთი ლამაზი, ისეთი ჯან-ლონია... მის დანახვაზე გული საგულეში აღარ მედგა, მიფართხალვდა შემკრთალი ჩიტივითა...

მობრუნდებოდა ყანებიდან, შეაგდებდა ცხენს ბექობზედა, გადმოხედავდა სოფელს იქიდანა... ავერდებოდი ერდოზე გიჟივითა, გავხედავდი ბექობზე დამდგარსა, დამინახავდა ისიცა... ვიდექით ეგრე, გაუნძრევლად, უტყვად... შევყურებდით ერთმანეთსა...

იმ დღესაც... იმ უბედურ დღესაცა ეგრე ვაპირებდი ვმდგარიყავ ერდოზე და უხმოდ მეცქირა მისთვისა... ვაი, რომ სულსწრაფი ვიყავ, ბაღლი ვიყავ ჯერ კიდევ...

დაიგვიანა ყანებიდან, ველოდი დიდხანსა, ველარა ვპოულობდი ადგილსა, შემომეპარა ეჭვი: ვაითუ, აღარ ვუნდივარ, ვაითუ სხვაზე შეუფარდა გული...

გამოჩნდა ბოლოს, მოაგელვებდა ცხენს აჩქარებითა... გავგიჟდი სიხარულითა, დამავინყდა ყველაფერი, ვეღარ დავდექე ერდოზედა, გავქანდი ბექობისკენ... ჩამოხტა ცხენიდან, შემოვაჭდე ხელები ყელზედა, მოეკიდა ცეცხლი იმასაცა — ჩემო მოუნყვეტელო ყვავილოო, ჩემო თაფლო და ბადაგოო... და დაენაფა ჩემს ტუჩებს ფუტკარითა...

მაღე მოვედი გონზედა, დავუსხლტი ხელიდანა და დავევი თავექე აღმოდებულნი...

...ის დღე იყო და ისა, მას შემდეგ აღარც მინახავს აღარასდროსა.

დავუნახივართ ბექობზე სუყველასა. მკაცრია სოფელი. გამომარდა მამამა, ნამომიყვანა მეორე დღესვე მონასტერში და დამტოვა აქა, დამტოვა სამუდამოდა. აღარც მშობლები მინახავს და აღარც ძმები. არ მოვუკითხივართ არცერთხელა, ამომიგლიჯეს გულიდანა, მომიკვეთეს სოფლიდანა, როგორც ოჯახის შემარცხენელი.

შემინდე, უფალო, შენ ხომ იცი, მათი შერცხვენა გულშია არ გამივლია... უწინამც მოვეკვებოდი, ვიდრე მათ საძრახის რამეს ვიქმოდი, მაგრამ 15 წლისა ვიყავ და გულის ხმას ავყევ...

77 წელია, მონასტერში ვარ. 7 წელი ვგრე ვიყავ იმედითა, გზას გავყურებდი

მუდამდღე. გავყურებდი და ველოდი... ველოდი და ველოდი... არ გამოჩნდა.

არ მინდოდა მონაზვნობა, ვჯიუტობდი მაინცა...

7 წლის თავზე, მარიამობა დღეს, ერთი ჩვენი სოფელი ამოსულიყო სალოცავად მონასტერში, მიცნო... იმ ქალისგან შევიტყე იმისი ამბავიც: დაქორწინებულა. გოგლიკანთ ქეთუა შეურთავს ცოლად. უკვე ორი ვაჟიცა ჰყოლიათ...

მინა გამსკდომოდა და თან ჩავეტანე, ის მერჩივნა. რა მალე გავუცვლივარ სხვაზე?! განა ქეთუა მჯობდა რამითა?! მე ვერ გავუჩნდი ვაჟებსა?! მერე განა ორსა, იქნებ შეიღსაც და ათსაცა... ვაჟებსაც და ქალებსაცა... განა მე ვერ დავუზრდიდი ბალებსა?! ვერ დავუქსოვდი თბილ წინდებსა?! ვერ დავუცხოვდი თაფლაკვერებსა?! რად გამიმეტა ეგრე, რად მაქცია ზურგი, რად ამომიგდო გულიდანა?

იმ დღეს დამთავრდა ჩემი ცხოვრება. აღარც მიფიქრია სოფელზედა. იქ აღარავინა მყავდა. დავრჩი შენს იმედად, ღმერთო...

შეუცნობელია გზანი შენი, უფალო... მხოლოდ შენ უწყი მიზეზიცა და მიზეზთა მიზეზიცა... იქნებ ეს იყო ჩემი გასავლელი, ამ გზით უნდა მოვსულიყავ შენთანა...

...მაღევე შევიმოსე მონაზვნის კაბითა... თუმცა მოძღვარმა მესამედ რომ გადმომიგდო მაკრატელი, შევყოვნი ნამიერადა... იქნებ არც დაქორწინებულა? იქნებ ყველაფერი ტყუილი იყო, განგებ ნათქვანი ჩემთვისა...

აღარ გავსულვარ მონასტრიდან, შემოვბერდი მის კედლებსა. ლოცვაში გავატარე დარჩენილი ცხოვრება. შენი წყალობით, უფალო, განიკურნენ სულისა ჩემისა წყლულეზანი. დიდი ხანია, სხვას აღარავის ველოდები სიკვდილის გარდა. იმანაც რო აღარ მომაკითხა?!

დრომ გააფერმკრთალა ყველაფერი. ნაიშალა ჩემი თვალებიდან მშობლების და ძმების სახეები... ბუნდოვნად მახსოვს ჩემი სოფელი... აღარც მისი სახე მახსოვს...

მაგრამ, უფალო, შენ როგორ დაგიმალლო?! ის კოცნა, ის ერთადერთი კოცნა არ დამვიწყნია არასდროსა... მომაგონდებოდა თუ არა, ეგრევე ცეცხლი მომედებოდა იმდღევანდელივითა...

შემინდე, უფალო, მე ცოდვილს. განმწმინდე, ვითარცა მეძავი ცოდვათა ჩემთაგან...

რა მწველი კოცნა სცოდნია იმ დალოცვილსა! ახლაც, ცალი ფეხი სამარეში მიდგას, მაგრამ ის კოცნა ისევე მწვავს... ისევ ის 15 წლის კატო ვარ, ბექობზე მდგარი... თითქოს ეს 77 წელიწადი არცა ყოფილა საერთოდა...

## მაკა ლომაძე

# შიში

მაინც საიდან მოდის შიში? ბევრი მიფიქრია ამაზე. არა, თანდაყოლილი შიში არ უნდა არსებობდეს. მაგრამ, ფობიები? არ არსებობს ადამიანი, რომელსაც რამის მაინც არ ეშინოდეს.

მაგალითად, მე ბავშვობიდან ვერ ვიტან კატებს. არ ვიცი, რატომ. რაც მახსენდება, ისაა, რომ ერთხელ ნათესავთან სოფელში, მოულოდნელად მომედო ფეხზე. აი, მაშინ მივხდი, რომ ვერ ვიტანდი. რა ვიცი, ეს ვერატანა იყო, თუ ნამიერად ჩასახული შიში, რომელიც მაშინვე ანტაგონიზმში გადაიზარდა. გამიგია, რომ ყველაფერს უცხოს უფრთხის ადამიანი. შესაძლოა, იმიტომაც არ მიყვარს, რომ არასდროს გვეყოლია და არც საკუთარი ეზო გვექონია.

ერთხელ ზოშენკოს ვკითხულობდი და საოცარი მსგავსება ვიგრძენი მის და ჩემს ბავშვობის სიზმრებს შორის: ძალიან ხშირად, მესიზმრებოდა, როგორც კოშმარი, რომ მძინარეს უზარმაზარი ვეფხვი მახტებოდა. ერთხელ ისე შემეშინდა, რომ თურმე, ვისკუპე და დილით იატაკზე გავიღვიძე. მერე ეს ვეფხვი შეიძლება, კატას მივამსგავსე (ვერაფერს იტყვი, ერთი ოჯახიდან არიან) და მიუხედავად მისი მომცრო ზომისა, ვერა და ვერ შევიყვარე. მოგვიანებით, ჩემ სიზმრებში ვეფხვი კატამ შეცვალა. ცხადია, მეორე უფრო ზიზღს იწვევდა, მაგრამ გაუცნობიერებელი შიშიც იყო. ესეც ჩემი ფსიქოანალიზი კატებთან მიმართებაში.

ამ შიშის შესახებ რომ ვცვებოდი, ყველას უკვირდა და თავი თითქმის მარტოსული მეგონა მანამ, სანამ ზუსტად ჩემნაირი ქალი არ აღმოვაჩინე თეორიულად ერთ-ერთ აგარაკზე, პანტებიან პანტიანში. იმ ქალსაც, თურმე, ისტერიულად ეჯავრებოდა ეს შინაური ცხოველი. ეს მაშინ აღმოვაჩინე, როცა კატის დანახვაზე ნივილ-კვილით აიკლო ყველაფერი. საოცრად მომეფონა გულს — უსასიამოვნოესი გრძნობაა, როცა შენნაირს ნახავ ამ უსწორმასწორო დედამიწის ზურგზე. რაღაცნაირად, შვებას გვერის ეს ფაქტი.

მაგრამ, კატა მაინც კატაა და ჩემ გაცვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ნლები წინ, ერთ მშვენიერ დღეს, გოგონები სკოლიდან გამოვედით და ეკლესიის წინ შევეყოვნდით (დიდუბის ეკლესიის გვერდით ვსწავლობდი). ერთ-ერთ ჩემი კლასელი შეხტა და გაიწია. ვერ მივხვდით: იქ ხომ მხოლოდ უწყინარი და ულამაზესი მტრედები დაარხვენდნენ ფრთებს. თურმე ამ დღის ფრინველისაც ეშინია ზოგიერთს.



„ლიტერატურული გაზეთის“ გამონერის მსურველები დაუკავშირდით სს „მაცნე“-ს: 214 74 22; 214 39 06

საბოლოო ჯამში, დავრწმუნდი, რომ თუ ცოფიანი არაა, სულ არ არის საშიში. მეგობარს ჰყავდა, ოღონდ ჯიშინი, სპარსული. დილით შემოპარულა ჩვენს საძინებელში და ცხვირი ცხვირზე რომ მომადო, ზუსტად მაშინ გამოვფხიზლდი. ჯიშინები უფრო მიყვარს, სათამაშოებს ჰგვანან და აუტანლადაც არ იკლანებიან. ვხვდები, რომ ნებისმიერი ფობია ცუდია. იქნებ დავაღწიო თავი? ვაღიარებ, კნუტი ნაკლებად მეზარება. ბებიას ჰყავდა ერთხელ გურიში და რამდენჯერმე, მოვეფერე კიდევ. მთლად უიმედო არ ვარ, მოკლედ.

შიში კი ბევრნაირია. მე მაინც მგონია, უშიშოდ ცხოვრება ყველაზე მშვენიერია, თუმცა, სიფრთხილე მაინც საჭიროა. ზოგადად, მშობარა ნამდვილად არ ვარ. ყოველთვის მინდოდა საჭესთან დაჯდომა. არც კარუსელზე ვიკავებდი თავს. ბავშვობაში მიყვარდა მუშტაიდის დიდი, ნავისებური საქანელები. ძალიან სხვანაირად და განსაკუთრებულად. სიამოვნებით დავაბრუნებდი იმ განცდას ახლა. ნეტავ, რომ დავვდე, ისევ თუ მომეწონება? კიდევ, მიყვარდა ეშმაკის ბორბალი, ვაკის პარკის საბაგირო, მთაწმინდის ტრამვაი და „კანატკა“ ბაკურიანში.

მოკლედ, ასე. იმედია, აწი და აწი არ შევიძენ ფობიებს და შევინარჩუნებ ჩემს ხასიათს. ბოლოს და ბოლოს, ერთი ფობია ვის დააქცევს?

და მაინც, იქნებ, შექმლოთ და ვიცხოვროთ უშიშოდ?! ვცადოთ, ვინ იცის?

# სხვანაირი მოგზაური

ჩემი არ ვართ მოგზაური დროსა და სივრცეში. არ არსებობს სიცოცხლე. ყველაფერი ქიმერაა. არსებობს მხოლოდ მოგზაურობა. ჩვენშია ყველა ფერი, ყველა ყვავილი, ხე, წყარო, სიხარული, სიყვარული და არა სხვაფერ. ჩვენ ვართ საბადოსი სიცოცხლისა. მთავარია, „სახლიდან“ ანუ თავიდან გაუსვლელად იყოთ ბედნიერები. თუ შეძლებთ, თქვათ, რომ „ყველაგან კარგია, სადაც ჩვენ ვართ“ და არა პირიქით, თუ გადავლახავთ ყოველგვარ სიხარბეს და მცირედზე მცირედს ვიმყოფინებთ, მაშინ არასდროს გავთავადებთ. ცხოვრებაც ხომ რა არის, თუ არა უწყვეტი ნაკადი? მამ, რა ყოფილა აქაური ყოფნა? სიზმარი, მხოლოდ პატარა ეპიზოდი. აქაური ვალი მოიხადეთ ღირსეულად, რომ დიდ ცხოვრებას ანუ მარადისობის უკიდევანო ოკეანეს ერთ პატარა, კამკამა ნაკადულად შეუერთდეთ.

**ლიტერატურული გაზეთი**  
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო  
საქართველოს მხარაღთა სახლი  
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ჟურული  
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com